www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 6 აპრილი, 2004 წელი. №81 (630)
ფასი 50 თეთრი

## სააკაშვილი აბაშიძეს
# ახალი წესებით
## თამაშის შანსს უტოვებს

თამარ ხორბალაძე

*ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევამდე სულ ცოტა დრო რჩება. ფაქტია, და ამას აცნობიერებს როგორც ცენტრი, ისე რეგიონი, რომ დღეს არსებული არანორმალური ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელია. სიტუაცია უნდა გაირკვეს, და უნდა გაირკვეს საკმაოდ სწრაფად.*

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის პირველ, ღია სხდომაზე აჭარასთან დაკავშირებით ერთი მეტად საგულისხმო განცხადება გააკეთა: **"რეგიონის ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, ითამაშოს ახალი წესებით".**

ამ განცხადების პარალელურად, პრეზიდენტის ტონი გუშინ კატეგორიული და მკაცრი იყო:

**"საქართველო არ არის ბანანის რესპუბლიკა და არც ერთ ადგილობრივ ფეოდალს არ ეპატიე-**

გაგრძელება A3 გვერდზე



ინტერპრესი

ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობები სწრაფად უნდა გაირკვეს.

## შუშაკის დიაგნოზი:
## სტრატეგიული კურსის დეფიციტი

მიხეილ აბაიშვილი

"სტრატეგიული კურსის დეფიციტი" - ასეთი დიაგნოზი დაუსვა "24 საათის" რედაქციაში სტუმრად მოსულმა ივო შუშაკმა თბილისის "დინამოს", რომელიც აშკარა რეგრესს განიცდის. დღეს უკვე საერთაშორისო სარბიელზე "დინამოს" წარმატებულ გამოსვლაზე აღარ არის საუბარი. როგორც ჩანს, გუნდს საქართველოს ჩემპიონის ტიტულის დაცვაც ძალიან გაუჭირდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ნამდვილად იძლევა "დინამოს" მიერ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ჩატარებული 3 მატჩი - 2 ფრე, 1 მარცხი. 9 შესაძლებლიდან 2 ქულა. შედეგად, "დინამომ" გაფანტა 4-ქულიანი ჰანდიკაპი - მას "სიონი" წამოეწია, ხოლო "ვიტ ჯორჯია" 2 ქულითღა ჩამორჩება. ივო შუშაკთან საუბარი სწორედ საქართველოს ჩემპიონატში შექმნილი ვითარების გარკვევით დავიწყეთ.

გაგრძელება B4 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ივო შუშაკი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

# ამბოხება ერაყში

საყოველთაო ქაოსის ზღვართან

ლევან ღირსიაშვილი

უკანასკნელ პერიოდში ერაყში განვითარებულმა მოვლენებმა უკიდურესად საგანგაშო ხასიათი შეიძინა. კვირას, ქალაქ ნეჯეფში შიიტური დემონსტრაციის დახვრეტამ ერაყელი შიიტების საყოველთაო ამბოხი გამოიწვია და ლოგიკური გაგრძელება უკვე სამხრეთის ქალაქ ბასრაში ჰპოვა. გუშინ შიიტური რადიკალური დაჯგუფების ლიდერის მოქთად სადრის მომხრეები ბასრას ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრნენ და თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს. **"არა - ამერიკას!" "ჩვენ სადრის გულისთვის თავს გავწირავთ!"** - ყვიროდნენ ქალაქის ადმინისტრაციის შენობის სახურავიდან ერაყელი შიიტები. აღსანიშნავია, რომ მათ რიგებს შენობის დამცველი ერაყელი პოლიციელებიც შეუერთდნენ. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ მათი აქცია მშვიდობიანია და ისინი მხოლოდ მოქთად სადრის მოადგილის შეიხ იაქუბის ციხიდან გათავისუფლებას ითხოვენ.

გაგრძელება A5 გვერდზე



შიიტების დემონსტრაცია ბაღდადში.

### პოლიტიკა

**პლამენ ნიკოლოვი: ვითარება არ არის მარტივი**

საქართველოში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი კვლავ ბათუმში იმყოფება. მისი ვიზიტი, რეგიონში ბოლო დროის მოვლენების ფონზე, საკმაოდ საინტერესო ჩანს. "24 საათი" მას ბათუმში დაუკავშირდა.

A2

### ეკონომიკა

**ტრანზიტული "ეშმაკობები" მილიონიანი ზარალით**

"ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ამიერიდან ავტომატურად იმუშავებს გილიოტინასავით" - ეს "კანონი" არც შუა საუკუნეების საფრანგეთსა და ინგლისში მიუღიათ და არც ძველ რომში. მისი შემოქმედი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახლავთ.

A4

### უცხოეთი

**ამერიკის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში**

11 სექტემბრის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან მჭიდრო ალიანსების სისტემა შექმნა, რაც ადგილობრივმა მმართველებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. ანალიტიკოსების შეფასებით, მათი პოლიტიკა რეგიონში არასტაბილურობას ზრდის.

A5

### სამართალი

**გამოძიება ლევან თედიაშვილის ბიზნესით ინტერესდება**

ოლიმპიურ ჩემპიონს ლევან თედიაშვილს გამოძიება ბრალს წაუყენებს. ასეთ თამამ განცხადებას აკეთებს გამომძიებელი, რომელიც ყოფილი გუბერნატორის ბიზნეს-საქმიანობას, კონკრეტულად, ფირმა "თაქლასთან" და "კახეთის პურთან" ბიზნეს-ურთიერთობებს იძიებს.

A7

### პოლიტიკა

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა მთავრობის სხდომაზე**

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 16 |
| ქუთაისი | 19 |
| ბათუმი | 19 |
| სოხუმი | 17 |
| ფოთი | 19 |
| თელავი | 14 |
| ზუგდიდი | 19 |
| გორი | 14 |
| ახმეტა | 14 |
| ჭიათურა | 17 |
| სამტრედია | 19 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4228 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6588 |
| რუბლი | 0.0701 |

## ცესკო-ს გადაწყვეტილებას ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა

თამარ ასათიანი

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხულოსა და ქობულეთში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას საკმაოდ სერიოზული იურიდიული გართულებები მოჰყვა. მართალია, ცესკო-მ საკუთარი გადაწყვეტილებების სისწორე საკმაოდ წონიანი არგუმენტებით დაასაბუთა, მაგრამ როგორც გაირკვა, საკუთარი ქმედებით საარჩევნო კოდექსი დაარღვია და საკუთარ თავზე კანონმდებლის ფუნქცია იტვირთა.*

საქმე ის არის, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, კანონის თანახმად, ოლქის შედეგების გაუქმების უფლება არ ჰქონდა. მას მხოლოდ კონკრეტული უბნების გაუქმების თაობაზე უნდა ემსჯელა. თუმცა ცესკო-მ იურიდიული სამსახურის დასკვნით იხელმძღვანელა, სადაც იმდენი კონკრეტული დარღვევა იყო მითითებული, რომ იურისტებმა ცესკო-ს წევრებს თავად მისცეს რეკომენდაცია ქობულეთსა და ხულოში არჩევნების გაუქმების თაობაზე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რევოლუციური პარლამენტის კონტურები

ეკა კიკიანი

ორი-სამი კვირის შემდეგ მუშაობას შეუდგება ახალი პარლამენტი. თითქმის ორი თვის განმავლობაში საქართველო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გარეშე ცხოვრობდა, რითიც ჩვენი ქვეყანა იშვიათ გამონაკლის სახელმწიფოთა რიგში ხვდება. საქმე ის გახლავთ, რომ უმრავლეს სახელმწიფოებში პარლამენტი ორპალატიანია და ქვედა პალატის დათხოვნის ან არჩევნების შემთხვევაში ფუნქციონირებს ზედა პალატა - სენატი. ჩვენთან მაჟორიტარი დეპუტატები პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატებთან ერთად სხედან, მათთან ერთად დაითხოვებიან და აირჩევიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე

თამარ ხორბალაძე

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტი პირველად დაესწრო საქართველოს მთავრობის სხდომას და ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი სხდომის პირდაპირ სატელევიზიო ეთერში გადაცემითაც აღინიშნა. მიხეილ სააკაშვილი მთავრობის მუშაობით, ძირითადად, კმაყოფილი დარჩა, თუმცა მინისტრებს რამდენიმე გაფრთხილება და რჩევაც მისცა.*

### ისევ ბიუჯეტზე

მთავრობის გუშინდელი სხდომის ერთ-ერთი მთავარი თემა ისევ გადაჭარბებით შესრულებული ბიუჯეტი გახლდათ. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ 121 პროცენტით შესრულებული ცენტრალური ბიუჯეტი საშუალებას იძლევა, უკვე 15 აპრილიდან სამი ლარით გაზრდილი პენსიები დარიგდეს. მისივე განცხადებით, დღეს უკვე გადარიცხულია ლტოლვილთა მიმდინარე შემწეობები და კიდევ ერთი თვის დავალიანებები. დავალიანებები გადაერიცხა

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საზოგადოება
B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

პლამენ ნიკოლოვი:
# ვითარება არ არის მარტივი



*პლამენ ნიკოლოვი.*

*საქართველოში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი კვლავ ბათუმში იმყოფება. მისი ვიზიტი, რეგიონში ბოლო დროის მოვლენების ფონზე, საკმაოდ საინტერესო ჩანს. ალბათ იმიტომაც, რომ ნიკოლოვის ვიზიტი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას უახლოეს მომავალში დაგეგმილი ვიზიტის წინ ნიადაგის მოსამზადებელ ერთგვარ მისიად აღიქმება. "24 საათი" მას ბათუმში დაუკავშირდა.*

**- ბატონო პლამენ, ამჯერად ბათუმში რა მისიით ჩახვედით?**

- ძირითადად, ცენტრსა და რეგიონს შორის აქტიური დიალოგის დასაწყებად უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე. როგორც ცნობილია, ეს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ერთ-ერთი ინიციატივა იყო, რომელიც მან როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ისე 20 თებერვალს, ავტონომიის ლიდერთან შეხვედრის დროს გამოთქვა. ამ ინიციატივის საკანონმდებლო დონეზე განხორციელების შემდგომი ეტაპი, ვფიქრობ, ევროსაბჭოს მხრიდან ვენეციის კომისიის საკონსტიტუციო სამართლის ექსპერტების მოზიდვა იქნება, რომლებიც მხარეებს ამ სამუშაოს ჩატარებაში დაეხმარებიან. მეორე საკითხი კი, რის თაობაზეც აქ გახლავართ, ევროსაბჭოს პროგრამაა, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე ან რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით განხორციელდება როგორც ჯანდაცვის, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სფეროების თვალსაზრისით, ასევე საინფორმაციო საშუალებებთან მიმართებაში. გარკვეული საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას ჩვენ უკვე 18 მარტიდან შევუდექით.

**- თუ არ ვცდები, ამ მიზნით აჭარაში თქვენი შტაბ-ბინაც არსებობს.**

- ევროსაბჭოს მისია აქ მანამდე წინასაარჩევნო ვითარების მონიტორინგით იყო დაკავებული. მაგრამ მისიის მოვალეობებში ასევე ჩვენ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა მხარდაჭერაც შედის. ამ ეტაპზე მისიის ხელმძღვანელის მოვალეობას მე ვასრულებ.

**- თუ არ ვცდები, ავტონომიის ლიდერთან არჩევნების შემდგომ პერიოდზეც უნდა გესაუბრათ.**

- დიახ, როგორც ცნობილია, არჩევნების შემდგომი ვითარება ჯერ კიდევ არ გახლავთ მარტივი. გადაწყვეტილი გვაქვს შეხვედრა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ მათი პოზიცია და მოსაზრებები გავარკვიოთ. ახლა რაიმე კონკრეტულის თქმა საკმაოდ რთულია, რადგან მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მქონდა შეხვედრა. მთავარი ის არის, რომ არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა და ვითარება აქ საკმაოდ წყნარია.

**- მიუხედავად ამისა, "აღორძინების" პარტიას პარლამენტს გარეთ დარჩენა ემუქრება. როგორც ცნობილია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ქობულეთსა და ხულოში ჩატარებული არჩევნების შედეგები გააუქმა. თქვენსა და აბაშიძეს შორის ამ თემაზეც ხომ არ ყოფილა საუბარი? როგორია, საერთოდ, მისი განწყობა ახლა?**

- მე აბაშიძეს მოვუსმინე, მაგრამ მოდით, ამ საკითხზე პოზიციის გამოთქმა თავად მას მივანდოთ.

**- ბათუმში თქვენი ყოფნისას, რეგიონის ხელმძღვანელობისა და ოპოზიციის გარდა, ვისთან აპირებთ შეხვედრას? არიან თუ არა მათ შორის პრეზიდენტის წარმომადგენლები?**

- შევხვდები ჩემს კოლეგებს, დიპლომატიური კორპუსის და აქ მყოფი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება პრეზიდენტის წარმომადგენლებთან შეხვედრაც, თუ ისინი დროს გამონახავენ. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ბათუმში ისინიც ახალი ჩამოსულები არიან. ასე რომ, ბევრი რამის წინასწარ დაგეგმვა არ ხერხდება და გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება გვიხდება. ბათუმში, ალბათ, ოთხშაბათამდე დავყოფ. თბილისში რამდენიმე დღით დავბრუნდები, რის შემდეგაც კვლავ აჭარაში ჩასვლა მაქვს გადაწყვეტილი.

*ლელა მჭედლიძე*

# პრეზიდენტი სააკაშვილი ბრიუსელში გაემგზავრება

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 6 აპრილს ბრიუსელში მიემგზავრება ორდღიანი სამუშაო ვიზიტით. იგი სიტყვით გამოვა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე; შეხვდება ევროკომისიის პრეზიდენტ რომანო პროდის და ევროკავშირის ერთიანი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელ ჰავიერ სოლანას. საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრებს გამართავს ბელგიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტშიც. ვიზიტის მეორე დღეს კი მიხეილ სააკაშვილი ნატოს შტაბ-ბინას ეწვევა და ნატოს გენერალურ მდივანთან, იააპ დე ჰოოპ სხეფერთან გამართავს შეხვედრას.

*მედია-ნიუსი*

# ლეიბორისტები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

საოლქო სასამართლომ ლეიბორისტული პარტიის სარჩელი ბორჯომის, გარდაბნისა და დუშეთის საარჩევნო ოლქებში არჩევნების შედეგების ხელახლა გადათვლის თაობაზე, არ დააკმაყოფილა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა ზურაბ ჯიბლაშვილმა განაცხადა, რომ ლეიბორისტთა მტკიცებულებები ვარაუდებსა და ეჭვებზეა აგებული. ამიტომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ლეიბორისტული პარტია კი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საპროტესტო აქციებით იმუქრება. "თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით უზენაეს სასამართლოს მივმართავთ", - ამბობს პარტიის პრესსამსახურის ხელმძღვანელი გელა დანელია.

*მედია-ნიუსი*

# გია მაისაშვილი ცენტრსა და რეგიონს დიალოგისკენ მოუწოდებს

ამერიკაში მოღვაწე ქართველი ეკონომისტი გია მაისაშვილი თბილისსა და ბათუმს შორის ურთიერთობების გასარკვევად ცივილიზებული მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს და ორივე მხარეს დაძაბულობის მშვიდობიანი გზით განმუხტვისკენ მოუწოდებს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მაისაშვილმა განაცხადა, ორივე მხარე დაინტერესებული უნდა იყოს, რათა ურთიერთობის მოწესრიგების საქმეში მიუკერძოებელი პირები ჩაერთონ. "არ ვეთანხმები ცენტრსა და რეგიონს შორის შეიარაღებულ მუქარა-დაპირისპირების პოლიტიკას, ვინაიდან ცნობილია, თუ ერთმანეთს ორი შეიარაღებული მხარე უპირისპირდება, იქ სისხლისღვრა გარდაუვალია", აცხადებს მაისაშვილი.

*მედია-ნიუსი*

# პრეზიდენტი სამხედრო საჰაერო ძალების მზადყოფნას ითხოვს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამხედრო საჰაერო ძალების მუდმივ მზადყოფნას ითხოვს. მთავრობის სხდომაზე იგი დაინტერესდა, მარაგდება თუ არა სამხედრო ავიაცია საკმარისი საწვავით და რამდენი საწვრთნელი გაფრენა ხორციელდება წელიწადში. როგორც თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, საწვავი საკმარისია, გასულ კვირას კი ხუთი საწვრთნელი გაფრენა განხორციელდა, მაშინ როცა უახლოეს წარსულში სამხედრო თვითმფრინავები, ძირითადად, პრეზიდენტის უცხოეთში გამგზავრების დროს მხოლოდ მისი გაცილებით იყვნენ დაკავებული. მისივე ინფორმაციით, მფრინავმა წელიწადში მსოფლიო სტანდარტებით, საშუალოდ, 174 საათი უნდა იფრინოს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 20 საათს შეადგენს.

პრეზიდენტის თქმით, მთავარი ამოცანაა არა შეიარაღებული ძალების შემცირება, არამედ ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. "შეარაღებული ძალების რაოდენობა საქართველოში იმდენი არასდროს ყოფილა, რამდენსაც რეალურად სამინისტრო აჩვენებდა. ეს ჯარისკაცების კუთვნილი ულუფის მოპარვის შესაძლებლობას იძლეოდა", - დასძინა სააკაშვილმა.

*მედია-ნიუსი*

# ეროვნულმა ბანკმა "საფოსტო ბანკში" დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოთხოვნების შეუსრულებლობისა და დარღვევების გამო "საფოსტო ბანკში" დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა.

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულებით, "საფოსტო ბანკის" ადმინისტრაციული მართვა დროებით ადმინისტრაციას 2 მაისამდე გადაეცა. ადმინისტრაციაში შედიან ეროვნული ბანკის თანამშრომლები: ლევან ნოზაძე, მერაბ ლეკიშვილი და მამუკა მენთეშაშვილი.

დროებითი ადმინისტრაციის მთავარ ამოცანად განისაზღვრა საფოსტო ბანკის საერთო და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და მის შედეგებზე დასკვნის მომზადება, ასევე ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის აუცილებელი ზომების გატარება. "საფოსტო ბანკის" ყველა ორგანოს უფლებამოსილება შეუჩერდა და დროებით ადმინისტრაციას გადაეცა, ამიტომ დაუშვებელია ბანკის სახელითა და მის ხარჯზე ნებისმიერი მოქმედება. დროებით ადმინისტრაციას დაევალა, უმოკლეს ვადაში განსაზღვროს ბანკის ფილიალებისა და შვილობილი საწარმოებისათვის დროებითი ადმინისტრაციის განხორციელების პირობები, გააფრთხილოს ბანკის კლიენტები ანაბრებისა და ნებისმიერი სხვა სახსრების შესაძლო გაყინვის ან ბლოკირების შესახებ. დროებით ადმინისტრაციას გადაეცა ბანკის ყველა ბეჭედი, ბუღალტრული და სხვა დოკუმენტაცია. "საფოსტო ბანკის" წარმომადგენლებს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების გასაჩივრება თბილისის საოლქო სასამართლოში ექვსი თვის განმავლობაში შეუძლიათ.

*ინტერ-პრესი*

# აფხაზები იმპორტულ საქონელზე საბაჟო გადასახადს ზრდიან

საზაფხულო სეზონის მოახლოების გამო თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობამ იმპორტულ საქონელზე საბაჟო გადასახადი გაზარდა. ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის მიზნით, სოხუმის ხელისუფლების მინისტრთა კაბინეტმა რესპუბლიკაში იმპორტირებულ უალკოჰოლო სასმელებზე, სიგარეტსა და შამპანურზე ახალი ტარიფები დააწესა. მთავრობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე იმპორტირებულ ხილისა და ბოსტნეულის 1 ლიტრ წვენზე საბაჟო გადასახადი 2 ცენტით გაიზარდა და 5 ცენტი გახდა, 1 ლიტრი მინერალური წყლის, ლუდისა და ერთი ბოთლი შამპანურის იმპორტი კი 10 ცენტი ეღირება.

შესაბამისად გაიზარდა ალკოჰოლური სასმელების საბაჟო გადასახადიც, რომელიც 25 ცენტი გახდა, სიგარეტზე - 0,1 ცენტი, ერთ ლიტრ ბენზინზე კი - 1, 6 ცენტი.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, საზაფხულო სეზონზე აფხაზურმა ხელისუფლებამ ბიუჯეტის შევსების რეალური გზა მოძებნა.

*ინტერ-პრესი*

# კახელი სტუდენტები აბაშიძეს ისევ აფრთხილებენ

კახელი ახალგაზრდები აჭარაში მიმდინარე მოვლენებს არაერთხელ გამოხმაურებიან. ამჯერად კი, როგორც თავად აცხადებენ, მათ უკვე მოთმინების ფიალა აევსოთ და აჭარის მეთაურის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ ილაშქრებენ. გუშინ რეგიონის სტუდენტებმა, თელავის უნივერსიტეტის წინ, საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი აჭარის მეთაურისგან, ახალ ხელისუფლებასთან კომპრომისზე წასვლას მოითხოვენ: "გონს მოეგოს აბაშიძე, ჩვენ ომი არ გვინდა. ნუ შეგვულახავთ ერს საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტს!" - ამბობდნენ სტუდენტები. სწორედ ამის გამო, თელაველი ახალგაზრდები ცენტრსა და რეგიონს შორის დაპირისპირების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ცდილობენ. "როგორც შევარდნაძე გავაძევეთ, ასეთი ბედი ელის აბაშიძესაც", - აცხადებდნენ სტუდენტები. აქციაზე აქცენტი ძირითადად იმ დაჯგუფებებზე კეთდებოდა, რომელსაც აბაშიძემ იარაღი აალებინა ხელში: "ჩვენ ვიცით, მათ ეს არ უნდოდათ, მაგრამ იარაღი მათ აბაშიძემ შანტაჟის და მუქარის შედეგად აალებინა. ამიტომაც აჭარაში მცხოვრებ ჩვენს ყველა თანატოლს მოვუწოდებთ, რომ აბაშიძეს დიქტატურას ნუ დაემორჩილებიან!" ამ მოწოდებების გარდა, კახელი ახალგაზრდები აბაშიძისგან საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასაც ითხოვდნენ.

სტუდენტების გარდა, ასლან აბაშიძის საწინააღმდეგო განცხადებებს უნივერსიტეტის ლექტორებიც აკეთებდნენ. "თუ აბაშიძე ახალი ხელისუფლების მიმართ აკეთებს განცხადებებს, რომ კონსტიტუციას არღვევენო, მაშ რა ჰქვია იმას, რასაც თავად აკეთებს? უნდა თუ არ უნდა, ავტონომია ცენტრს ემორჩილება", - განაცხადა უნივერსიტეტის ლექტორმა შალვა ჯაშიაშვილმა.

*24 საათი*

# კახეთში ხეხილი გაიყინა

კახელი გლეხის ნაშრომს ბუნებამ უმტყუნა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცუდი ამინდების გამო, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობამ საგრძნობლად იკლო. ჯერ იყო და ბაღმინდვრებს სეტყვა აჩანაგებდა, ახალა კი ტემპერატურის უეცრად დაცემამ, კახელების ნაშრომი საბოლოოდ გააჩანაგა. ცივმა ამინდმა ატმის ნარგავებსაც მოუღო ბოლო. **"ყინვამ იმიტომ იმოქმედა ხეხილზე, რომ ამ დროს ხეში უკვე წყალია ჩამდგარი",** - განმარტავენ აგრონომები. განსაკუთრებით კი ყინვამ ისეთ ადგილებში იმოქმედა, სადაც სარწყავი არხებია გაყვანილი. აქ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ხეხილის გარდა ტემპერატურის დაცემას ვაზიც ვერ გაუძლებდა. აგროსპეციალისტები ვერაფრით ანუგეშებენ დაზარალებულ მოსახლეობას. ხსნის ერთადერთ გზად გლეხობას ახალი მთავრობა მიაჩნია და მისგან დახმარებას ელიან: **"იქნებ მთავრობამ მოგვაქციოს ყურადღება. ერთადერთი სარჩენი ჩვენთვის ვაზი და ატამია",** - ამბობენ კახელები.

ყინვებმა, ძირითადად, ზარალი გურჯაანელ, ლაგოდეხელ და თელაველ გლეხებს მიაყენა. როგორც სოფლის მეურნეობის და სურსათის გურჯაანის რაიონულ სამმართველოში განაცხადეს, რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით, გამოიყოფა კომისიები, რომლებიც ზარალის რაოდენობას დაადგენენ. წინასწარი მონაცემებით კი, ყინვამ მოსავლის 70 პროცენტი გაანადგურა. ყველაზე დაბალი ტემპერატურა ლაგოდეხის რაიონში დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის განცხადებით, აქ ყინვამ 7 გრადუსს მიაღწია.

*24 საათი*

# "სახალხო ბანკის" ინიციატივა



*სახალხო ბანკი - "გოგუაძე და ქოჩიაშვილი პრესკონფერენციაზე"*

პენსიებისა და სხვადასხვა სახის შემწეობების დარიგება ბანკის საშუალებით მხოლოდ ამ წლიდან დაიწყო, მაგრამ უკვე ნათლად გამოჩნდა, რაოდენ საჭირო ყოფილა სისტემიდან საფოსტო რგოლის ამოგდება. გამოიკვეთა დევნილთა გარკვეული კონტიგენტი, ვინც შემწეობის მისაღებად ბანკში სამი თვის განმავლობაში არ მისულა. ამ მოვლენამ სახალხო ბანკის ხელმძღვანელობაში გამოიწვია ბუნებრივი ეჭვი "მკვდარი სულების" არსებობის შესახებ, რასაც მოჰყვა კიდეც საგანგებო პრესკონფერენცია და პლასტიკური ბარათების შემოღების შესახებ ინიციატივის გაცხადება.

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე:

**"სამთვიანი დაკვირვების შედეგად დევნილთა შორის აღმოვაჩინეთ პიროვნებები, რომლებიც შემწეობის მისაღებად ბანკში არასოდეს მოსულან. გაჩნდა ეჭვი ე.წ. "მკვდარი სულების "არსებობის შესახებ. ამიტომ, ჩვენი ინიციატივაა, დევნილები და პენსიონერები გადავიყვანოთ პლასტიკური ბარათებით მომსახურებაზე. მოგეხსენებათ, "მკვდარი სული" ბარათს ვერ მიიღებს. აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით ეს იქნება საკმაოდ დიდი წინსვლა. საბოლოო ჯამში კი, დაიზოგება მილიონობით ლარი სახელმწიფო თანხა და გამარტივდება უმწეოთა და პენსიონერთა მომსახურება, რომელთაც პლასტიკური ბარათის საშუალებით თანხის მიღება შეეძლებათ ნებისმიერ დროს, ქვეყნის ყველა რაიონში. ბოლოს და ბოლოს მოიხსნება რიგები ჩვენი ბანკის ფილიალებთან, რაც სიების მოუწესრიგებლობით იყო გამოწვეული".**

პრესკონფერენციას ესწრებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ აღრიცხვიანობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მართლაც, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სახალხო ბანკთან ერთად და არა მარტო მასთან:

**"გაერო-ს ლტოლვილთა კომისარიატის მიერ დაფინანსდება ანკეტირების პროცესი, რომელსაც გაივლის 5 წლიდან უფროსი ასაკის ყველა დევნილი. ჩვენ გვინდა, რომ ანკეტირებისა და პლასტიკურ ბარათებზე გადასვლის პროცესების თანხვედრა მოვახდინოთ, რაც მაქსიმალურად ზუსტ აღრიცხვიანობას მოგვცემს,"** - განაცხადა ქოჩიაშვილმა.

ახლა საქმე სახელმწიფოს ნებაზეა. მან უნდა შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მოახდინოს გარკვეული სუბსიდირება. მილიონამდე მომხმარებლის პლასტიკური ბარათით უზრუნველყოფას მხოლოდ ჩვენი სახსრებით ვერ შევძლებთო, - აცხადებს სახალხო ბანკის ხელმძღვანელობა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ გაირკვევა.

*24 საათი*

# რა მოხდება საალდგომოდ წალკაში?

საალდგომოდ წალკის რაიონი, შესაძლოა, ფეთქებადსაშიშ ზონად იქცეს. წლების წინ საბერძნეთში საცხოვრებლად წასული ასეულობით წალკელი ბერძენი, როგორც წესი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისათვის საქართველოში ჩამოდის, რათა გარდაცვლილი ნათესავებისა და ოჯახის წევრების საფლავები მოინახულოს. წალკის სოფლებში, ბერძნების მიერ მიტოვებულ სახლებში უკვე წლებია, ქვეყნის სხვა კუთხეებიდან ჩასახლებული ეკოლოგიური მიგრანტები ცხოვრობენ. ისინი, ძირითადად, ხულოსა და ჩოხატაურის რაიონებიდან არიან. წლების წინ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მათთვის საცხოვრებელი სახლების გამოსყიდვა, თუმცა რეალურად ეს დაპირება არ განხორციელებულა და მიგრანტების უმრავლესობა დღემდე სხვის კუთვნილ სახლებში ცხოვრობს.

ქვემო ქართლის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, საალდგომოდ საქართველოში დროებით ჩამოსულ ბერძნებს გადაწყვეტილი აქვთ, საკუთარი, წლობით მიტოვებული სახლები გადაწვან, თუ ჩასახლებულები იქიდან არ გამოვლენ ან ბინების საფასურს არ გადაიხდიან. მხარის უშიშროების სამსახურის უფროსი გოჩა შავაძე აცხადებს, რომ მიგრანტების მხრიდან მიტოვებული სახლების უნებართვოდ დაკავებისა და შეჭრის ფაქტები ხშირია, ხოლო ადგილობრივი პოლიცია წესრიგის დაცვას ვერ ახერხებს.

**"საქმე გვაქვს საკუთრების ხელყოფასთან. ვფიქრობ, უნდა დაისაჯოს რამდენიმე ადამიანი, რათა სხვას იგივეს გაკეთების სურვილი აღარ გაუჩნდეს. განუკითხაობის პრეცედენტები წალკაში საკმაოდ არსებობს, ამიტომ კანონდარღვევა უნდა აღიკვეთოს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ აქ, შესაძლოა, კონფლიქტის წარმოშობა არა მარტო ეთნიკურ, არამედ რელიგიურ ნიადაგზეც - ბერძნები მართლმადიდებლები არიან, ჩასახლებული აჭარელები კი მაჰმადიანები. ბერძნებს სომხებიც ეხმარებიან და საყოფაცხოვრებო დაპირისპირება რელიგიურ შელში გადაიზრდება-ხოლმე, ასეთ დროს, შეუქცევადი პროცესების განვითარების ალბათობა დიდია,"** - განაცხადა ქვემო ქართლის გუბერნატორმა სოსო მაზმიშვილმა. მისი თქმით, სახელმწიფომ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს ეკოლოგიური მიგრანტების წალკაში ჩასახლების მიზანშეწონილობის საკითხს.

"24 საათი" უკვე წერდა იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წალკაში გადახვეწილ ქართველებს ექმნებათ. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზოტიდან წამოსული ენვერ ქათამაძე და მისი რამდენიმე ათეული თანასოფლელი თბილისიდან გააგზავნეს წალკაში, სადაც ისინი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ და თავშესაფარი თვეში ოც ლარად იქირავეს. მათი თქმით, ბერძნულ სოფელ ახალიკში 200-მდე სახლია, თუმცა იქ ოციოდე ოჯახილა ცხოვრობს.

**"სოფელში დარჩენილი მოსახლეობა უარს ამბობს ქართველების შესახლებაზე. დამ დის სახლში ცხოვრების ნება დაგვრთო, მაგრამ მეორე დღეს ბარგი გარეთ გამოგვიყარეს. იმათ, ვინც სახლში შეგვიშვებს, თანასოფლელები ემუქრებიან, არ შეუშვათ და არც მიჰყიდოთ, თორემ სახლს გადაგიწვავთო,"** - ეს ინტერვიუ ზოტელებმა "24 საათს", დაახლოებით, ერთი თვის წინ მისცეს.

როგორც ჩანს, ხელისუფლება უძლურია, დაეხმაროს ამ ადამიანებს, ჩასახლებულებს კი წასასვლელი არსად აქვთ. საგულისხმოა ქვემო ქართლის გუბერნატორის პოზიცია - ის ბერძნების სახლებში შეჭრილი მიგრანტების, ანუ კანონდამრღვევების, დასჯის მომხრეა, თუმცა არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ალტერნატივას სთავაზობს სახელმწიფო უსახლკაროდ დარჩენილ თავის მოქალაქეებს.

თუ ცენტრალური ხელისუფლება უახლოეს დღეებში ოპტიმალურ გამოსავალს ვერ იპოვის, საალდგომოდ წალკაში მას, მართლაც, სერიოზული პრობლემები შეექმნება. ერთი რამ ცხადია: საბერძნეთში მცხოვრებ წალკელ ბერძნებს საკუთრების კონსტიტუციური უფლება ისევე აქვთ, როგორც ეკოლოგიურ მიგრანტებს საკუთარ სამშობლოში ცხოვრების უფლება - საქართველოს ხელისუფლება კი ვალდებულია, მათ ამ უფლების რეალიზებაში დაეხმაროს.

*მაია მოსიაშვილი*

# ფინანსური პოლიცია "ორიფლეიმში" შევიდა

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ვარაუდობენ, რომ "ორიფლეიმი" სახელმწიფოს გადასახადებს უმალავდა.

როგორც პოლიციაში აცხადებენ, საგამოძიებო დეპარტამენტში შპს "პრესტიჟზე" აღძრული სისხლის სამართლის საქმიდან გამოიკვეთა, რომ მათი ანგარიშფაქტურები პარფიუმერულ ფირმა "ორიფლეიმს" ჰქონდა გამოყენებული.

"აღმოჩნდა, რომ სარეკლამო ბუკლეტები, რაზედაც ეს ანგარიშფაქტურები გამოიწერა, "ორიფლეიმს" სინამდვილეში არ მიუღია, ამიტომ ფინანსურმა პოლიციამ დოკუმენტების ამოღების თაობაზე მოსამართლეს ნებართვა სთხოვა და "ორიფლეიმის" ქართული ოფისის ხელმძღვანელობას წარუდგინა"- განმარტავენ ფინანსურ პოლიციაში.

პოლიციის სპეციალურ დავალებათა სამმართველოში შევიდა ინფორმაცია, რომ "ორიფლეიმის" ნაწარმი ფირმის საწყობებიდან თანამშრომელთა სახლებში იზიდებოდა და იმალებოდა. "ეს ინფორმაცია დადასტურდა. ერთ-ერთი თანამშრომლის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია პარფიუმერული ნაწარმის ასამდე ყუთი,"- აცხადებენ პოლიციაში. .

პროდუქცია ამოღებულია და დალუქულია ფინანსური პოლიციის შენობაში, გადაუდებელი ღონისძიებების სახით ჩატარებული ეს მოქმედება კი სასამართლოს მიერ არის დაკანონებული.

დანარჩენი პროდუქცია რომ არ გადაემალათ, ფინანსურმა პოლიციამ მაშინვე მთლიანად დალუქა "ორიფლეიმის" ბუღალტერია და საწყობები. დანიშნულია კომპლექსური რევიზია და სასაქონლო ექსპერტიზა. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

*ინტერ-პრესი*

# ყაჩაღური ჯგუფის წევრებს გატაცებული ნივთები წაართვეს

პოლიციამ დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის სამი წევრი - აკაკი არიშვილი, ვაჟა გეგენავა და გიორგი ჟორჟოლიანი დააკავა. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ისინი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავს დაესხნენ თბილისში, მოსკოვის გამზირზე მცხოვრებ ოსებაშვილების ოჯახს. ოჯახის წევრებზე ფიზიკური ძალისა და უთოს გამოყენებით გაიტაცეს ოსებაშვილის კუთვნილი "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, ორი მჭიდითა და 12 ვაზნით, დიდი ოდენობით ოქროს სამკაული, "სიმენსის" ფირმის მობილური ტელეფონი, "სონის" ფირმის ვიდეო- კამერა, 1000 აშშ დოლარი და სხვა საოჯახო ნივთები. გატაცებული ნივთების უმეტესი ნაწილი ამოღებულია.

ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით თავს დაესხნენ თევდორე მღვდლის ქუჩაზე მცხოვრებ ჯინჭარაძეების ოჯახს, საიდანაც გაიტაცეს დიდი ოდენობით ოქროს სამკაული და 4 ათასი აშშ დოლარი.

იმავე ჯგუფმა ფარული გზით გაძარცვა ნუცუბიძის ქუჩაზე მცხოვრები პატარავების ოჯახი, საიდანაც გაიტაცეს უცხოური ფირმის სხვადასხვა დასახელების საოჯახო ტექნიკა. გატაცებული ნივთების ნაწილი ამოღებულია.

*პრაიმ-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი ბიწაძე გუშინ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასაზღვრო პოლიციის ექსპერტებს შეხვდა. საუბრის თემა უწყებაში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაცია იყო. მხარეებმა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პოლიციის სტრუქტურად გარდაქმნასთან დაკავშირებული რეფორმების კონკრეტული დეტალები და ამ პროცესში გერმანული მხარის მიერ გასაწევი დახმარების საკითხები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 21-23 აპრილს ჟენევის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტში ქართული და აფხაზური მხარეები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების პერსპექტივებს განიხილავენ. შეხვედრა გაერო-ს ინიციატივით გაიმართება. როგორც სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ განაცხადა, ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე მხარეები აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ იმ პროექტებს განიხილავენ, რომლებიც გაერო-ს დაკვეთით ჟენევის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა და რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრმა შეიმუშავეს. ქართულ მხარეს ჟენევის შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ფოთის ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნების ჩასატარებლად ემზადება. როგორც შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა გივი იუკურიძემ განაცხადა, წვრთნები 16-18 აპრილს ყულევის სამხედრო პოლიგონზე ჩატარდება და მასში მონაწილეობას 1000-მდე სამხედრო მოსამსახურე მიიღებს. წვრთნებში ჩაებმება ბათუმში დისლოცირებული 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ორი ასეული, მე-11 მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის 113-ე ბატალიონი, საავიაციო დანაყოფები, საზღვაო ძალები და ბრიგადების შტაბები. წვრთნების თემა "კრიზისის რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია" იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგაზრდულ-სტუდენტური ორგანიზაციები აჭარაში მოსახლეობისთვის იარაღის უკანონო დარიგების ფაქტს აპროტესტებენ და ადგილობრივ მაცხოვრებლებს იარაღის დაუყოვნებლივ ჩაბარებისკენ მოუწოდებენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ბაღში გამაფრთხილებელი აქცია-ბრიფინგი გამართეს და აჭარის მოსახლეობას გონიერების გამოჩენისკენ მოუწოდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტის რწმუნებულები სარფისა და ბათუმის საბაჟოებზე დავით ახალაია და ვასილ სანოძე უკვე შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ამჯერად, მათ აჭარაში მუშაობის პრობლემა არ შექმნიათ. როგორც გუშინ ჟურნალისტებს საზღვაო ნავსადგურის უფროსმა ჯამბულ ნინიძემ განუცხადა, წინა ჩასვლის დროს ახალაიასა და სანოძეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ დებულების უქონლობის გამო შეექმნათ, რომელიც მათ მიერ სარფის საბაჟოს და ბათუმის პორტის გაკონტროლების საფუძველი უნდა ყოფილიყო. "ამჯერად მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, სანოძეს და ახალაიას მალე კაბინეტებს მიუჩენენ და დღის მეორე ნახევარში ისინი საკუთარი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგებიან," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "ასლან, წადი!" - ეწერა ჰელიუმით გაბერილ 100-მდე საჰაერო ბუშტზე, რომელიც გუშინ ბათუმში, "ჩვენი აჭარის" ოფისის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე აბაშიძის ოპოზიციონერებს ეჭირათ. აქციის ორგანიზატორი "ჩვენი აჭარა" და მისი ერთ-ერთი წევრი ნატო იმნაძეა, რომელიც აჭარაში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ნოდარ იმნაძის ქალიშვილია. ოპოზიცია ნოდარ იმნაძის მკვლელობაში ბრალს ასლან აბაშიძეს სდებს. გუშინ აქციაზე იყო ასევე ტრანსფარანტები წარწერით "ასლან, პასუხი უნდა აგო ნოდარ იმნაძის მკვლელობისთვის". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებით, უხლოეს ხანში გუდაუთაში ჩავლენ ეუთოს ექსპერტები, რათა კიდევ ერთხელ ოფიციალურად დაადასტურონ იქ რუსული სამხედრო ბაზის გაუქმების ფაქტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 26-27 აპრილს მოსკოვში ქართული და აფხაზური მხარეები აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების მექანიზმებს განიხილავენ. შეხვედრა 2003 წელს სოჭში პრეზიდენტ პუტინსა და ექს-პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის მიღწეულ შეთანხმებათა ფარგლებში შექმნილი სახელმწიფო კომისიების დონეზე გაიმართება. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ცესკო-ს გადაწყვეტილებას ჩაქვური რეაქცია მოჰყვა

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი ხულოსა და ქობულეთში საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებას და ხელახალი კენჭისყრა 18 აპრილისათვის დანიშნა.

სწორედ ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა იმ გაუგებრობათა ჯაჭვი, რომლის "გაწყვეტა" უკვე უზენაესმა სასამართლომ უნდა სცადოს, რადგან კანონსაწინააღმდეგო განკარგულებას (ახლა უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რა მოტივით იყო იგი მიღებული) სასამართლოში "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ასაჩივრებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესაბამისი გადაწვეტილების გაუქმებას ითხოვს. როგორც ასოციაციის თავმჯდომარე თინათინ ხიდაშელი აცხადებს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ოლქებში არჩევნების შედეგების გაუქმების და, მით უფრო, ხელახალი კენჭისყრის დანიშვნის უფლება არ ჰქონდა.

**"ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, უკეთეს შემთხვევაში, ხულოსა და ქობულეთში შედეგები უბან-უბან უნდა გაეუქმებინა. თანაც, კანონმდებელი პირდაპირ ამბობს, რომ ხელახალი არჩევნების დანიშვნის უფლება ცესკო-ს მაშინ ექნებოდა, თუკი გაუქმებულ უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რაოდენობა საერთო რაოდენობის ათ პროცენტს გადააჭარბებდა. თანაც, ხელახალი არჩევნები არა მხოლოდ გაუქმებულ უბნებში, არამედ მთლიანად საქართველოს მასშტაბით უნდა დანიშნულიყო, როგორც ეს ორი ნოემბრის არჩევნების შედეგების გაუქმების შემდგომ მოხდა. აქედან გამომდინარე, ცესკო-მ აშკარად დაარღვია კანონი. სწორედ ამიტომ ვთხოვთ სასამართლოს ამ განკარგულების გაუქმებას",** - განუცხადა "24 საათს" თინათინ ხიდაშელმა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

მისივე თქმით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, გამოიყენა ის უფლება, რომელიც მას საარჩევნო კოდექსმა მაჟორიტარული არჩევნების შედეგების დამტკიცების დროს მიანიჭა. ამის გაკეთება კი პროპორციული არჩევნების დროს არ შეიძლებოდა.

მართალია, თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ცესკო-ს ამ გადაწყვეტილებით მხოლოდ საარჩევნო კოდექსი დაირღვა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია აშკარად არღვევს იმ ვადებს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაშია მითითებული და რომლის თანახმად, ახალი მოწვევის პარლამენტის სხდომა პრეზიდენტმა კენჭისყრის დღიდან, მაქსიმუმ, 20 დღეში უნდა დანიშნოს. მანამდე კი, საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრიდან 18 დღეში არჩევნების შედეგები ოფიციალურად უნდა დაამტკიცოს. იმის გამო, რომ ხულოსა და ქობულეთში ხელახალი არჩევნებია დანიშნული, ცესკო შედეგების დამტკიცებას დადგენილ ვადებში ვერ შეძლებს.

თავად განსაჯეთ - არჩევნები ამ ორ ოლქში 18 აპრილსაა დანიშნული. სანამ კენჭისყრა არ გაიმართება, ცესკო-ს, ფაქტობრივად, არ აქვს უფლება, საბოლოო შედეგები შეაჯამოს. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი პარლამენტის სხდომას ვერ დანიშნავს. ეს კი პირდაპირ გამოიწვევს კონსტიტუციის დარღვევას.

მართალია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალურად ამის თაობაზე არაფერს ამბობენ, მაგრამ ასეთი საშიშროება რომ მართლაც არსებობს, კულუარებში არავინ უარყოფს.

# რევოლუციური პარლამენტის კონტურები

პირველი გვერდიდან

თითქმის ორი თვის განმავლობაში მთავრობა "უმეთვალყურეოდ" იყო დარჩენილი და საკუთარ მუშაობას თვითონვე აფასებდა, რაც, ცხადია, ობიექტურობის გარანტი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ინტერესი არსებობს, როგორი იქნება ჩვენი პარლამენტი - ეგრეთ წოდებული "მორჩილი", თუ რეალობის დამნახავი და სააშკარაოზე გამომტანი.

ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ახალი პარლამენტი "მორჩილი" იქნება, აქვს საფუძველი. პირველ რიგში იმიტომ, რომ დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები". გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი ამ პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები არიან. ასე რომ, მკაცრი პარტიული დისციპლინის პირობებში, პარლამენტი მთავრობის დამატებად და მისი ნების აღმსრულებლად გადაიქცევა. ეს, ერთი მხრივ, მთავრობას გაუადვილებს მუშაობას და დააჩქარებს გადაწყვეტილებების მიღებას, თუმცა, აღარავინ იქნება თავად გადაწყვეტილებების ავ-კარგიანობის შემფასებელი, "მორჩილ" პარლამენტს კი სიკეთე არასდროს მოუტანია.

მიუხედავად იმისა, რომ ეჭვებს პარლამენტის "მორჩილობის" შესახებ სერიოზული საფუძველი აქვს, სერიოზული არგუმენტები არსებობს იმის სავარაუდოდაც, რომ აქამდე არსებულებს შორის ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ნებელობითი და ძნელად დასამორჩილებელი პარლამენტი. უკვე არჩეული საკანონმდებლო ორგანო პირობითად სამ ნაწილად იყოფა: "ნაციონალ-დემოკრატები", "მემარჯვენე ოპოზიცია" და მაჟორიტარი დეპუტატები. რამდენად შეიძლება ისინი მიდრეკილნი იყვნენ მორჩილებისკენ? ახალ მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსს წინამორბედთაგან უპირველესად განასხვავებს ის, რომ მათმა დიდმა უმრავლესობამ თავთავიანთ რაიონებში, შეიძლება მეტ-ნაკლები დარღვევებით, მაგრამ მაინც ძლიერი კონკურენციის პირობებში მოიპოვეს გამარჯვება. მათ არა აქვთ ის ვალდებულებები ხელისუფლების (მით უმეტეს ახალი) წინაშე, როგორც წინამორბედებს, რომელთაგან ბევრი, ფაქტობრივად, "დანიშნული" იყო ძველი ხელისუფლების მიერ. "დანიშნული" დეპუტატი, ცხადია, მორჩილი იქნებოდა ხელისუფლებისა, რადგან სწორედ ეს "მორჩილება" განაპირობებდა მის ბედს მომავალ არჩევნებში. ამიტომ იგი იძულებული იყო, თავისი რაიონის მოსახლეობის აზრზე მეტად ხელისუფლების აზრი გაეთვალისწინებინა. ახალი მაჟორიტარების პოლიტიკური მომავალი კი უპირველესად მათზევე იქნება დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ისინი, ალბათ, მწვავე ოპონენტები არ იქნებიან ხელისუფლებისა, მაგრამ უსიტყვო მორჩილებაც ნაკლებად ხელსაყრელი უნდა იყოს მათთვის.

"მემარჯვენე ოპოზიციამ" უმწვავესი კონკურენციისა და წამგებიანი სასტარტო მდგომარეობის პირობებში, მიუხედავად პესიმისტური პროგნოზებისა, შეძლო ბარიერის გადალახვა, რაც მას საშუალებას აძლევს, დაიკავოს ოპოზიციის ნიშა პარლამენტში და მისი გაფართოებისთვის იბრძოლოს. ცხადია, მათ ინტერესებში არ შედის არამცთუ მორჩილება, ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულებაც კი. თუმცა, "მემარჯვენე-მრეწველებს" ამ გზაზე შიგნით ექნებათ გადასალახი ერთი სერიოზული წინააღმდეგობა, მათი პოლიტიკური ინტერესები დაემორჩილება მათი ცალკეული წევრების ბიზნესინტერესებს თუ - პირიქით.

და მაინც, რაოდენობიდან გამომდინარე, პარლამენტის მორჩილების თუ დაუმორჩილებლობის ხარისხს "ნაციონალ-დემოკრატები" განაპირობებენ. ეს მოძრაობა თითქმის საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს, ხოლო სახელმწიფოს სამი პირველი პირი მისი ლიდერები არიან.

ხშირად პოლიტოლოგები და ჟურნალისტები ამ სამი ლიდერის ერთმანეთისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ხედავენ "ნაციონალ-დემოკრატებში" მიმდინარე პროცესებს, ანუ თუ მათ ჰარმონიული დამოკიდებულება ექნებათ, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები ერთ ხმაზე იმღერებენ ან პირიქით. ამგვარი მოსაზრება არ უნდა იყოს ბოლომდე სწორი, რადგან ლიდერების პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გასათვალისწინებელია, რომ "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები" ჯერჯერობით, მართლაც, მოძრაობაა და არა ერთი პარტია. უფრო მეტიც, მას შეიძლება ძალიან გაუჭირდეს ერთ პარტიად ჩამოყალიბება, ფორმალურად გაერთიანების შემთხვევაშიც კი. სიმპტომატურია, რომ მიუხედავად განცხადებებისა და დაგეგმილი ყრილობისა, ჯერჯერობით გაერთიანება მხოლოდ სიების დონეზე მოხდა. ერთიანი სია აერთიანებს ადამიანებს, რომლებმაც მოახერხეს გაერთიანება კრიტიკულ მომენტში, გამოიჩინეს დიდი ნებისყოფა და მიზანსწრაფულობა და დაამხეს ძველი ხელისუფლება. ისინი ერთიანნი და შეთანხმებულები იყვნენ იმაში, რა არ მოსწონდათ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ ერთი და იგივე "მოეწონებათ". შეიძლება უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ საჯაროდ გამოსვლებისას ზოგი მათი წარმომადგენელი "მემარჯვენედ" მიიჩნევს თავის მოძრაობას, ზოგი - "ცენტრისტად", ზოგიც - "მემარცხენედ".

ასევე გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ლიდერისადმი გამოკვეთილი პატივისცემისა, "ნაციონალ-დემოკრატების" დიდი ნაწილი სიაში მოხვედრას საჩუქრად არ აღიქვამს, არამედ პირად დამსახურებად, რადგან მიაჩნიათ და, ალბათ, სამართლიანადაც, რომ არა მხოლოდ უბრალო შემსრულებლები იყვნენ, არამედ თავად ქმნიდნენ ვარდების რევოლუციას. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის ადამიანები, რომლებიც უზარმაზარ რისკზე წავიდნენ და პარლამენტი აიღეს, იმავე პარლამენტში პირში წყალს ჩაიგუბებენ. მათ დუმილის საშუალებას არ მისცემთ, ერთი მხრივ, პოლიტიკური ამბიციები, მეორე მხრივ, "რევოლუციის სინდრომი".

"ნაციონალ-დემოკრატების" სიისთვის თვალის გადავლებაც კი საკმარისია იმის პროგნოზირებისთვის, რომ მთავრობას ყველაზე მეტი "თავისტკივილი" სწორედ მათგან ელის.

ძველი კონსტიტუციის და ხელისუფლების პირობებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების უფროსი პრეზიდენტი იყო, ხოლო სახელმწიფო მინისტრი პარლამენტში უმრავლესობით წარმოდგენილი პარტიის თავმჯდომარე, ბუნებრივი მოვლენა იყო, რომ "მორჩილი უმრავლესობა" თავად იცავდა და ამართლებდა ბიუჯეტის შეუსრულებლობას. ძალიან საეჭვოა და თითქმის გამორიცხული, ახალ პარლამენტში ვინმემ მოისურვოს მთავრობის დაცვა, თუ მან ბოლომდე არ შეასრულა თავისი ვალდებულებები.

რამდენად ნაყოფიერი და ხარისხიანი იქნება პარლამენტის მუშაობა, მომავალში გამოჩნდება. თუმცა, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ დიდი შანსია, იგი ქართული პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცეს.

# სააკაშვილი აბაშიძეს ახალი წესებით თამაშის შანსს უტოვებს

პირველი გვერდიდან

**ბა აჭარელის დაჩაგვრა".**

**"საქართველო ვერ გახდება ეკონომიკურად განვითარებული და სახელმწიფოებრივად კონსოლიდირებული, თუ აჭარის რეგიონში ადამიანთა უფლებების დარღვევა არ აღმოიფხვრება".**

**"საქართველოს მთავრობა არ შეეგუება ვინმეს მხრიდან აჭარლების დაჩაგვრას, საკუთარი მატერიალური და მონოპოლიური ძალაუფლების განმტკიცების მიზნით."**

აჭარის თემას პრეზიდენტი შავი ზღვისპირეთის მიწების განკარგვასთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მინისტრის მიერ გაკეთებული მოხსენებისას დაუბრუნდა. მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ტერიტორიაზე წარმოებული მშენებლობები დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს და შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გამოიძიონ, ვინ გასცა ამ მშენებლობების დაწყების უფლება. **"მთელი სანაპირო ზოლი, ფაქტობრივად, პრივატიზებულია თანამდებობის პირების მიერ და იშენებენ პირად აგარაკებს. ჩემი აზრით, ეს ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას საქართველოში",** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და საგანგებოდ გამოყო ასეთი მშენებლობები აჭარის ტერიტორიაზე. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე სააკაშვილმა მითითება მისცა კომუნიკაციებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს თამარ სულუხიას, რომ აღნიშნული საკითხი პირად კონტროლზე აიყვანოს. **"ამგვარი ფუფუნების უფლება ჩვენს ქვეყანას არ აქვს. ანაკლიიდან სარფამდე, მთელი საზღვაო სანაპირო ხალხის კუთვნილებაა, სადაც უნდა აშენდეს სხვადასხვა სასტუმროები და შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა ქვეყანაში ტურიზმი განვითარდეს",** - ასეთია პრეზიდენტის ხედვა.

საგულისხმოა, რომ ერთადერთ გამონაკლისად პრეზიდენტს მიაჩნია ურეკის სანაპირო, სადაც ამჟამად, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ხელმძღვანელობით, "იმედის ქალაქი" შენდება.

თავის მხრივ, საინტერესო იყო აჭარის ხელმძღვანელობის გუშინდელი ნაბიჯები: პრეზიდენტის რწმუნებულები სარფისა და ბათუმის საბაჟოებზე, დავით ახალაია და ვასილ სანოძე გუშინ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ამჯერად მათ აჭარაში მუშაობის პრობლემა არ შექმნიათ. როგორც საზღვაო ნავსადგურის უფროსმა ჯამბულ ნინიძემ განაცხადა, წინა ჩასვლის დროს ახალაიასა და სანოძეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ დებულების უქონლობის გამო შეექმნათ. ამ დაძაბულ ვითარებაში აჭარის ხელმძღვანელობის უკან დახევა დამაიმედებელია.

თავად პრეზიდენტის წარგზავნილებმა გუშინ "24 საათს" განუცხადეს, რომ სიტუაცია, მართლაც, საგრძნობლად არის შეცვლილი, საბაჟოს და ნავსადგურის ხელმძღვანელებთან შეხვედრა არ გაძნელებიათ, მათ უკვე ოფისები გამოუყვეს და დღეიდან ისინი მუშაობას შეუდგებიან.

და, ბოლოს : გუშინ გავრცელდა ინფორმაცია თენგიზ ასანიძის ჯგუფის ერთ-ერთი წევრის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც რეგიონის ხელმძღვანელობის მიერ ცივილიზებული ნორმების აღიარებისკენ გადადგმული კიდევ ერთი


UNOMIG МООННГ
UNITED NATION OBSERVER MISSION IN GEORGIA
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

| განცხადება ვაკანსიის თაობაზე<br>ვაკანსიის ნომერი GEO-2004-02 | | |
|---|---|---|
| რანგი<br>GSL-5 | თანამდებობა<br>მედია ანალიტიკოსი | სამუშაო ადგილი<br>თბილისი |

[illegible] MS Office-ისა და Web design-ის [illegible]

[illegible] $ 11, 864- $ 15, 431, [illegible] $ 9,610-$12,499.

[illegible] Personal History Form [illegible] 16 აპრილამდე 2004 [illegible]

[illegible] tarba@un.org

United Nations Observer Mission in Georgia
UNOMIG

| External Vacancy Announcement<br>Vacancy number GEO-2004-02 | | |
|---|---|---|
| Grade<br>**GSL-5** | Functional Title<br>**Media Analyst** | Duty Station<br>**Tbilisi** |

**Duties and Responsibilities:**

Under the supervision of the Spokesperson, the incumbent will be responsible for the following:

- Provide daily press information from various sources, including the internet and news agencies as well as relevant news items from Georgian programmes.
- Provide ongoing analyses of Georgian/regional/international politics related to UNOMIG's mandate and activities.
- Select and collate daily press bulletins and dispatch to UN HQ in New York and other addresses.
- Prepare and update news form Georgian Media on the UNOMIG Website on a daily basis.
- Attend conferences as appropriate to provide analyses of events. Maintain regular contact with counterparts in the mass media.
- Assist Political/Civil Affairs Officers, Special Assistant and Spokesperson in liaising with the media.
- Perform any other related duties as may be assigned by the supervisor.

**Competencies:**

- **Professionalism** – Up-to-date knowledge of current affairs, topics and issues and ability to identify public affairs needs. Ability to work under pressure of frequent and tight deadlines.
- **Planning and organizing** – Ability to plan and manage conflicting priorities.
- **Communication** – Excellent communication (spoken, written, skills, including ability to produce a variety of written communication products and to articulate ideas in a clear concise manner.
- **Teamwork** – Good interpersonal skills and ability to establish and maintain effective working relations in a multi-cultural, multi-ethnic environment with sensitivity and respect for diversity.
- **Creativity** – Ability to assist in the design, creation and delivery of new and effective communication products and services.

**Qualifications :**

Education: Completion of high school required. Supplemental course work/training in public relations, journalism is a prerequisite. Documented evidence of knowledge in MS Office Software and web site development.

Experience: Three to five years of progressively responsible experience in journalism, communication or public information at the national level. International experience would be an asset.

Languages: Fluency and drafting skills in English, Russian and Georgian languages.

**Remuneration:**

Salary attached to this post will range between $11,864 and $15,431 gross per annum, which after United Nations staff assessment gives an approximate yearly net salary of $9,610 and $12,499 respectfully, depending on individual qualification and experience of the applicant.

Please send your curriculum vitae or Personal History form (available at UN website) by **16 April 2004** to the address below.

Attn: Chief Civilian Personnel Officer,
UNOMIG
38 Krtsanisi street, Tbilisi, Email: tarba@un.org

# პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე

პირველი გვერდიდან

დიპლომატიურ კორპუსსაც.

ფინანსთა მინისტრის თქმით, სერიოზული ინვესტიციების ჩადება იგეგმება სოფლის მეურნეობაშიც; კერძოდ, ჩაის პროგრამის განხორციელება-დაფინანსებაში. ინვესტიციები ჩაიდება ასევე ენერგეტიკაში, რაც, ფინანსთა მინისტრის თქმით, საშუალებას მოგვცემს, რომ გაიზარდოს გენერაცია და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება.

## ენერგეტიკაზე

ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური 24-საათიანი ენერგომომარაგების გარანტიას ვერც მომავალი წლისთვის იძლევა. როგორც მან მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ენერგეტიკის სფეროში უმძიმესი ვითარებაა შექმნილი:

გილაურის თქმით, დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას მოითხოვს როგორც ქსელები, ისე ჰიდროელექტროსადგურებიც; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი შემდგომი გამართული მუშაობა გამორიცხულია. გარდა ამისა, მინისტრის თქმით, გასასტუმრებელია ენერგეტიკის სფეროში მომუშავე პერსონალის თითქმის 27 მლნ. ლარიანი დავალიანება.

ამასთან, გილაურის აზრით, გარკვეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ შემცირდა ელექტროენერგიის არალეგალური მოხმარება; კერძოდ, ელექტროენერგიის დატაცება ორჯერ შემცირდა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით და მარტის თვეში 9 პროცენტი შეადგინა.

გილაურს ერთ-ერთ აუცილებელ ამოცანად მიაჩნია მცირე ლიცენზიანტების კორუმპირებული სქემის დაშლაც, რომელიც, მისი თქმით, ძირეულად ანგრევს ეკონომიკას.



საქართველოს მთავრობის სხდომა.

მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით უკვე მიმდინარე წელს ქვეყნის ენერგომომარაგება გაუმჯობესდება, დაწესდება გრაფიკი ქუთაისში, რუსთავსა და ზუგდიდში და ამ გრაფიკის დაცვას ენერგოსისტემა ზედმეტი გართულებების გარეშე შეძლებს.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული მდგომარეობის გამოსწორებაზე პასუხისმგებლობა ენერგეტიკოსებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც დააკისრა.

როგორც მან გუშინდელ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რეგიონების ელექტრომომარაგებაში არსებული პრობლემები ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გაუგონარ ქმედებებს უკავშირდება.

**"როცა იმერეთის ძველი ხელმძღვანელობა ქვესადგურებში დარბოდა და მათ ძალის გამოყენებით რთავდა, რეგიონში სრული ქაოსი იყო. ქუთაისში ადამიანური გრაფიკის შემოღება ახალი ხელისუფლების მოსვლიდან სამ კვირაში შესაძლებელი გახდა. რეგიონებში მოსახლეობამ უნდა იგრძნოს, რომ XXI საუკუნეში ცხოვრობს,"** - განაცხადა ჟვანიამ.

მისი თქმით, რეგიონების ელექტრომომარაგებაში არსებული ვითარების გამოსწორება 2004-2005 წლის ზამთრის სეზონზე შესაძლებელია, თუმცა გრაფიკის პირობებში. **"გრაფიკები სეზონის დასაწყისში წინასწარ გამოქვეყნდება,"** - განაცხადა ჟვანიამ და აღნიშნა, რომ ენერგეტიკოსებთან ერთად გრაფიკების დაცვაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამაც უნდა იზრუნოს.

## მოსალოდნელ რეფორმებზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას ახალი მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება მიაჩნია. პრემიერ-მინისტრს იმედი აქვს, რომ ამის წინაპირობად ის რეფორმები იქცევა, რომელიც ძალოვან უწყებებსა და საგადასახადო სისტემაში იგეგმება. როგორც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ჟვანიამ განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრო დაგეგმილი რეფორმების მიხედვით უახლოეს მომავალში დააღწევს თავს საბჭოურ მენტალიტეტს და ე.წ. "საბჭოთა მილიციიდან" ორგანიზებულ და ეფექტურ ძალად ჩამოყალიბდება. პრემიერ-მინისტრის თქმით, საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს ქვეყნისათვის ახალი "საგადასახადო კოდექსი", რომელიც, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივნისისათვის ამოქმედდება.

## ინვესტიციებზე

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო "ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს" შექმნას აპირებს. მისი პრეზენტაცია მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა მოაწყო.

მისი განცხადებით, აღნიშნული სააგენტო ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვასა და მათ შენარჩუნებას შეუწყობს ხელს. სააგენტოში გაერთიანდება სამი ძირითადი სტრუქტურა: ინვესტორების მომსახურების ცენტრი, ექსპორტის ხელშეწყობის ცენტრი და საინვესტიციო ფონდი.

აღსანიშნავია, რომ სააგენტო პოტენციური ინვესტორების ფინანსურ მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს და ამისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული თანხები იქნება გათვალისწინებული. ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოში 30-მდე ადამიანი იქნება დასაქმებული.

# "გაზპრომი" ნავთობბაზრის დაპყრობას გეგმავს

*რუსული გაზის მონოპოლისტი კომპანია "გაზპრომი" საკუთარ კომპანიას ქმნის, რომელიც ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვებით დაკავდება. "კომპანიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ "გაზპრომი" შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ნავთობბაზარზე ისეთ ცნობილ მოთამაშეებს, როგორებიცაა "სიბნეფტი" და "THK-BP", - იტყობინება რუსული გაზეთი "ვედომოსტი".*

დიანა ჩაჩუა

"გაზპრომის" თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრ რიაზანოვის განცხადებით, ზაფხულში შეიქმნება ახალი სტრუქტურა გაზის მონოპოლისტის შვილობილი კომპანიის სტატუსით; ამასთან, მისივე განცხადებით, თავიდან ახალი კომპანია 100 პროცენტით სახელმწიფოს საკუთრება იქნება, მაგრამ შემდეგ მისი აქციების დაახლოებით ნახევარი შეიძლება სტრატეგიულ ინვესტორს მიეყიდოს, ან საფონდო ბაზარზე იქნას გატანილი. **"ჩვენ გვესმის, რომ სხვაგვარად ვერ შევძლებთ, ნავთობბიზნესი საკმარისი ინვესტიციებით უზრუნველვყოთ,"** - განაცხადა რიაზანოვმა.

მისი სიტყვებით, ახალი კომპანია - "გაზპრომნეფტი" - დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, 30-40 მლნ. ტონა ნავთობსა და გაზის კონდენსატს მოიპოვებს და კომპანიის მოგებამ, შეიძლება, 3-4 მილიარდი დოლარი შეადგინოს. იგეგმება, რომ "გაზპრომნეფტმა" ნავთობის მოპოვება კასპიაში "ლუკოილთან" ერთად განახორციელოს, ხოლო რუსეთის ჩრდილო-დასავლეთში - "როსნეფტთან" ერთად. "გაზპრომი" იმედოვნებს, რომ კომპანია გაზის ახალი საბადოებიდან ნავთობის დიდ რაოდენობას მოიპოვებს.

როგორც რიაზანოვმა აღნიშნა, "გაზპრომნეფტმა", შესაძლოა, "ტრანსნეფტის" მილსადენის საშუალებით მოპოვებული ნავთობის ნახევრის ექსპორტი განახორციელოს, თუმცა "ტრანსნეფტში" აცხადებენ, რომ ვერ ხედავენ მილსადენის საშუალებით ნავთობის გატარების მოცულობის გაზრდის შესაძლებლობას.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ახლადდანიშნული თავმჯდომარე გია თავაძე დღეს მუშაობას შეუდგა, თუმცა თავმჯდომარის კაბინეტში შესვლა ვერ მოახერხა, რადგან მისი წინამორბედის - დავით მირცხულავას დაკავების გამო კაბინეტი დალუქულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**სომხეთი.** "გერმანული ბანკი KfW სომხეთს 4,7 მილიონ ევროს ოდენობის კრედიტს გადასცემს პროგრამის "სომხეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის გადაცემის რეგიონალური სისტემა - ალავერდი - 2" რეალიზებისათვის," - იტყობინება სააგენტო მედიამაქსი. როგორც სომხეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ვარდან ხაჩატრიანმა განაცხადა, კრედიტის მიმღები, რომელსაც გარანტად სომხეთის მთავრობა დაუდგა, არის დახურული სააქციო საზოგადოება "მაღალი ძაბვის ელექტროხაზები". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლისის ქვესადგურში ტრანსფორმატორის დაზიანების გამო კომპანია "თელასი" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობის გაზრდას ვერ ახერხებს. "თელასში" განაცხადეს, რომ ამჟამად ლისის ქვესადგურის მეშვეობით სომხეთიდან თბილისში 100 მეგავატი სიმძლავრე შემოდის, რაც ქალაქში არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საკმარისი არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღმსრულებლო ბიურომ ფოთში თურქული ტანკერი "ემა" აუქციონზე გაიტანა. გემის საწყის ფასად 200 ათასი ლარი დასახელდა. აუქციონზე ერთადერთი განაცხადი თბილისში რეგისტრირებულმა ფირმა "ემ-ჯი-ეს"-მა შეიტანა. მისმა წარმომადგენელმა კახა იჩქიტიძემ ტანკერის შესაძენად აუქციონს 142 ათასი ლარი შესთავაზა, რაც ქონების ღირებულების 70 პროცენტს აღემატება. მესაზღვრეებმა თურქული ტანკერი "ემა" საქართველოს ტერიტორიულ წყლებში 19 აგვისტოს დააკავეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახლად შექმნილ აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში, რომელმაც მუშაობა გუშინ დაიწყო, თავდაპირველად გასაუბრების შედეგად შერჩეული 50-მდე თანამშრომელი დაიწყებს მუშაობას. როგორც "ინტერ-პრესს" ინსპექციის ხელმძღვანელმა კახა დამენიამ განუცხადა, გასაუბრებაში, რომელიც ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის, აქციზური მარკების სამსახურის, აქციზური მარკების მონიტორინგის ბიუროს თანამშრომლებმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გუშინ გამართული ვაჭრობის შედეგად ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 აშშ დოლარი - 2,00 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საოლქო სასამართლოში გუშინ დაგეგმილი იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამშენებლო დერეფანში მოქცეული ახალციხის რაიონის სოფელ ნაოხრების მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული საქმის განხილვა. მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო პროცესი დროებით გადაიდო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბაქო.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ფარგლებში სანგაჩალის ნავთობტერმინალზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ტერმინალის პროექტის ანალიტიკოსის ნადირ იმანოვის განცხადებით, დღეისთვის მთავარი საქაჩი სადგურის მშენებლობის სამუშაოთა 60 პროცენტი უკვე შესრულებულია. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საქაჩ სადგურებს კონტრაქტორი "სპი კაპაგ-პეტროფაგი" აშენებს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ნავთობსადენის მშენებლობაზეც მუშაობს. **მედია-ნიუსი**

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**8 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბაგების დასახლების, წყნეთის გზატკეცილის, უჩანეიშვილის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**8 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
კოჯრის გზატკეცილის, ამაღლების, ლადო ასათიანის, იაშვილის, ჯორჯაძის, ლეონიძის, ლერმონტოვის, მაჩაბლის, სოლოლაკის ხევის, ქიქოძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# ტრანზიტული "ეშმაკობები" მილიონიანი ზარალით

ნინო წერეთელი

**"ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები ამიერიდან ავტომატურად იმუშავებს გილიოტინასავით"** - ეს "კანონი" არც შუა საუკუნეების საფრანგეთსა და ინგლისში მიუღიათ და არც ძველ რომში. მისი შემოქმედი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახლავთ. მართალია, ახალი წესის შეუსრულებლობისთვის თავებს არავის დააყრევინებენ, მაგრამ როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, ამიერიდან ბიუჯეტის გარღვევისთვის ფისკალური სამსახურების ხელმძღვანელები უმალ დატოვებენ თანამდებობებს.

პირველი კვარტლის ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებისთვის ფინანსურმა გუნდმა, მადლობის პარალელურად, პრემიერ-მინისტრის ასეთი მკაცრი ტონიც დაიმსახურა. მიზეზი ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არსებული კონტრაბანდული საქონელია. მიუხედავად სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმის 40 მილიონი ლარით გადაჭარბებისა, კვლავ გარღვეულია ნავთობპროდუქტების შემოსავლების მაჩვენებლები.

ეკონომიკის სამინისტროში კატასტროფულად მიიჩნევენ, რომ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე არალეგალური პროდუქციის წილი საშუალოდ 65-70 პროცენტამდე მერყეობს. კონტრაბანდის მასშტაბების დასადგენად სამინისტროს საგანგებო კვლევა დასჭირდა. აღმოჩნდა, რომ ისეთ იაფფასიან საქონელზეც კი, როგორიცაა ასანთი, ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი 78 პროცენტს შეადგენს.

ექსპერტთა გაანგარიშებით, უკანასკნელ ხანებში ქვეყანაში მოხმარებული საავტომობილო ბენზინის - მხოლოდ 44 პროცენტი, დიზელის საწვავის - 23 პროცენტი და ნავთის 11 პროცენტი განბაჟდა. ცნობილი ფაქტია, რომ ნავთობპროდუქტების კონტრაბანდა ქვეყნის ბიუჯეტის სიმწირის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლეგალური გზით შემოტანილი ბენზინის მოცულობა ყოველწლიურად მცირდება, უცვლელია მისი მოხმარება. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ნავთობსექტორიდან გადასახადების წარმატებულად ამოღებას შეძლებს, საგადასახადო შემოსავლები 30 პროცენტით გაიზრდება.

უცხოელი ექსპერტების (PA Consulting Group) გათვლებით დადგინდა, რომ მთავრობას მხოლოდ ნავთობსექტორიდან წელიწადში 250 მილიონი დოლარის მიღება შეუძლია. ორი პროდუქტი - ბენზინი და დიზელი შეადგენენ ამ თანხის 75 პროცენტს, ანუ 186 მილიონ დოლარს; არადა, ბოლო წლებში ამ საქონლის დაბეგვრიდან მიღებული რეალური შემოსავალი მხოლოდ 50 მილიონი დოლარი იყო.

კონტრაბანდისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის ისიც, რომ მეზობელ ქვეყნებში ნავთობპროდუქტები იაფია საქართველოსთან შედარებით. ამასთან, ერგნეთის ბაზრობიდან საწვავი უკანონოდ, ძირითადად, წვრილ იმპორტიორებს შემოჰქონდათ. კონტრაბანდის ძირითადი მოცულობა რკინიგზით შემოტანილ და გაუფორმებელ ტვირთებზე მოდიოდა.

საწვავის კონტრაბანდულად შემოსვლის კიდევ ერთი გზაა ქვეყნის უკონტროლო ტერიტორიები. სპეციალისტების განცხადებით, ბენზინი აფხაზეთში გემებით შედის. შემდეგ ენგურის ცენტრალური ხიდის გავლითა და შემოვლითი გზებით გადაიზიდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, სადაც ხდება მისი რეალიზაცია.

სამწუხაროდ, კონტრაბანდული საქონლის შემოტანა აიძულებს სხვა იმპორტიორებს, კონკურენციის გაწევის მიზნით მიმართონ ფალსიფიკაციას, კერძოდ, მათ შემოაქვთ სხვადასხვა მინარევი (მაგალითად, პიროლიზური ფისი). ასეთი სახის ნივთიერებები უფრო ნაკლებად იბეგრება. მას ურევენ დაბალხარისხიან, იაფ ბენზინში, რითაც ხელოვნურად იზრდება საწვავის ოქტანობის რიცხვი და ამ იაფი გზით ძვირფასიანი ბენზინი მიიღება. ამგვარი საწვავი კი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია.

კონტრაბანდის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ტრანზიტად გაფორმებული ტვირთის რეალიზაცია ქვეყნის ტერიტორიაზე. მოხმარებული საწვავის საერთო მოცულობაში საკმაოდ დიდია საქართველოს ტერიტორიის გავლით გასატანი საწვავის ოდენობა, რომლის დიდი ნაწილი უკანონოდ იყიდება შიდა ბაზარზე. ტვირთი ფორმდება ისეთ რეჟიმში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნიდან მის გატანას, სინამდვილეში ის ადგილზე რჩება და დაუბეგრავად იყიდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ტრანზიტული ნავთობპროდუქტების დიდი მოცულობა აზერბაიჯანიდან შემოტანილ ტვირთზე მოდიოდა.

ნავთობის ბიზნესში დაკავებულნი საგადასახადო კოდექსის ნაკლზეც ჩივიან და აცხადებენ, რომ რამდენიმე წლის წინ ქვეყნის საგადასახადო საბაჟო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ნავთობპროდუქტების დაბეგვრა გაუქმდა და შესაბამისი ტარიფი აქციზის გადასახადს დაემატა. ამით ქვეყნის ნავთობგადამამუშავებელი სექტორი მძიმე რეჟიმში მოექცა და მდგომარეობაც კონტრაბანდისტების სასარგებლოდ შეიცვალა.

როგორც ჩანს, ნავთობპროდუქტების სფეროს სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს. ამ დღეებში საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ ეს სექტორი პრიორიტეტად დაასახელა და აღნიშნა, რომ მის უწყებაში შექმნილი საზოგადოებრივი საბჭო სწორედ ნავთობპროდუქტების იმპორტის საკითხის შესწავლით დაიწყებს ფუნქციონირებას.

# "ფერო" წრიულ ალყაში

**ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა კვლავაც "წრიულ ალყაშია". "ფეროსთვის" ეს უკვე იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, რომ, ალბათ, გაკვირვებასაც აღარ იწვევს. ტრადიციული იყო ბრძოლის ახალი ეტაპის სტარტი - მუშა-მოსამსახურეების გაჭირვებულ სვე-ბედზე მოთქმა და ნიანგის ცრემლების ღვარღვარი. უცვლელია შედეგიც - ქარხნის შეფერხებული საქმიანობა და კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარი სტაბილური განვითარება. ერთადერთი, რაც ახალია, სამიზნე გახლავთ: წინამორბედების მძიმე ხვედრის გაზიარება ამჯერად კომპანია "დეკომეტალ ინტერნეშენელ თრეიდინგს" უხდება, რომელიც შარშანდელი ზაფხულიდან "ფეროს" საკონტროლო პაკეტის მფლობელია.**

"დეკომეტალს", რომელიც მსოფლიოს მეტალურგიულ ბაზარზე უკვე საუკუნენახევრის განმავლობაში მოღვაწეობს და, ალბათ, ბევრი სხვადასხვა კალიბრის კონკურენტიც უნახავს, საქართველოში რუსული კომპანია "პრომიშლენნიე ინვესტორი" ებრძვის. ავსტრიელებს, რომელთა აქტივშიც ბოლო ექვს თვეში "ფეროს" წარმოების გასამმაგება და მსოფლიო ფეროშენადნობთა ბაზრის 6%-ის დაპყრობაა, ზესტაფონში ის რუსული კომპანია ავიწროებს, რომელსაც საქართველოს მიმართ ერთადერთი "აქტივი" ერიცხება: "პრომიშლენნიე ინვესტორის" მეპატრონე სერგეი გენერალოვი 1998-99 წლებში რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი გახლდათ და დიდი ნავთობსადენის ქართული მარშრუტის დასასამარებლად წარმოებული კამპანიის მებაირახტრე იყო.

დღეს ბიზნესში გადაბარგებული გენერალოვის კომპანია "ფეროს" აქციების 25%-იანი პაკეტის მფლობელია და თავს არ იზოგავს, რათა როგორმე "ფეროს" მთელი ბიზნესი ხელში ჩაიგდოს. სწორედ ამით აიხსნება ის გამალებული შეტევა, რასაც რუსული კომპანია "ფეროს" ამჟამინდელი მფლობელი "დეკომეტალის" მიმართ ყველა მიმართულებით აწარმოებს.

"ფეროს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ილია კოკაია არ გამორიცხავს, რომ რუსული კომპანია ამ მიზნის მისაღწევად ყველანაირად ცდილობს თავის ავანტიურაში ქართველი ჩინოვნიკების ჩათრევას, რათა თავის ბრძოლას უფრო სოლიდური სახე შესძინოს. ბრძოლა კი რუსებს ნამდვილად ულირთ, რადგან "ფეროს" ამჟამინდელი წილი მსოფლიო ბაზარზე მთელი მისი არსებობის მანძილზე უპრეცედენტოა. ესეც არ იყოს, ნამდვილად დიდია ხიბლი იმ საწარმოს ხელში ჩაგდებისა, რომელმაც მსოფლიოს ლითონების გადაჯერებულ ბაზარზე ამხელა წარმატებას მიაღწია მაშინ, როცა უამრავი მისი კონკურენტი იმავე რუსეთში, უკრაინაში, ბრაზილიაში თუ სხვა ყოფილ მეტალურგიულ გიგანტ ქვეყნებში წლობით გაჩერებულია.

სწორედ 41 ქვეყანაში წარმატებით მოღვაწე ავსტრიული "დეკომეტალის" მიერ მოპოვებული კვოტების მეშვეობით გახდა შესაძლებელი "ფეროდან" 120 ათასი ტონა სილიკომანგანუმის გარანტირებული ექსპორტი. თუმცა, როგორც ყველა წინა შემთხვევაში ხდებოდა, ამჟამადაც წარმატებამ "ფეროს" უფრო მეტი მტერი შესძინა, ვიდრე კეთილისმსურველი. ქარხნის ახალი მეპატრონის წინააღმდეგ მიმართული კამპანიაც სწორედ ამ პროცესების გამოძახილია.

"დეკომეტალთან" ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა, სავარაუდოდ, დასაწყისია იმ პროცესებისა, რაც უკვე არაერთმა ქართულმა წარმოებამ გადაიტანა, როცა მოხდა მათი შეძენა, შემდეგ ხელოვნურად გაჩერება, გაკოტრება და ბოლოს სულაც ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. სამწუხაროდ, ამ პროცესებს მიღმა უპირატესად სწორედ რუსული კომპანიები იდგნენ, რომლებმაც ასეთი სქემით კონკურენტუნარიანი ქართული წარმოებები გზიდან ჩამოიცილეს.

**რუსული ბიზნესის "ფეროთი" დაინტერესების საეჭვოობაზე ის თვალსაჩინო მაგალითებიც მიუთითებს, რაც რუსულმა კომპანიებმა სხვა მეზობელი ქვეყნების მეტალურგიულ კომპლექსში მოღვაწეობით დაგვიტოვეს. იმავე უკრაინაში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მათ არაერთი ქარხანა შეიძინეს, შემდეგ კი გააჩერეს და მიწასთან გაასწორეს, რათა რუსული კომპანიებისთვის კონკურენტები ჩამოეცილებინათ. სავსებით სავარაუდოა, რომ ზესტაფონშიც იგივე სცენარით მოქმედება იგეგმებოდეს. ილია კოკაია აცხადებს, რომ რუსული ოლიგარქიული დაჯგუფებებისგან პირადად მან უკვე მიიღო არაერთი შეთავაზება, რათა "დეკომეტალს" "ფერო" მათთვის მიეყიდა. ამისათვის რუსები მზად არიან ათეულობით მილიონი დოლარი გაიღონ. მარტო აქედანაც კარგად ჩანს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ზესტაფონის ქარხნის ხელში ჩაგდებას, რომლის მუშაობაც მათ გადაულახავ წინააღმდეგობებს უქმნის.**

მუშაობით კი ქარხანა უკვე წინმსწრები ტემპით მუშაობს. კერძოდ, "ფერო" უკვე 2006 წლის მოცულობებით არის დატვირთული და მალე 150 ათასი ტონა სილიკომანგანუმის გამოშვებას შეძლებს. ამჟამად ქარხანაში უკვე 2600 კაცია დასაქმებული, რომელთა ხელფასიც უკვე 43 პროცენტით გაიზარდა, ერთ წელიწადში მათი ანაზღაურება თურქი კოლეგების ხელფასს, რამდენიმე წელიწადში კი ანაზღაურების ევროპულ სტანდარტს გაუტოლდება.

*დავით ილურიძე*

# ამბოხება ერაყში

პირველი გვერდიდან

ბასრაში დაწყებული საპროტესტო აქციის მშვიდობიანობა ლონდონში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმაც დაადასტურა. მიუხედავად ამისა, ბასრას ადმინისტრაციის შენობასთან ბრიტანელი სამხედროები და ტანკები განლაგდნენ.

### ვინ არის მოქთარ სადრი?

ახალგაზრდა შიიტი სასულიერო პირი - სადრი, ერაყელებისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობას თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა. ის ოკუპაციის დღიდანვე მოითხოვს კოალიციის ნაწილების მიერ ერაყის ტერიტორიის დატოვებას. სადრის მომხრეთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მისი პოპულარობა კი ერაყელ შიიტებში დღითი-დღე იზრდება. ამას, მეტწილად, მისი ახალგაზრდული ასაკი განაპირობებს.

სადრი 30 წლისაა. ის ცნობილი შიიტი კლერიკანის მოჰამედ სადრის შვილია, რომელიც 1999 წელს სადამის რეჟიმის მსხვერპლი გახდა. მოჰამედ სადრმა ერაყში შიიტური საქველმოქმედო ორგანიზაციების საკმაოდ ეფექტური ქსელი შექმნა, რომელსაც ამჟამად უკვე მისი შვილი ხელმძღვანელობს.

2003 წლის ივნისში მოქთარ სადრმა გასამხედროებული დაჯგუფება "მეჰდის არმია" ჩამოაყალიბა. მან თავის მომხრეებს პირობა მისცა, რომ უახლოეს მომავალში შიიტურ წმინდა ქალაქ ნეჯეფში არა ამერიკული, არამედ მათი მმართველობა დამყარდებოდა. გარდა ამისა, მან ამერიკელების მიერ ჩამოყალიბებული დროებითი ერაყული მმართველობის პარალელურად, შიიტური ალტერნატიული სტრუქტურის შექმნის შესახებაც გამოაცხადა. თუმცა, ამ ალტერნატიულ სტრუქტურას არავითარი რეალური ძალაუფლება არ გააჩნია.

2003 წლის აპრილში, ბაღდადის დაცემიდან ორი დღის შემდეგ, სადრის მომხრეებს ბრალად დასდეს ქალაქ ნეჯეფში ზომიერი შიიტი ლიდერის აბდულ მაჯიდ ელ-ხოზეის მკვლელობა. თავად სადრი ელ-ხოზეის სიკვდილთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ, მოქთად სადრმა აქტიურად დაიწყო გავლენის გაფართოების მცდელობა. ამ მიზნით ის ირანში ჩავიდა, სადაც თეირანის მაღალი დონის წარმომადგენლებს შეხვდა. სავარაუდოა, რომ მათგან მან პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის გარანტიები მიიღო. მისი პოპულარობა უკვე იმდენად გაიზარდა, რომ ერაყელმა შიიტებმა ბაღდადის შიიტურ უბანს, რომელსაც ადრე "სადამ სიტის" უწოდებდნენ, "სადრი-სიტი" დაარქვეს.

### შიიტური ამბოხი

კვირას დაწყებულ მოვლენებს, რომელმაც თითქმის მთელი ერაყის ტერიტორია მოიცვა, თამამად შეიძლება შიიტური ამბოხის კვალიფიკაცია მიეცეს. შიიტური გამოსვლების საბაბი მოქთარ სადრის მოადგილის და თანამებრძოლის დაპატიმრება გახდა. ის ამერიკელებმა შაბათს დააკავეს და იმავე დღეს შიიტური გაზეთიც დახურეს.

ამბოხის დაწყების ეპიცენტრი კი ბაღდადის შიიტური უბანი - "სადრი-სიტი" იყო, სადაც ერაყელ შიიტებსა და ამერიკელ სამხედროებს შორის შეტაკების შედეგად ოცდაოთხი ამერიკელი ჯარისკაცი დაშავდა.

იმავე დღეს შიიტებმა ბაღდადის სხვა ნაწილში შვიდი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეც მოკლეს.

ბაღდადში დაწყებული ტრაგედია შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფში გაგრძელდა. აქ მრავალათასიანმა დემონსტრაციამ გეზი ესპანური სამხედრო ბაზისაკენ აიღო. საპასუხოდ ესპანელებმა მასირებული ცეცხლი გახსნეს, რის შედეგადაც 20 შიიტი დემონსტრანტი დაიღუპა, ხოლო ასზე მეტი დაიჭრა. შიიტური ამბოხის მთავარ ძალას სადრის მიერ დაარსებული შეიარაღებული დაჯგუფება "მაჰდის არმია" წარმოადგენს.

სულ, ბაღდადსა და ნეჯეფში მომხდარ შეტაკებებს 40-მდე შიიტი ერაყელი ემსხვერპლა, ხოლო 160-ზე მეტი დაიჭრა.

### მასშტაბური ქაოსის საფრთხე

შიიტური ამბოხი საერთაშორისო თანამეგობრობის, უპირველეს



ამერიკელი სამხედროები ბაღდადში შიიტების დემონსტრაციის განდევნას ცდილობენ.

ყოვლისა კი, აშშ-ს ხელისუფლების განსჯის საგანი გახდა. ვაშინგტონი უკვე სერიოზულად ფიქრობს, რომ გადადოს ერაყელებისათვის ხელისუფლების გადაცემის პროცესი, რომელიც 30 ივნისისათვის არის დაგეგმილი. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. თეთრი სახლი ერაყში ვითარების სტაბილიზაციას მის ხელთ არსებული ყველა მეთოდით ცდილობს. თუმცა, ამერიკელი პოლიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ 30 ივნისს, თუკი ერაყელები საკუთარი ქვეყნის მართვას თავად აიღებენ ხელში, ქვეყანაში უსასტიკესი და ხანგრძლივი სამოქალაქო ომი გაჩაღდება.

შიიტები, რომლებიც ერაყის მოსახლეობის 60 პროცენტს წარმოადგენენ, სადამის მმართველობის წლებში პოლიტიკურ უმცირესობაში იმყოფებოდნენ. ქვეყნის ხელისუფლების ყველა სადავე სუნიტების ხელში იყო თავმოყრილი. ამჯერად კი შიიტებს ერაყის მართვის საკმაოდ სერიოზული და, ერთის მხრივ, სამართლიანი ამბიცია გაუჩნდათ. მათი იმედები თავდაპირველად აშშ-ს ინტერვენციას ემყარებოდა, მაგრამ ისინი მალევე მიხვდნენ, რომ იმ კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც უკვე დამტკიცებულია, ისინი ქვეყნის ექსკლუზიური მმართველები ვერ გახდებოდნენ. მათი ბოლოდროინდელი აქტივობა, რომელიც უკვე ამბოხში გადაიზარდა, სწორედ ამ ამბიციური მიზნებით არის ნაკარნახევი. აქვე გასათვალისწინებელია ირანის ფაქტორიც, რომელსაც ერაყში მზარდი ინტერესები გააჩნია და მათი რეალიზებისათვის პირველ რიგში, იმ კოზირის გათამაშებას აპირებს, რასაც მოსახლეობის შიიტური უმრავლესობა ეწოდება. ეს კი, რასაკვირველია, ვაშინგტონის გეგმებში არანაირად არ შედის. სადამი ვაშინგტონმა დაამხო და არა თეირანმა. შესაბამისად, ერაყის ბატონ-პატრონიც თეთრი სახლი უნდა იყოს და არა კლერიკანული ირანი.

ამბოხებული შიიტების გარდა, ერაყის სტაბილიზაციას პროსადამური დაჯგუფებებიც უშლიან ხელს. ეს რაზმები კვლავ აქტიურად აგრძელებენ პარტიზანულ ომს, როგორც კოალიციის ნაწილების, ასევე შიიტების წინააღმდეგაც. **"სუნიტური სამკუთხედი ერაყში იქცა ბაზად, სადაც აშშ-ს წინააღმდეგ მოქმედ ისლამისტებს წვრთნების ჩატარება და კადრების მომზადება შეუძლიათ. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნები,"** - წერს ბრიტანული გაზეთი "გარდიანი."

განაწყენებულ შიიტებსა და განრისხებულ სუნიტებს, რომლებიც, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ალ-ქაიდას" ერთგულ მოკავშირეებს წარმოადგენენ, ერაყელი ქურთებიც ემატება. ისინი ჩრდილოეთ ერაყში თურქეთის გავლენის ზრდის საშიშროებით არიან შეშფოთებულები. თურქეთი, როგორც რეგიონში აშშ-ს ტრადიციული სტრატეგიული მოკავშირე, თავისი ამბიციების დაკმაყოფილებას ცდილობს. არჩევანის შემთხვევაში კი ვაშინგტონი, ალბათ, პირველ რიგში, თურქეთის ინტერესების სასარგებლოდ გადადგამს ნაბიჯს და ერაყელი ქურთების იგნორირებას გაცილებით ადვილად მოახდენს, ვიდრე ანკარის განაწყენებას.

ამდენად, ერაყში სამოქალაქო ომის ნიადაგი უკვე კარგა ხანია, მზად არის. 30 ივნისს ერაყელებისათვის ხელისუფლების სადავეების გადაცემაა დაგეგმილი. ამ თარიღამდე სამ თვეზე ნაკლებია დარჩენილი. ამ დროში კი ერაყში ვითარების ნორმალიზაცია დღევანდელი გადასახედიდან ყოვლად წარმოუდგენელია. ასეთ შემთხვევაში, ვაშინგტონი ერაყის მართვას გაურკვეველი დროით გააგრძელებს. თუმცა, აშშ-ს ინტერესებისათვის სცენარის ასეთი სახით განვითარებაც არ არის უსაფრთხო. ერთი მხრივ, კვლავ წარმოიქმნება ევროპასთან ურთიერთობის გამწვავების პრობლემა. ვაშინგტონმა ხომ საფრანგეთთან და გერმანიასთან თანამშრომლობის ჩვეულ კალაპოტში ჩაყენება სწორედ იმის ხარჯზე შეძლო, რომ ერაყელებისათვის მმართველობის სადავეების ვადაზე ადრე გადაცემას დათანხმდა. გარდა ამისა, არსებობს მეორე - ნაკლებად რეალური, მაგრამ მაინც საგანგაშო საფრთხე. კერძოდ, თუკი ადრე შიიტები აშშ-ს მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ, დღეს ისინი უკვე ხმამაღლა ითხოვენ ამერიკელების გასვლას ქვეყნიდან. არ არის გამორიცხული, რომ შიიტებმა და სუნიტებმა ვაშინგტონის წინააღმდეგ საერთო ენის გამონახვა მოახერხონ, თუნდაც დროებით. ეს კი აშშ-ს რეგიონული ინტერესებისათვის კატასტროფის ტოლფასი იქნება. მართალია, მოვლენების ამ გზით განვითარების ალბათობა, სუნიტების და შიიტების ტრადიციული მტრობიდან გამომდინარე, ნაკლებ საეჭვოა, მაგრამ გამორიცხული, რასაკვირველია, არაფერია. ამიტომ, ბუშის ადმინისტრაცია სერიოზული დილემის წინაშე დგას, რომლის გადაჭრაც აშშ-ს პრეზიდენტმა უმოკლეს დროში უნდა მოახერხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყის კრიზისი მისთვის იმ აქილევსის ქუსლად გადაიქცევა, რომელიც ტეხასელ პრეზიდენტს კვლავ მშობლიურ რანჩოში დააბრუნებს.

# ამერიკის პოლიტიკა ცენტრალურ აზიაში

*ცენტრალური აზიის ლიდერები ტერორიზმის წინააღმდეგ ომში თავიანთ მონაწილეობას საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად იყენებენ.*

11 სექტემბრის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან მჭიდრო ალიანსების სისტემა შექმნა, რაც ადგილობრივმა მმართველებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. ანალიტიკოსების შეფასებით, მათი პოლიტიკა რეგიონში არასტაბილურობას ზრდის.

ავტორიტარული ლიდერები, განსაკუთრებით - უზბეკეთში, რომელიც რეგიონში წამყვან როლს ასრულებს, ადამიანის უფლებების დაცვას არად დაგიდევენ. ისინი არასწორად ალიქვამენ შეერთებული შტატების მიერ გაგზავნილ მესიჯს, რომ პოლიტიკური რეფორმების გატარება მნიშვნელოვანია. მათ მიაჩნიათ, რომ ამერიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან და, ამდენად, იმის გაკეთების უფლება აქვთ, რასაც საჭიროდ მიიჩნევენ.

ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და, შედარებით მცირე მასშტაბით, თურქმენეთში დემოკრატიზაციის პროცესის მხარდაჭერას, ძირითადად, ამერიკა ახორციელებს. ამერიკის მაღალი თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში დემოკრატიის გასაძლიერებლად ყველაფერს აკეთებენ.

თუმცა, ანალიტიკოსების თქმით, ადამიანის უფლებები სამხედრო ინტერესებმა დაჩრდილა და ახლა ორმხრივ ურთიერთობებში საკვანძო როლს ვაშინგტონისათვის ავიაბაზებისა და სხვა სამხედრო ინფრასტრუქტურის მიქირავება ასრულებს, რეგიონის მთავრობები სამხედრო სფეროში არსებული მჭიდრო კავშირების გამო, ყურადღებას აღარ აქცევენ ადამიანის უფლებებს და თავიანთ რეპრესიულ პოლიტიკას აგრძელებენ, რაც ხელისუფლებისაგან მოსახლეობის გაუცხოებას იწვევს.

"დასავლეთისათვის ცენტრალურ აზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი სტაბილურობის შენარჩუნებაა. ეს სტაბილურობა კი ავტორიტარულ რეჟიმებთან არის დაკავშირებული," - აღნიშნავს ალექსეი მალაშენკო, მოსკოვში კარნეგის ცენტრის ექსპერტი. "რეფორმების გასატარებლად დასავლეთი რეგიონის მთავრობებზე გარკვეულ ზეწოლას ახორციელებს, მაგრამ სტაბილურობისა და ეკონომიკური ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას."

მიმომხილველების თქმით, ცენტრალური აზიის ლიდერების მიერ რეფორმებზე უარის თქმა მომავალში არასტაბილურობასა და კონფლიქტს გამოიწვევს რეგიონში.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ადამიანის უფლებებისა და დასაქმების საკითხებში ლორენ კრანერმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს სიღარიბეს, რეპრესიებსა და რადიკალიზმს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კარგად აქვს გაცნობიერებული. "ჩვენი აზრით, ტერორიზმს არანაირი გამართლება არ აქვს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ის რეპრესიული საზოგადოებები, სადაც ეკონომიკა არ ვითარდება და სადაც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მოქალაქეები გამოთიშულები არიან, ტერორისტების აკვანს წარმოადგენს. ეს ფაქტია. ჩვენ არ გვინდა ამის გაგრძელება."

ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში არასტაბილური მდგომარეობა 28-29 მარტს, ტაშკენტში, პოლიციაზე განხორციელებულმა ტერაქტებმა გაამძაფრა. შედეგად, რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. ამავე პერიოდში ბუხარაში მომხდარი აფეთქებების შედეგად ათი ადამიანი გარდაიცვალა. უზბეკეთის მთავრობის მტკიცებით, ეს უკანასკნელი აფეთქება ტაშკენტის მოვლენებთან იყო დაკავშირებული. გენერალურმა პროკურორმა რაშიდ კადიროვმა ტერაქტების მოწყობაში ისლამისტები დაადანაშაულა.

ექსპერტების აზრით, უახლოეს მომავალში რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების მხრიდან, როგორიცაა უზბეკეთის ისლამური მოძრაობა და ჰიზბ-უტ-ტაჰრირი, ფართომასშტაბიანი ამბოხი მოსალოდნელი არ არის. თუმცა, ეს ჯგუფები ან ახალი მოძრაობები, ზოგადად, არასტაბილური ვითარების შექმნაში საკვანძო როლს შეასრულებენ.

ცენტრალური აზიის ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ უკმაყოფილების გამოხატვის ალტერნატიული საშუალებების არარსებობის გამო, ახალგაზრდები რადიკალურ მოძრაობებს შეუერთდებიან. მათი შეხედულებები, რომ დასავლეთი მხარს უჭერს კორუმპირებულ და არარეპრეზენტაბელურ მთავრობებს, კიდევ უფრო განამტკიცებს ისლამისტების მოწოდებას, რომ დემოკრატია, როგორც მას ცენტრალური აზიის მმართველები განმარტავენ, არ მუშაობს და არც შეიძლება მუშაობდეს რეგიონში. მიმომხილველების თქმით, უზბეკეთში სეკულარული ოპოზიციის ნაწილი დასაჯეს, ნაწილი - გაასახლეს და ამ ვითარებაში პროტესტის გამოხატვა მხოლოდ რადიკალური ისლამის მეშვეობით შეიძლება.

ანალიტიკოსების აზრით, ვაშინგტონის მოკავშირე ადგილობრივი ელიტების მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს აძლიერებს, რომელთა საქმიანობის შეზღუდვას სწორედ შეერთებული შტატები ცდილობს.

*IWPR*

# ნეპალელები მეფის წინააღმდეგ

გუშინ აღმოსავლეთ ნეპალში ასობით შეიარაღებული მეამბოხე პოლიციის განყოფილებას დაესხა თავს. პოლიციელთა ცნობით, თავდამსხმელები მაოისტები იყვნენ. თავდასხმის შედეგად დაღუპულია 9 პოლიციელი, ხოლო 20-მდე უგზოუკვლოდ არის დაკარგული. ვარაუდობენ, რომ ისინი მეამბოხეებმა აიყვანეს მძევლად. თავდამსხმელთა შორის მსხვერპლის შესახებ არაფერია ცნობილი.

პოლიტიკური კრიზისის გამწვავება ჰიმალაის მთებში მდებარე ქვეყანაში წინა კვირას დაიწყო. ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში მრავალათასიანი მიტინგები გაიმართა. პოლიციასთან მომიტინგეთა შეტაკებების შედეგად 150 ადამიანი დაშავდა. ოპოზიციონერთა დემონსტრაციები გუშინაც გაგრძელდა და პოლიციასთან შეტაკებას კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანის დაშავება მოჰყვა.

ხუთი ოპოზიციური პარტიისგან შემდგარმა კოალიციამ მასობრივი აქციები ნეპალში დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნით დაიწყო. 2002 წელს ნეპალის მეფე გიანენდრამ, ფაქტობრივად, ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა და არჩეული მთავრობის ნაცვლად სამეფო კარის ლოიალური მთავრობა ჩამოაყალიბა.

ნეპალი ტურისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს, მსოფლიოში ერთ-ერთი ულარიბესი ქვეყანაა. წლების განმავლობაში იგი ჩაკეტილი იყო უცხოელებისათვის და დღემდე აქვს შენარჩუნებული აბსოლუტური მონარქიული სისტემა. კონსტიტუციით, ნეპალი საპარლამენტო მონარქიაა, თუმცა ამჟამად მთელი ძალაუფლება მეფის ხელშია მოქცეული.

სამეფო ხელისუფლების ყველაზე ძლიერ ოპოზიციას ქვეყანაში მაოისტები წარმოადგენენ. თავად მაოისტების მტკიცებით, მათი მოძრაობა ნეპალის მეზობელი ჩინეთის კომუნისტი მმართველის მაო ძედუნის მოღვაწეობას უკავშირდება და ნეპალში კომუნისტური წყობის დამყარებას ისახავს მიზნად. ორგანიზაცია სამხედრო ტიპისაა და ნეპალელი სამხედროების ცნობით, 2000-დან 4000-მდე კარგად გაწვრთნილ მაოისტ მებრძოლს ითვლის. მათ გარდა, ორგანიზაციის სამხედ-



რო ფრთას ემატება 12000-14000 ე.წ. სახალხო მოლაშქრე.

მართალია, ნეპალის რეგულარული არმია უკეთესადაა აღჭურვილი და აშშ-ს საკმაოდ დიდი დახმარებითაც სარგებლობს, მაოისტი პარტიზანები, რთული ლანდშაფტის გამო, მთავრობისათვის მაინც ძნელი მოსახელთებელნი არიან.

ნეპალში სიტუაციის ამჟამინდელი გამწვავება ოპოზიციონერთა გაერთიანებას უკავშირდება. ქვეყნის უძლიერესი 5 ოპოზიციური პარტია გაერთიანდა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ გასულ თვეში მეფემ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ პირობა დადო, ოპოზიციას მიაჩნია, რომ ახალი საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება ყველა პარტიის მონაწილეობით უნდა განხორციელდეს და არა მეფის მომხრე მთავრობის მიერ.

## მოკლედ

**საფრანგეთი.** გუშინ საფრანგეთის პოლიციამ ბასკური ტერორისტული დაჯგუფება "ეტა"-ს იარაღის საწყობის აღმოჩენის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. არსენალი ესპანეთის საზღვრის სიახლოვეს იქნა აღმოჩენილი. პოლიციის ცნობით, ეს აღმოჩენა პირდაპირაა დაკავშირებული პარასკევს ორი პირის დაკავებასთან, რომლებიც, პოლიციის ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შედიან. იარაღის არსენალი პირენეის მთიანეთში პატარა ქალაქ სენ-ჟან-პიე-დე-პორში, ერთ-ერთ ფერმაში იპოვეს. ფრანგი სამართალდამცავების ინფორმაციით, სახელოსნოში, ძირითადად, რაკეტებისა და სარაკეტო დანადგარების დამზადება ხდებოდა, თუმცა, ამასთანავე, ოპერაციის შედეგად დიდი ოდენობით ასაფეთქებელი მასალაცაა ამოღებული.

■ ■ ■

**ისრაელი.** არიელ შარონმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ისრაელის განზრახვა, ცალმხრივად დატოვოს დასავლეთ სანაპირო და ღაზას სექტორი. ისრაელი ამ რეგიონში მდებარე 21 გამაგრებული ებრაული ანკლავიდან უახლოეს მომავალში 17-ს გააუქმებს. დასავლეთ სანაპიროს სამარიის რაიონში არსებული 4 ანკლავის ბედი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის. პალესტინელთა აზრით, სანამ ისრაელი სრულად არ დატოვებს დასავლეთ სანაპიროს, უკანასკნელ პერიოდში სისხლისღვრის შედეგად შეწყვეტილი მოლაპარაკებები "საგზაო რუკის" გარშემო, საეჭვოა, განახლდეს.

■ ■ ■

**ინდოეთი.** ორშაბათს ქაშმირის პროვინციაში აფეთქება მოხდა. ხელყუმბარა ქალაქ პულვამას ბაზარში აფეთქდა და ინციდენტის შედეგად 57 ადამიანი, მათ შორის - ერთი პოლიციელი დაშავდა. თვითმხილველთა ცნობით, უცნობმა პირმა ხელყუმბარა მიმავალ სამხედრო ბადრაგს ესროლა, თუმცა ხელყუმბარა სამხედროებს აცდა და ბაზარში მყოფი უბრალო მოქალაქეების ბრბოში აფეთქდა. ჯერჯერობით, არც ერთ დაჯგუფებას მომხდარზე პასუხისმგებლობა არ უკისრია. ქაშმირის გამო ინდოეთ-პაკისტანს შორის დაძაბულობა 14 წელიწადია, გრძელდება. ამ ხნის მანძილზე საზღვრისპირა რაიონებში აფეთქებებმა და შეტაკებებმა 30 ათასიდან 60 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა.

### საქართველოს მთავრობის განკარგულება №11

*2004 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი*

"საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშემწყობი ფონდისათვის ღვინის ლაბორატორიის მოსაწყობად შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

1. მოწონებულ იქნეს "საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშემწყობი ფონდისათვის ღვინის ლაბორატორიის მოსაწყობად შენობის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი.

2. განკარგულების პროექტი ხელმოსაწერად წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №117

*2004 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი*

ქ. ბათუმის ნავსადგურში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

დამტკიცდეს ქ. ბათუმის ნავსადგურში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 აპრილის №117 ბრძანებულებით

ქ. ბათუმის ნავსადგურში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულება.

**მუხლი 1.** პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსი

1. ქ. ბათუმის ნავსადგურში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის (შემდგომში - წარმომადგენელი) სტატუსი და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. წარმომადგენელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დებულების საფუძველზე.

4. წარმომადგენელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და პერიოდულად წარუდგენს მას გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

**მუხლი 2.** წარმომადგენლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. წარმომადგენელი ქ. ბათუმის ნავსადგურში უზრუნველყოფს ნავსადგურის ტერიტორიაზე საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობის და კონკურენციის პირობების შექმნას; მეთვალყურეობას უწევს ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელებას; მონაწილეობს ნავსადგურის განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების მომზადებასა და განხილვაში; შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს ნავსადგურში სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების, მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხების შესახებ.

2. წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) დაუბრკოლებლად გადაადგილდეს ნავსადგურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს საბაჟო საგუშაგოს "ბათუმის ნავსადგურის" (შემდგომში - საბაჟო საგუშაგო) ტერიტორიაზე, გაეცნოს ნავსადგურის სამსახურებში, საბაჟო საგუშაგოში არსებულ დოკუმენტაციას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების, ფეთქებადი ნივთიერებების, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო შემოტანისა და გატანის აღკვეთის მიზნით მოითხოვოს ნავსადგურში, საბაჟო საგუშაგოზე შემოსული გემების, სხვა მცურავი საშუალებების შემოწმება-დათვალიერება და დაესწროს ამ პროცესს;

გ) მოითხოვოს ნავსადგურში, საბაჟო საგუშაგოზე შემოსული და გასული ნებისმიერი ტვირთის შემოწმება-დათვალიერება და დაესწროს ამ პროცესს;

დ) ნავსადგურის შესაბამისი სამსახურებისგან, საბაჟო საგუშაგოსგან მოითხოვოს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისი სამსახურების სადღელამისო მუშაობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია;

ე) მონაწილეობა მიიღოს სამთავრობო დაწესებულებებში თავის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

ვ) მეთოდური დახმარება გაუწიოს ნავსადგურის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებასა და ხელშეკრულების გაფორმებაში;

ზ) ერთიანი საბაჟო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად მოიპოვოს ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნავსადგურის, საბაჟო საგუშაგოს მეშვეობით იმპორტირებული, ექსპორტირებული და ტრანზიტული ტვირთების, სტრატეგიული ნედლეულისა და საქონლის ფაქტობრივი ბრუნვის შესახებ;

თ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.

3. წარმომადგენელი ვალდებულია ნავსადგურის ტერიტორიაზე, საბაჟო საგუშაგოზე დარღვევისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრს, ფინანსთა სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რეგიონალურ საბაჟო ხელმძღვანელობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს.

**მუხლი 3.** წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მოთხოვნების შესრულება

1. წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. მათი მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

2. ნავსადგურის, საბაჟოს საგუშაგოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მოსამსახურეები კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებენ წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მითითებებს.

**მუხლი 4.** წარმომადგენლის აპარატი

1. წარმომადგენლის მიერ მასზე დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას და მისი საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს წარმომადგენლის აპარატი.

2. წარმომადგენლის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 10 ერთეულით.

3. წარმომადგენლის აპარატის მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენელი.

4. წარმომადგენლის აპარატის მოსამსახურე უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "ბ", "გ" და "ზ" ქვეპუნქტებით წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება.

**მუხლი 5.** წარმომადგენლის და მისი აპარატის დაფინანსება

1. წარმომადგენლის და მისი აპარატის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

2. ნავსადგურის, საბაჟოს ხელმძღვანელობა ვალდებულია პრეზიდენტის წარმომადგენელს დამის აპარატს შეუქმნას საქმიანობისათვის სათანადო სამუშაო პირობები და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი სამუშაო ფართობით, კავშირგაბმულობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №334

*2204 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი*

ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.

1. შეიქმნას ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ჟვანია - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ჯგუფის ხელმძღვანელი

გურამ აბსანძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

გიორგი არველაძე - ექსპერტი

ჯამბულ ბაკურაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

გიგა ბედინეიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი

ირაკლი გეგეშიძე - ექსპერტი

შოთა გვენეტაძე - ექსპერტი

ნიკა გილაური - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ლევან კალანდაძე - ექსპერტი

ვარლამ კილაძე - ექსპერტი

მიხეილ მაჭავარიანი - საქართველოს პარლამენტის წევრი

ზურაბ ნოღაიდელი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ირაკლი რეხვიაშვილი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

დავით სალარიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი

დავით შერვაშიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

დავით ჩანტლაძე - ექსპერტი

ბესო ჯუღელი - ექსპერტი.

2. ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელმა ჯგუფმა ერთ თვეში წარმოადგინოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №12

*2004 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი*

საგზაო ფონდის გადასახადის ადმინისტრირების ფუნქციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოთათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

საგზაო ფონდის გადასახადის ადმინისტრირების ფუნქციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოთათვის გადაცემასთან დაკავშირებით "საქართველოს საგზაო ფონდის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით:

1. 2004 წლის პირველი მარტიდან საგზაო ფონდის გადასახადის ადმინისტრირება განახორციელონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოებმა.

2. 2004 წლის 10 აპრილისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დასრულდეს ყოფილი საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულების საგზაო ფონდის სამმართველოს 162 (ას სამოცდაორი) საშტატო ერთეულის (შესაბამისი კადრებით), მასთან არსებული საინფორმაციო ბაზების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისათვის გადაცემა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღეში დაამტკიცოს ინსტრუქცია "საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადისა და საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლის, ზენორმატიული დატვირთვისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ".

4. საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულების საგზაო ფონდის სამმართველოს ზემოთ აღნიშნულ საშტატო ერთეულებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისათვის გადაცემამდე შრომის ანაზღაურება მოხდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ასიგნებებიდან.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №13

*2004 წლის 3 აპრილი ქ. თბილისი*

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებთან დაკავშირებით სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით:

1. შეიქმნას სამთავრობო სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ზაალ ლომთაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე, ჯგუფის ხელმძღვანელი

ლადო კახეთელიძე - საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მილსადენისა და სხვა ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ლეჟავა - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილე

ირაკლი ქელბაქიანი - საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პროექტების მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი

გიორგი ჩხეიძე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ალექსანდრე ხეთაგური - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე.

2. სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს მის მუშაობაში ორი შესაბამისი ექსპერტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი წარმომადგენლის მონაწილეობა.

3. ეთხოვოთ შესაბამის სამთავრობო უწყებებს საჭიროების შემთხვევაში სამთავრობო სამუშაო ჯგუფი უზრუნველყონ აუცილებელი ინფორმაციით.

4. სამთავრობო სამუშაო ჯგუფმა ერთ კვირაში წარმოადგინოს პირველადი დასკვნები.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №116

*2004 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი*

სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

დამტკიცდეს სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 2 აპრილის №116 ბრძანებულებით

სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსისა და საქმიანობის შესახებ დებულება.

**მუხლი 1.** პრეზიდენტის წარმომადგენლის სტატუსი:

1. სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლის (შემდგომში - წარმომადგენელი) სტატუსი და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულების და სხვა ნორმატიული აქტებით.

2. წარმომადგენელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დებულების საფუძველზე.

4. წარმომადგენელი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე და პერიოდულად წარუდგენს მას გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

**მუხლი 2.** წარმომადგენლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. წარმომადგენელი სარფის სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვებ პუნქტებში (შემდგომში სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტები) უზრუნველყოფს საბაჟოზე საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, ხელს უწყობს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის პირობების შექმნას; მეთვალყურეობას უწევს ეკოლოგიურ ღონისძიებათა განხორციელებას; მონაწილეობს საბაჟოს განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამების მომზადებასა და განხილვაში; შეიმუშავებს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს საბაჟოში სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების, საბაჟო მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხების შესახებ.

2. წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) დაუბრკოლებლად გადაადგილდეს სასაზღვრო გამტარ და საბაჟო გამშვები პუნქტების ტერიტორიაზე, გაეცნოს სასაზღვრო, საბაჟო სამსახურებში არსებულ დოკუმენტაციას;

ბ) მოითხოვოს სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტების ტერიტორიაზე შემოსული და გასული ნებისმიერი ტვირთის შემოწმება-დათვალიერება და დაესწროს ამ პროცესს;

გ) სასაზღვროს, საბაჟოს შესაბამისი სამსახურებიდან მოითხოვოს მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისი სამსახურების სადღელამისო მუშაობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია;

დ) მონაწილეობა მიიღოს სამთავრობო დაწესებულებებში თავის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

ე) მეთოდური დახმარება გაუწიოს საბაჟოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებასა და ხელშეკრულების გაფორმებაში;

ვ) ერთიანი საბაჟო პოლიტიკის უზრუნველსაყოფად მოიპოვოს ინფორმაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმპორტირებული, ექსპორტირებული და ტრანზიტული ტვირთების, სტრატეგიული ნედლეულისა და საქონლის ფაქტობრივი ბრუნვის შესახებ;

ზ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება.

3. წარმომადგენელი ვალდებულია საბაჟოს ტერიტორიაზე დარღვევისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ფინანსთა სამინისტროს, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რეგიონალურ საბაჟო ხელმძღვანელობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასა და, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს.

**მუხლი 3.** წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მოთხოვნების შესრულება

1. წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. მათი მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

2. სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მოსამსახურეები კანონმდებლობით დადგენილი წესით ასრულებენ წარმომადგენლის და მისი აპარატის მოსამსახურის მითითებებს.

**მუხლი 4.** წარმომადგენლის აპარატი

1. წარმომადგენლის მიერ მასზე დაკისრებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას და მისი საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს წარმომადგენლის აპარატი.

2. წარმომადგენლის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება 10 ერთეულით.

3. წარმომადგენლის აპარატის მოსამსახურეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს წარმომადგენელი.

4. წარმომადგენლის აპარატის მოსამსახურე უფლებამოსილია განახორციელოს ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილება.

**მუხლი 5.** წარმომადგენლის და მისი აპარატის დაფინანსება

1. წარმომადგენლის და მისი აპარატის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

2. რეგიონალური საბაჟოს, სასაზღვრო გამტარი და საბაჟო გამშვები პუნქტების ხელმძღვანელობა ვალდებულია პრეზიდენტის წარმომადგენელს და მის აპარატს შეუქმნას საქმიანობისათვის სათანადო სამუშაო პირობები და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი სამუშაო ფართობით, კავშირგაბმულობისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №10

*2004 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების "მთავარი არქმშენინსპექციისათვის" არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ.

1. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების "მთავარი არქმშენინსპექციისათვის" არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის გადაცემის მიზნით საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ მოამზადოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.

2. საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შეიმუშაოს მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის სამართლებრივი და ინსტიტუციური რეფორმის პროექტი და უზრუნველყოს მისი განხორციელება.

3. დადგენილების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრმა თ. სულუხიამ.

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №11

*2004 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი*

საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სამთავრობო სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

საქართველოში საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ოპტიმიზაციის, მართვის ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ცვლილებების მომზადების მიზნით:

1. შეიქმნას სამთავრობო სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ლილი ბეგიაშვილი - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ანთელიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე

დავით აფციაური - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე

მერაბ გაბუნია - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს მთავარი სახელმწიფო მრჩევლის მოვალეობის შემსრულებელი

დავით გალეგაშვილი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე

გიორგი გოგიაშვილი - TRACECA-ს ქვეყნების სამთავრობათაშორისო კომისიაში საქართველოს ეროვნული მდივანი

გიორგი გოდაბრელიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე

რომან დალაქიშვილი - საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ნათია თურნავა - საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე

გიორგი შენგელია - საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის თავმჯდომარე

ზურაბ შენგელია - ექსპედიტორთა ასოციაცია

ალექსანდრე ჩხეიძე - საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავების ასოციაცია

2. სამუშაო ჯგუფმა სამ კვირაში შეიმუშაოს და მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შემდგომი სტიმულირებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №269

*2004 წლის 2 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ავიაციაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ვერტმფრენების მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კუთვნილი ვერტმფრენის ძრავის რემონტისათვის 76280 აშშ დოლარის გამოყოფა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან აზერბაიჯანის ქ. განჯის ავიასარემონტო ქარხანაში გადასარიცხად.

ბ) 90000 ლარის გამოყოფა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საავიაციო ზეთების და საპოხი მასალების შესაძენად.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა 2002 წლის 15 ოქტომბრის № 143-AZG კონტრაქტის საფუძველზე გააფორმოს ხელშეკრულება აზერბაიჯანის ქ. განჯის ავიასარემონტო ქარხანასთან.

*მიხეილ სააკაშვილი*

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კურსს**

**ინგლისური ენა იურისტებისათვის (კონსტიტუციური სამართალი)**

სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს.

საბუთების მიღება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, 2004 წლის 15 აპრილამდე.

**მის.: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის 30 (იუსტიციის სამინისტრო)**
**ტელ: 98-42-69, 75-83-32**
**ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gov.ge**

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ადვოკატებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის აწყობს**

**საჯარო ლექციას**
თემაზე
**საპროცესო შეთანხმება**

ბრალდებულის დახმარება
და
თანამშრომლობა გამოძიებასთან;
საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგები.

ლექციას ჩაატარებს
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე
**ნინო გვენეტაძე**

**ლექცია ფასიანია. ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**
**ქ. თბილისი, რუსთაველის 30 (იუსტიციის სამინისტრო)**
**98-42-69; 75-83-32**
**ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gov.ge**



# გამოძიება ლევან თედიაშვილის ბიზნესით ინტერესდება

*ოლიმპიურ ჩემპიონს ლევან თედიაშვილს გამოძიება ბრალს წაუყენებს. ასეთ თამამ განცხადებას აკეთებს გამომძიებელი, რომელიც ყოფილი გუბერნატორის ბიზნეს-საქმიანობას, კონკრეტულად, ფირმა "თაქლასთან" და "კახეთის პურთან" ბიზნეს-ურთიერთობებს იძიებს.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, ამჟამად, კახეთის რეგიონში კორუფციული ბრალდებით დაკავებულმა ჩინოვნიკებმა საეჭვო საქმიანობა, ძირითადად, 1996 წლიდან დაიწყეს. სწორედ ამ დროს მოუწია მოღვაწეობა ლევან თედიაშვილსაც, რომელსაც კახეთში გუბერნატორის თანამდებობა ეკავა. თუმცა, მანამდე იგი მისი კერძო ფირმა "თაქლას" ბიზნესით იყო დაკავებული. კახეთის რეგიონის ძალოვანებმა, თავდაპირველად, თედიაშვილთან დაახლოებული პირი, შპს "კახეთის პურის" გენერალური დირექტორი ლადო მარხვაშვილი დააკავეს. მისი დაკითხვის შემდეგ, სამართალდამცველებისთვის ბიზნესთან დაკავშირებული საქმეების დეტალები ცნობილი გახდა. კახეთის სამხარეო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის, ალექსანდრე გიოშვილის თქმით, თედიაშვილმა გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ პარტნიორებად რუსეთში დასაქმებული "ახალი ქართველები" გაიჩინა და წარმატებული ბიზნესპროექტიც შედგა. **"თედიაშვილმა, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების სახით, პარტნიორები ადვილად მოძებნა. მათთან კონტაქტზე, თავდაპირველად, გურჯაანის რაიონიდან მოსკოვში წასული ბიზნესმენი ალექსანდრე გუგულაშვილი გავიდა. მანამდე თედიაშვილს, გივი პოპიაშვილის სახით, უკვე ჰყავდა ახალი "მეგობარი" შეძენილი, რომელთან კონსულტაციების საფუძველზე ხდებოდა ამა თუ იმ საქმის წამოწყება,"** - აცხადებს ალექსანდრე გიოშვილი. გამოძიება არ გამორიცხავს, რომ გუგულაშვილის დაკავშირება თედიაშვილთან, პოპიაშვილის მეშვეობით მოხდა.

დასახელებულ პარტნიორთა ბიზნესგეგმის შესრულება კაჭრეთის წისქვილკომბინატიდან, შპს "კახეთის პურიდან" დაიწყო. ალექსანდრე გიოშვილის თქმით, ამ დროიდან თედიაშვილმა "მართვის სადავეები" მარხვაშვილს გადააბარა. თედიაშვილისვე ინიციატივით, მარხვაშვილი კომბინატის გენერალურ დირექტორად დაინიშნა. თავად თედიაშვლმა კი შუამავლის როლი იტვირთა და გივი პოპიაშვილსა და ალექსანდრე გუგულაშვილთან ერთად ენერგობიზნესის დაწყება გადაწყვიტეს. **"იმ დროს საქართველოში, რუსეთთან შედარებით, ელექტროენერგია ძვირი ღირდა და, საერთოდ, ელექტროენერგიის კრიზისი იყო. წისქვილკომბინატს, რომელიც კახეთში ერთ-ერთი მოქმედი საწარმო იყო, უწყვეტი დენი ესაჭიროებოდა. გუგულაშვილი, პოპიაშვილი და თედიაშვილი შეთანხმდნენ, რომ წინასწარ ნაღდი ანგარიშსწორებით, "კახეთის პურის" ხარჯზე რუსეთიდან შემოიტანდნენ ელექტროენერგიას, მის განაწილებას შემდგომ "საქენერგო" მოახდენდა და ორგანიზაცია თანხასაც სწორედ ამ ობიექტის სახელზე გადარიცხავდა, ეს ოპერაცია დიდი მოგების მომტანი იყო",** - ამბობს განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი გამომძიებელი ალექსანდრე გიოშვილი. როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, დაიდო ხელშეკრულება რუსეთის ერთ-ერთ კერძო ენერგოფირმასთან, შპს "ტიპიცოსთან" და მის სახელზე 1 მილიონი ლარი გადაირიცხა, ხოლო 350 ათასი ლარი, პირადი ანგარიშსწორებით, ვინმე სერგეი გუტკოვს გადაეცა, მაგრამ პირობა დაირღვა და საქართველოში ელექტროენერგია არ შემოსულა. ის ადამიანი კი, რომელმაც ნაღდი ანგარიშსწორებით წაიღო ფული, არარსებული პიროვნება აღმოჩნდა: **"ჩვენ რუს სამართალდამცველებს ვთხოვეთ, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ, მაგრამ ასეთი გვარის და სახელის ადამიანს ვერსად მიაგნეს, ხოლო ფირმა "ტიპიცო" გაუქმებული აღმოჩნდა,"** - ამბობს გიოშვილი.



*"მე ყველანაირი დოკუმენტაცია მივუტანე გამომძიებელს".*

თუ ვინ იყო გუტკოვი, ამის შესახებ დაკითხვის დროს თედიაშვილმა არაფერი თქვა, ამჟამად დაკავებულმა ლადო მარხვაშვილმა კი დაკითხვისას აღიარა, რომ გუტკოვი თედიაშვილთან ერთად ნახა. სწორედ ამის გამო იგი თედიაშვილთან დაპირისპირებასაც კი მოითხოვს.

ამ ფინანსური ოპერაციების დროს ალექსანდრე გუგულაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ავტოკატასტროფის ადგილიდან უკვალოდ გაქრა მისი ფასიანი ქაღალდებიც.

გამოძიების მასალებით, ლევან თედიაშვილის ფირმა "თაქლა" ფიგურირებს სააქციო საზოგადოება "სინათლის" საქმეშიც. როგორც გამოძიებით დადგინდა, თედიაშვილმა ენერგოდისტრიბუციის შეძენა ჩალის ფასად მოახერხა. გამოძიებას პრეზიდენტ შევარდნაძის მიმართაც გააჩნია პრეტენზიები. **"მას პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ფაქტობრივად, აჩუქა ეს საწარმო. მისი უშუალო ხელმოწერით გაიყიდა "სინათლე" 250 ათას დოლარად, არადა, საწარმო რეალურად 5-6 მილიონი დოლარის ღირებულებისაა, რადგან "სინათლე" რეგიონში შემავალ რვა ფილიალს მოიცავდა,"** - აცხადებს საქმის გამომძიებელი. **"სინათლემ" სამი წელი იმუშავა და შემდეგ, "საფოსტო ბანკის" საკუთრება გახდა, რადგან თედიაშვილმა - "თაქლამ" ბანკიდან გამოტანილი სესხი, რომლის საშუალებითაც ენერგოდისტრიბუცია იყიდა, ვერ გაისტუმრა. გამოძიებას სერიოზული ეჭვი აქვს, რომ პოპიაშვილს და თედიაშვილს ეს წინასწარ განზრახული ჰქონდათ. საერთოდ, იაკობიძეზე ენერგოდისტრიბუციის გადაცემის მექანიზმიც ძალზე ბუნდოვანია",** - ამბობს გიოშვილი.

როგორც გამომძიებელი ალექსანდრე გიოშვილი აცხადებს, შპს "კახეთის პურისთვის" საჭირო თანხები ყოველთვის "თაქლას" ანგარიშზე ირიცხებოდა. ასე მოხდა 1998 წელს, როდესაც მთავრობამ პენსიონერებისთვის ვალის გასტუმრება ნატურით მოინდომა. თუმცა, სანამ ფინანსთა სამინისტრო პრეზიდენტის ფონდიდან თანხას საწარმოს გადაუხდიდა, "კახეთის პურმა" პენსიონერების ვალის გასტუმრება საკუთარი ხარჯებით დაიწყო: **"აკმაყოფილებდა თუ არა "კახეთის პური" ტენდერის მოთხოვნებს, ეს უკვე ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ თედიაშვილმა და პოპიაშვილმა პენსიონერების ვალი უვარგისი ფქვილით გაისტუმრეს,"** - აცხადებს გამომძიებელი გიოშვილი, რომლის თქმითაც, მოგვიანებით, უვარგისი ფქვილის საზღაურად სახელმწიფოს მიერ გადარიცხული თანხა 705 ათასი დოლარი თედიაშვილმა და პოპიაშვილმა გაიყვეს. მარხვაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მას და დარისპანაშვილს "კაპიკები, 10 ათასი ლარი გადაუგდეს". გამოძიება ეჭვობს, რომ პოპიაშვილმა სახელმწიფოს ფულით ბათუმში ბანკი დააფუძნა. **"არ გამოვრიცხავ, ამის გამო ბათუმში მომიხდეს ჩასვლა, რადგან პოპიაშვილი ერთ-ერთი ბანკის თანადამფუძნებელია",** - აცხადებს გიოშვილი.

შეგახსენებთ, რომ მარხვაშვილი ამჯერად დაკავებულია და მზადაა, ლევან თედიაშვილს დაუპირისპირდეს, ხოლო დარისპანაშვილი მიმალვაში იმყოფება: **"თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მარხვაშვილი და დარისპანაშვილი მხოლოდ მარიონეტები იყვნენ, მაგრამ ბრალდებას იმიტომ ვუყენებთ, რომ საბუთებზე ოფიციალურად მათი ხელმოწერებია. ჩვენ სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ თედიაშვილმა დარისპანაშვილი საზღვარგარეთ გაგზავნა, რადგან მისი დაკავების შემთხვევაში კიდევ ბევრ რამეს აეხდებოდა ფარდა, თუმცა მე პირობას გაძლევთ, რომ სულ მალე მის მიმართ ძებნა გამოცხადდება,"** - ამბობს ალექსანდრე გიოშვილი, რომლის თქმითაც, თედიაშვილმა და მისმა პარტნიორებმა სახელმწიფოს 10 მილიონი ლარი მოიპარეს.

თავად ლევან თედიაშვილი გამოძიების ბრალდებებს არ ეთანხმება და მას კონტრარგუმენტებით უპირისპირდება. **"როგორც კი გამომძიებელმა დამირეკა, მაშინვე მივედი დაკითხვაზე და დეტალური ჩვენება მივეცი. მე არანაირი იურიდიული უფლება არ მქონდა, იმ საქმეებში ჩავრეულიყავი და არც ვერეოდი. ვინც იყო მასში ჩარეული, ისინი დაკითხონ და მათთან გაარკვიონ ყველაფერი. დაკითხონ "ჩორნა" - პოპიაშვილი, "საფოსტო ბანკის" დირექტორი, დამაპირისპირონ ამ ხალხთან. ჩემთვის არავის შეუტყობინებია, რომ მარხვაშვილთან უნდა დამაპირისპირონ, არადა, მე მზად ვარ ამისთვის. რომელ მაქინაციებზე საუბრობენ, როცა მე, პირიქით, დაზარალებული ვარ. მე ყველანაირი დოკუმენტაცია მივუტანე გამომძიებელს და მაინც რატომ მიქმნის ასეთ "სახელოვან" იმიჯს, ვერ გავიგე,"** - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ლევან თედიაშვილმა, რომელიც მზადაა, ობიექტურობის დასადგენად გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

# ქუთაისის მერს ბრალდებებს უყენებენ

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანს ბიუჯეტის კუთვნილი თანხების არამიზნობრივ ხარჯვასა და გაფლანგვა-მითვისებაში ადანაშაულებენ. ასეთი განცხადებები გუშინ სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ", იმერეთის ანტიკორუფციულმა ორგანიზაცია "საჩინომ" და "დემოკრატიული ინოვაციების ცენტრმა" გააკეთა. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა პროექტის "სამოქალაქო ინტერესების დაცვის კამპანია ქუთაისში" ფარგლებში შეისწავლეს 200-2003 წლების ბიუჯეტის როგორც ხარჯვითი, ასევე შემოსავლითი ნაწილი. აღმოჩნდა, რომ წლების განმავლობაში ქუთაისის მთავრობა სრულიად გაურკვეველ ღონისძიებებში უამრავ ფულს ხარჯავდა, ხოლო ქალაქისთვის სასიცოცხლო დარგების დასაფინანსებლად ბანკებიდან სესხი გამოჰქონდა. ბიუჯეტის მონიტორინგთან ერთად, "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ" ქუთაისისთვის შეიმუშავა სრულიად ახალი პროგრამული სახის ბიუჯეტი და რეკომენდაციების სახით შესთავაზა ქუთაისის მერიას, თუმცა ქუთაისის მერს არც ამჯერად აღმოაჩნდა კეთილი ნება. ფაქტები, რომელიც ზემოთ ხსენებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჟურნალისტებს წარუდგინეს, კონკრეტული სამართალდარღვევების შემცველია, ამიტომაც ისინი აღნიშნულ მასალებს გენერალურ პროკურატურას გადასცემენ. "24 საათი" რამდენიმე ასეთ ფაქტს წარმოგიდგენთ.



*ნუგზარ ფალიანი*



*არასამთავრობო ორგანიზაციები ქუთაისის მერის წინააღმდეგ.*

**"ჩატარდა ქუთაისის ბიუჯეტის მონიტორინგი და ჩვენ მიერ უამრავი სამართალდარღვევა დაფიქსირდა; ცნობისათვის: ქალაქის შემოსავლების 80 პროცენტი იხარჯებოდა სხვისი, ანუ ცენტრალური ბიუჯეტის ფუნქციების განსახორციელებლად, დანარჩენი ათი პროცენტი იხარჯებოდა თვითმმართველობის და მმართველობის შენახვაზე, ზუსტად იმდენივე თანხა (10%) იხარჯებოდა ქალაქის მოსახლეობის ინტერესებზეც,"**-აცხადებს "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" გამგეობის წევრი ბესო ბრეგაძე. მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ქუთაისის მერია ბიუჯეტიდან არამარტო საკუთარ მივლინებებს აფინანსებდა, არამედ უცხოეთის დელეგაციებიც ბიუჯეტის კუთვნილი თანხებით ჩამოჰყავდა ქუთაისში; მაგალითად: 2002 წელს ქუთაისი დონეცკს დაუძმობილდა. ჯერ დონეცკელები ჩამოვიდნენ ქუთაისში, შემდეგ კი ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ეწვია დონეცკს. **"რატომღაც, ორივე შემთხვევაში, ქუთაისის ბიუჯეტმა გაიღო სახსრები. ვიზიტების ხარჯთაღრიცხვაში კი აშკარად გაზრდილია დონეცკის დელეგაციის კვების ხარჯები. იგი გაცილებით აღემატება მათი ტრანსპორტირებისა და სასტუმროს ღირებულებას. ჩანს, რომ ამ ღონისძიებას კონკრეტული მიზანი არ გააჩნდა და, ბუნებრივია, მას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია,"** - აცხადებს ბრეგაძე

ქუთაისის მერიის მიერ გაწეული ხარჯები ზოგიერთ შემთხვევაში აბსურდულ ხასიათს იღებს; მაგალითად, ქუთაისის მერიამ გასულ წელს 22 317 ლარით დააფინანსა კონფერენცია თემაზე "ციფრული განხეთქილების შეჩერება და აღმოფხვრა საქართველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის"(?!) აღნიშნული ღონისძიება სახელმწიფო კანცელარიაში გაიმართა. **"გაურკვეველია, ეს ღონისძიება რატომ უნდა დაეფინანსებინა ქუთაისის მერიას? ანდა რამდენად მიზანშეწონილია ამ სახის ღონისძიებების დაფინანსება მაშინ, როდესაც ქალაქში შუქი, წყალი და გზა არ არის? -** კითხულობენ ახალგაზრდა ეკონომისტები.

მერიის მიერ გამოცემული ერთ-ერთი განკარგულების მიხედვით, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებისთვის ბიუჯეტიდან 5000 ლარი გამოიყო, რაც ასევე არამიზნობრივი იყო და მერს ამის უფლება არა ჰქონდა. **"ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფალიანმა ამით სახელისუფლებო ბლოკის წევრები დააფინანსა. საინტერესოა ისიც, რომ მერიამ 2003 წელს ქუთაისის "ტორპედოს" 73 ათასი ლარი გამოუყო. არადა, მერია საფეხბურთო კლუბის აქციებს არ ფლობს. გამოდის, რომ მან კერძო ფირმა დააფინანსა, რაც ასევე დანაშაულია,"**-განმარტავს ბესო ბრეგაძე.

ცალკე თემაა ქუთაისის მერიაში ქეიფისა და დროსტარებისთვის მიძღვნილი ღონისძიებები. პირველი, რაც ქუთაისის თვითმმართველობამ არჩევისთანავე გააკეთა, ის იყო, რომ კარგად იქეიფა, თანაც ბიუჯეტის სახსრებით. **"არჩევის შემდეგ ქუთაისის მერმა და საკრებულომ ბიუჯეტის თანხებით ჯერ საზეიმო მიღება მოაწყვეს, შემდეგ კი რესტორანში 25 კაცისთვის სუფრა გაშალეს. ეს სიამოვნება ქუთაისის ბიუჯეტს 2000 ლარზე მეტი დაუჯდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქუთაისში ჩამოსულ უცხო ქვეყნის ელჩთა თუ სხვა სტუმართა გამასპინძლება მხოლოდ რესტორან "ტირიფებში" ხდება. ყველამ იცის, რომ აღნიშნული რესტორანი საკრებულოს მდივანს დათო სანიკიძეს ეკუთვნის,"**-აცხადებენ ახალგაზრდა ეკონომისტები. მათი ინფორმაციით, გაოცებას იწვევს მერიის დამოკიდებულება იმ დარგების მიმართ, საიდანაც სოლიდური შემოსავლების მიღებაა შესაძლებელი; მაგალითად, ქუთაისის მერია, "ქუთგაზის" 43,46% მესაკუთრეა. ეს ორგანიზაცია ამჟამად უდანაკარგოდ მუშაობს და, წესით, სოლიდური მოგება უნდა ჰქონდეს, რომლიდანაც შესაბამისი წილი ქუთაისის ბიუჯეტსაც ეკუთვნის. სინამდვილეში კი, მერიას "ქუთგაზიდან" წლების განმავლობაში არც ერთი თეთრი არ მიუღია.

**"2000-2003 წლებში მერიის მიერ გამართულ ტენდერში იმარჯვებდნენ მხოლოდ ერთი და იმავე ფირმები. ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მიწის ფართი კი მერიის შესაბამის სამსახურებს იჯარით - წელიწადში 1.18 თეთრად აქვს გაცემული. ასევეა გამარჯვების მოედანზე, სადაც მიწა იჯარით, წელიწადში 7 ლარად არის გაცემული. აღნიშნულ მიწებზე კი სავაჭრო ობიექტებია განთავსებული."**

არასაჭირო ხარჯების შემცირების ნაცვლად, ქუთაისის მერი სულ სხვა გზით მიდის და 2000 წლიდან ყოველ წელს მერია საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად ბანკებიდან სოლიდურ სესხებს იღებს. "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრთა ინფორმაციით, ქუთაისის თვითმმართველობის ვალი ამჟამად, დაახლოებით, მილიონ შვიდასი ათას ლარს აღემატება. **"წელს, ნაცვლად გამოსწორებისა, უარესი მდგომარეობა ფიქსირდება. 2004 წლის სამი თვის ხარჯების მიხედვით, სპორტკომიტეტზე სამჯერ მეტი თანხაა გაცემული, ვიდრე მას პირველი კვარტლისთვის ეკუთვნოდა. ბიუჯეტში ჩადებული "სხვა ხარჯები" კი მერიას უკვე გადახარჯული აქვს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საფუძველს, რომ განვაცხადოთ: ქუთაისის დღევანდელი ხელისუფლება არ აღმოჩნდა მზად ქალაქის ინტერესების დასაცავად. მოვითხოვთ ქუთაისის მერის გადადგომას და ვიწყებთ აქტიურ კამპანიას ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ზემოაღნიშნულ მასალებს, რომელიც კორუფციისა და ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტებს შეიცავს, გენერალურ პროკურატურას გადავცემთ," -** აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი უახლოეს დღეებში სხვა თანამოაზრეების შემოკრებასა და დაუმორჩილებლობის კომიტეტის ჩამოყალიბებას გეგმავენ. საპროტესტო აქციების გამართვას კი მანამ აპირებენ, სანამ ქუთაისის მერი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

# საქართველო აღარ იქნება ბანაკებად დაყოფილი

**"ხელისუფლება სისხლის მსმელი არაა და კარგად ესმის, რომ ძველი სისტემა კატასტროფულად კორუმპირებული იყო; მაგრამ მათ, ვინც ეს სისტემა შექმნეს, პასუხი უნდა მოეთხოვოთ უმაღლეს დონეზე",** - ასეთი გახლავთ ქვეყნის პირველი პირის ურყევი პოზიცია. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კვლავ ალაპარაკდა დაუსაბუთებელი ქონების თაობაზე. მისი განცხადებით, ამიერიდან არც ერთ სახელმწიფო მოხელეს არ შერჩება ნაქურდალი ქონება. პრეზიდენტის ინფორმაციით, პროკურატურის მიერ რამდენიმე თანამდებობის პირზე უკვე შეტანილია სათანადო სარჩელები დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის თაობაზე და რიგ თანამდებობის პირებს მოუწევთ იმ სახლებთან და მანქანებთან გამოთხოვება, რომლებიც უკანონო გზით და მოპარული ფულით აქვთ შეძენილი.

**"კორუმპირებულ ჩინოვნიკებს მარტო თანხის გადახდა ვერ უშველით და მათთვის ჩამორთმეული სახლები გადაეცემათ საბავშვო სახლებს, მიუსაფართა დაწესებულებებს ან გამოყენებული იქნება სხვა სოციალური მიზნებისათვის",** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. რაც შეეხება იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც ემალებიან გამოძიებას და გაქცეულნი არიან, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, კანონი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ თუ მტკიცებულებები იქნება, სასამართლო წესით მათაც ჩამოერთვათ ქონება - იქნება ეს სახლები, მანქანები თუ საბანკო ანგარიშები.

მთავრობის გუშინდელი სხდომაზე პრეზიდენტმა გენერალური პროკურორის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებები განავრცო და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის პასუხისგებაში მიცემულ ჩინოვნიკებს შეახსენა, რომ ფულის გადახდა მათ საბოლოოდ არ გაათავისუფლებთ სისხლის სამართლებრივი დევნისგან.

**"ყველა ადამიანი, გადაიხადა თუ არა მან მოპარული ფული, წარდგება სასამართლოს წინაშე. თუ სასამართლო ასეთი თანამდებობის პირების მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, მათ, სასჯელის დაკისრებასთან ერთად, სამუდამოდ აეკრძალებათ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობების დაკავება",** - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

გუშინ პრეზიდენტი შემორიგებული არაკანონიერი შეიარაღებული ფორმირების წევრებს (იარაღის ჩაბარების შემთხვევაში) სრულ რეაბილიტაციასა და მათი უფლებების აღდგენას დაჰპირდა და სამეგრელოს რეგიონში შინაგან საქმეთა მინისტრის გუშინწინდელი ვიზიტისა და ტყეში გაჭრილების საბოლოოდ შემორიგების მნიშვნელობაზე ისაუბრა. **"შემორიგების პროცესი გაგრძელდება; თუმცა, თუ ვინმე კვლავ აიღებს ხელში იარაღს, მთავრობა აღარ წავა კომპრომისზე და პატიება აღარ იქნება, საქართველოში აღარ შეიძლება იყვნენ ბანაკებად დაყოფილი ადამიანები",** - ასეთ გაფრთხილებას იძლევა მიხეილ სააკაშვილი.

პრეზიდენტის განცხადებით, ბათუმში განთავსებული თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელს გენერალ დავით დუმბაძეს, შესაძლოა, სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენონ. დავით დუმბაძე იმ მოტომსროლელი ბრიგადის ხელმძღვანელი გახლავთ, რომელმაც აჭარის კრიზისის დროს არ შეასრულა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანება და ბრიგადის კუთვნილი სამხედრო ტექნიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის უშუალო მითითებით, გარნიზონის ტერიტორიიდან გადააადგილა, რასაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში სამშობლოს ღალატის კვალიფიკაცია მიეცა.

მიხეილ სააკაშვილი დავით დუმბაძეს ჯერ კიდევ აძლევს შანსს, რომ მან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თავი აარიდოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ის თბილისში უახლოეს მომავალში ჩამოვა და შესაბამისი უწყებების წინაშე წარდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი დუმბაძის სამაგალითოდ დასჯას ითხოვს.

*24 საათი*

# საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა მთავრობის სხდომაზე

მსურს კმაყოფილება გამოვხატო, რადგან ქვეყნის მთავრობამ, ასე თუ ისე, ააწყო მუშაობა და პირველი აშკარა გაუმჯობესება სახეზეა.

უწინარეს ყოვლისა, ეს გამოვლინდა მართლწესრიგის კუთხით და ეს ჩვენი მთავარი მიღწევაა.

აღვნიშნავ იმ წარმატებულ ოპერაციებს, რომელთა შედეგად საქართველოში აღარ ხდება ადამიანთა გატაცება; განადგურდა მსხვილი კრიმინალური ბანდები, ავტორიტეტები, რომლებიც აკონტროლებდნენ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესს, მკვლელების დიდი ბრიგადები ლიკვიდირებულია.

საგულისხმოა ისიც, რომ დაიხვეწა დანაშაულთან ბრძოლის მეთოდები და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ შორსაა იდეალურისგან, აქაც შეიმჩნევა პროგრესი.

წესრიგი ნელ-ნელა მყარდება.

ამის ნათელი მაგალითია ქუჩის ბაზრობები.

წლების განმავლობაში ქუჩის ვაჭრობის ალკვეთა შეუძლებლად მიაჩნდათ, ჩვენ კი ამ პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ 3-4 დღე დაგვჭირდა.

საზოგადოება ამას ხედავს და მისგან მხარდაჭერაც გვაქვს.

მდგომარეობა გაუმჯობესდა ფინანსურ სფეროში, რაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ენერგიული მუშაობის დამსახურებაა.

ქაღალდზე გეგმა გადაჭარბებულია 120-130 პროცენტით, რეალურად კი ბევრად მეტით.

ეს იმიტომ, რომ განხორციელდა მთავარი რეფორმა - გაუქმდა ჩათვლების ინსტიტუტი და გადასახადები აიკრიფა ფულის ნიშნებით.

ჩვენ აღარ ვიტყუებთ თავს და არც პარტნიორ ქვეყნებს ვატყუებთ.

ეს შესაძლებლობას გვაძლევს მკვეთრად გაიზარდოს სხვადასხვა დარგში ხარჯები, პენსიები, ხელფასები და დაიწყოს ძველი დავალიანებების გასტუმრება.

რაც შეეხება სოციალურ ვალდებულებებს, მთავარია აღრიცხვიანობის მოწესრიგება.

საქართველოში არ არის იმდენი დევნილი, რამდენიც აღრიცხულია - ეს ხალხი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება და მათ შემწეობას არც ერთი სამთავრობო მუშაკი არ უნდა იღებდეს.

გაძლევთ დავალებას, რომ საქართველოში აღრიცხულ დევნილთა რაოდენობა, მინიმუმ, 20 პროცენტით შემცირდეს, რაც საშუალებას მოგვცემს, ზაფხულამდე, თითქმის ორჯერ გავზარდოთ მათი შემწეობა.

აქედან გამომდინარე, ეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

მეორე საკითხი ფინანსური სამსახურების მუშაობას ეხება.

უდავოა, რომ ამ მხრივ გაუმჯობესება სახეზეა, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, საბაჟო სამსახურში სრული ვაკხანალიაა.

ეტყობა, საბაჟოების მუშაკებმა ვერ გაიგეს ჩვენი მიდგომა და ამიტომ, ვთხოვ შინაგან საქმეთა მინისტრს და გენერალურ პროკურორს, შეისწავლონ საბაჟო სამსახურების მუშაობა.

გავალებთ, რომ უახლოეს კვირებში, საბაჟო სტრუქტურებში, პოლიციისა და პროკურატურის მეშვეობით, დაიწყოს "წმენდა" და ყოველი არაკეთილსინდისიერი მებაჟე მიეცეს პასუხისგებაში.

სავარაუდოდ, ამ ხალხმა ვერ გაიგო, რას ვითხოვთ - იმ უწესრიგობას, რაც შევარდნაძის დროს ხდებოდა, აღარ დავუშვებთ, თითოეულ დამრღვევს ბოლომდე მივყვებით.

ჩვენი წამომადგენლები უკვე წავიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე, რათა იქ განსაკუთრებული კონტროლი დავაწესოთ.

ჩვენი ინფორმაციით, აჭარაში ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტიდან, ასევე საიმპორტო ოპერაციებიდან ყოველწლიურად ბიუჯეტს 200 მილიონი დოლარი აკლდება და ეს ფული ადგილობრივი ხელმძღვანელობის ჯიბეში მიდის.

ეს თანხა უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს და ამიტომ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ამ თვალსაზრისით, პრობლემა აღარ გვექნება, თუ ერთიანნი ვიქნებით.

ჩვენი მთავარი მიღწევაა ის, რომ მთავრობის წევრები კოორდინირებულად და მჭიდროდ თანამშრომლობენ, რაც პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის თითოეული წევრის დამსახურებაა.

ასეთი რამ, დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველოში არ მახსოვს, მაგრამ გაუმჯობესებას კიდევ ველით.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ კარგად ამუშავდა ფინანსური პოლიციაც.

სამწუხაროა, რომ ამას წინათ, ქვემო ქართლში მოხდა შეტაკება, როდესაც პოლიციის თანამშრომლები მოაცილებდნენ ასეულ ათასობით ღირებულების კონტრაბანდულ ტვირთს. ფინანსური პოლიციის გამოჩენისთანავე მათ ტვირთი მიატოვეს, გაიქცნენ და მიიმალნენ. მოვითხოვ, რომ დამნაშავეები "ჩირგვებიდან" გამოიყვანონ და შესაბამისი ადგილი მიუჩინონ.



*მიხეილ სააკაშვილი მთავრობის სხდომაზე.*

ჩვენ ხელფასებს ვუზრდით საბაჟო და საგადასახადო სტრუქტურების, ასევე პოლიციის თანამშრომლებს და ამიტომ მათ უკანონო თარეშს ბოლო უნდა მოეღოს.

ეს საფინანსო პოლიციის თანამშრომლებსაც ეხებათ.

ყველამ უნდა გაიგოს, რომ რასაც ვიტყვით, იმას გავაკეთებთ კიდეც.

ამას შესაძლოა თვეები დასჭირდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავს გავართმევთ.

სერიოზულად უნდა გადავხედოთ საგადასახადო კოდექსს და ამისათვის ვემზადებით კიდეც. ეს აუცილებელია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შესათანხმებლად. თუმცა უდავოა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, გადასახადების რაოდენობაც უნდა შემცირდეს და განაკვეთებიც. ეს კი უნდა მოხდეს არაუგვიანეს მაისისა, რათა ზაფხულში უკვე ახალი კოდექსით ვიხელმძღვანელოთ. გადადება არ შეიძლება.

რაც შეეხება უცხოელ ინვესტორებს, ხალხმა უნდა გაიგოს, რამდენად მნიშვნელოვანია მათთან მუშაობა.

საქართველოში არ უშვებენ უცხოურ ავიაკომპანიებს.

ავიაციის დეპარტამენტი პრივატიზებული აქვს პირთა ჯგუფს, რომლებიც თავიანთი სურვილის მიხედვით გასცემენ ან არ გასცემენ ფრენის ნებართვებს.

სახელმწიფო პირები საბოტაჟზე გადადიან, რადგან მათ ხელფასს უხდის კერძო პირი, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ საქართველოში არ არსებობდეს ჯანსაღი კონკურენცია და თავისუფალი მიმოსვლა.

ერთხელ და სამუდამოდ ეს უნდა დასრულდეს.

ინფრასტრუქტურის მინისტრს ვავალებ, რომ კანონის ფარგლებში ყველა უცხოურ ავიაკომპანიას მიეცეს ფრენის საშუალება, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული ახალი ინვესტიციების მოზიდვა და ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა. ამით საქართველოს იმიჯიც ბევრად გაიზრდება.

იმ პირობებში, როდესაც არსებობს ხალხი, რომელიც უზარმაზარ თანხას იხდის საქართველოს შესახებ ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებაში, ჩვენ ასეთი პოზიტიური მაგალითები გვჭირდება.

ამ დავალების შესრულებას პირადად გავაკონტროლებ და ვითხოვ, რომ ბრიტანულ ავიაკომპანიას მიეცეს ფრენის საშუალება, ჩვენი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოზიტიური შედეგების მიუხედავად, ქვეყანაში ჯერ კიდევ გვაქვს გადაუჭრელი პრობლემები, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვას, დემოკრატიასა და სახელმწიფოებრიობას ეხება. ამ მხრივ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება ცალკე მსჯელობის საგანია. ქართული სახელმწიფოებრიობის კონსოლიდაცია ხდება, მაგრამ აჭარაში არსებული განუკითხაობა უნდა ალიკვეთოს.

ჩვენ არ ვართ ბანანის რესპუბლიკა და ხალხი, რომელსაც ასეთ ქვეყანაში სურს ცხოვრება, განვითარებულ მოვლენებზე ძალიან ნერვიულობს, ვგულისხმობ ადგილობრივ ხელისუფლებას.

ჯერ კიდევ არ არის გვიან და ვთავაზობ მათ, რომ შეცვალონ "თამაშის" წესები და ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ.

ბევრჯერ მითქვამს და ვიმეორებ, რომ არც ერთ აჭარელს არ დავაჩაგვრინებ არც ცენტალური და, მით უმეტეს, არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. აჭარის მოსახლეობა საქართველოს ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც სხვა ნებისმიერი კუთხის მცხოვრებლები.

საგულისხმოა, რომ საქართველო ვერ იქნება ეკონომიკურად წარმატებული და სახელმწიფოებრივად კონსოლიდირებული მანამ, სანამ აჭარაში ასეთი ვითარებაა.

მეორე მხრივ, ჩვენ ვერ დავუშვებთ, ამ რეგიონში ადამიანის უფლებები იზღუდებოდეს და ფეხქვეშ ითელებოდეს მხოლოდ იმის გამო, რომ ვილაცას თავისი მატერიალური და მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნება სურს.

ჩვენ დიდი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი. განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო, რომ ენერგეტიკაში წელს სერიოზული პრობლემები გვაქვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დედაქალაქი (ზოგიერთ უბანში გრაფიკს თუ არ ჩავთვლით) ასეთი განათებული 1993 წლის შემდეგ არ ყოფილა.

ეს ენერგეტიკის მინისტრისა და იმ ურთიერთობების დამსახურებაა, რომელიც მეზობელ ქვეყნებთან ჩამოყალიბდა.

შემოდგომისთვის ვგეგმავთ, რომ დანარჩენი საქართველოც განათდეს.

არც იმის თქმა შეიძლება და ხალხს ვერ მოვატყუებ, რომ ელექტროენერგიის მიწოდება 24-საათიანი გრაფიკის პირობებში იქნება შესაძლებელი, თუმცა მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ამიტომ გთხოვთ, შეიმუშაოთ სერიოზული ღონისძიებები, რათა ხალხმა იცოდეს, რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს.

ჩვენი ამოცანაა, შევინარჩუნოთ წესიერი მთავრობა და მადლობა ღმერთს, რომ ამას, ჯერჯერობით, ვახერხებთ.

ისიც ყველამ ვიცით, რომ როგორც კი რამე მოხდება, ხალხში არ დაიმალება და, ამ შემთხვევაში, ჩვენვე უნდა ავტეხოთ განგაში.

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იმუშაოს იმაზე, რომ ცალკეულ დარგებში კიდევ უფრო მეტ შედეგს მიაღწიოს.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

და ბოლოს, საჭიროა კოორდინაცია ახალ პარლამენტთან, რათა შეიქმნას ურთიერთობის ახალი მოდელი, რათა ძველის მსგავსად, მინისტრს აღარ შეეძლოს დეპუტატის მოსყიდვა და პირიქით.

თქვენი მუშაობა შეფასდება საბოლოო შედეგების მიხედვით.

უსამართლო კრიტიკის კი ნუ შეგეშინდებათ, რადგან, როგორც წესი, კარგად ჩანს, როდის არის კრიტიკა სამართლიანი და გულისტკივილით გამოწვეული.

ამ მხრივ მეც, პრემიერ-მინისტრიც და, დარწმუნებული ვარ, პარლამენტის მომავალი თავმჯდომარეც უსამართლო შემოტევებისაგან თქვენი, მთავრობის დამცველები ვიქნებით.

თუმცა პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე ისეთივე უნდა გვქონდეს, როგორიც ხალხის წინაშე.

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია ხალხთან კონტაქტი, ვიდრე კაბინეტებში ორსაათიანი თათბირები, ამიტომ თითოეულ თქვენგანს მოვუწოდებ, იაროს რაიონებში, ქალაქებში, ქუჩებში, ეზოებში და ადგილზე გაეცნონ ხალხის პრობლემებს.

ჩვენ პატარა ქვეყანა გვაქვს და, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ საზოგადოებასთან კონტაქტი მუდმივად გვქონდეს.

ჩვენ სახალხო მთავრობა ვართ.

ჩვენ ის მთავრობა ვართ, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა და ეს ნდობა უნდა შევინარჩუნოთ.

თქვენი თითოეული წამოწყების, ინიციატივის, რეფორმის, მოქმედებისა და გადაწყვეტილების თანამონაწილე ხალხი უნდა იყოს.

ამ ეტაპზე მთავრობა დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

ახლა მთავარია, რომ არც ერთ ვალდებულებაზე უარი არ ვთქვათ და ზედმიწევნით კარგად შევასრულოთ ის, რასაც საზოგადოება მთავრობისგან ელის.

***სახელმწიფო***

# ამ პრეპარატებს ნუ შეიძენთ

ოთარ ქირია

ის, რომ საქართველოს ბაზარზე დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული, თუ კონტრაბანდული პრეპარატები ხვდება არახალია. ბევრჯერ გვინახავს კარგად შეფუთული პრეპარატი, რომლის შიგთავსი უბრალო წყალი, ფქვილი ან სულ სხვა რაღაცაა. ჯანდაცვის ახალი მინისტრი გიგი წერეთელი აცხადებს, რომ უკანონო აფთიაქებს, წამლით მოვაჭრეებს, შემომტანებს და ა.შ. ომს გამოუცხადებს. მანამდე კი "24 საათი" გთავაზობთ პრეპარატების სიას, რომელიც რუსეთის ჯანდაცვის სამინისტრომ უკანასკნელი თვეების მანძილზე ხმარებიდან ამოიღო სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის ფალსიფიკაციის, გაყალბების, კონტრაბანდულად შემოტანის, უვარგისობის, სტანდარტებთან შეუსაბამობის, ვადაგასულობის და სხვათა გამო. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდა უზარმაზარი მასშტაბებით შემოედინება. ამისვე დასტურია ის, რომ ორი წლის წინათ როცა რუსეთის ჯანდამცველებმა აღნიშნულ საქმიანობას სისტემატიური ხასიათი მისცეს, ინფორმაცია ქართველ კოლეგებსაც მიაწოდეს.

მოკლედ, ამ გზით შემოსული პრეპარატები ბაზრობისა და უკანონო აფთიაქების გარდა ქვეყნის ლიცენზირებულ ობიექტებშიც უნახავთ. თუმცა ბოლო პერიოდში ასეთი წამლები მაინც ბაზრობაზე ჭარბობს. აღსანიშნავია, რომ სიის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღო უფასო სამედიცინო ცნობარმა 252233. სია გადამოწმებულია და ყველა მოცემული დასახელების პრეპარატი საქართველოს ქსელში არსებობს. სამედიცინო სამსახური სიას თბილისის 80-ზე მეტ აფთიაქში გაავრცელებს.

| N | პრეპარატი | მწარმოებელი | სერია(ები) | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ალბუმინი, საინფუზიო ხსნარი 10% | სოჭის ფარმფაბრიკა | 2082001 | რუსეთი |
| 2 | ამინოკაპრონის მჟავა სუბსტანცია, ფხვნილი | ფარმაკონი | 730603-06.03 | რუსეთი |
| 3 | ამინოკაპრონის მჟავა სუბსტანცია | [illegible] | 70402 | უკრაინა |
| 4 | ამიტრიპტილინი, აბი 0.25გ, № 10 | ბორისოვის სამედიცინო პრეპარატების ქარხანა | 470303 | ბელორუსია |
| 5 | ანალგინი, აბი 0.5გ, №10 | [illegible] | 140503 / 200603 | რუსეთი |
| 6 | [illegible], კაფსულები №10 | მინსკინტერკაპსი | 7012003 / 14032003 / 11022003 | აშშ, ბელორუსია |
| 7 | ატენოლოლი, აბი 0.1გ, №50 | სტი-მედ-სორბი | 1112002 | რუსეთი |
| 8 | სალიცილის მჟავა, აბი 0.5გ, №10 | ტატქიმფარმპრეპარატი | 2461202 | რუსეთი |
| 9 | [illegible], აბი 0.25გ | ბელმედპრეპარატი | 321102/271102/251102 | ბელორუსია |
| 11 | ბისეპტოლი აბი 480მგ | პოლფა, პაბიანიცე | 400201 | პოლონეთი |
| 12 | ბლეომიცინი, საინექციო ფხვნილი 15მგ | ნიპონ კაიაკუ კო. | 132320 01.2003 | იაპონია |
| 13 | [illegible] ნაყენი 25მლ | როსტოვის ფარმფაბრიკა | 50303 | რუსეთი |
| 14 | ბრომჰექსინი 4, ხსნარი 4მგ/5მლ, ფლაკონი 60მლ | ბერლინ-ხემი | 24009 | გერმანია |
| 15 | ვერმოქსი, აბი 100 მგ, №6 | გედეონ რიხტერი | T293818 09.2002 | უნგრეთი |
| 16 | ვიკასოლი, საინექციო ხსნარი 1%, 1მლ | ბიოსტიმულატორი, ოდესა | 40203 | უკრაინა |
| 17 | [illegible], მალამო 25გ | ბელმედპრეპარატი | 10103 | ბელორუსია |
| 19 | [illegible], გელი 40გ | [illegible] | 1140303 | იუგოსლავია |
| 20 | გლუკოზის ხსნარი 40%, 10მლ | მოსქიმფარმპრეპარატი | 300403 | რუსეთი |
| 21 | [illegible], 250 მლ | ეკატერინბურგის ფარმფაბრიკა | 20203 | რუსეთი |
| 23 | [illegible], სუბსტანცია | ფარმაკონი | 270801 | რუსეთი |
| 24 | დიმედროლი, საინექციო ხსნარი, 1%, 1 მლ №10 | ბიოსტიმულატორი, ოდესა | 1801101, 670603 | უკრაინა |
| 30 | იოდი, სუბსტანცია | [illegible] იოდის ქარხანა | 20203 | რუსეთი |
| 32 | კავინტონი, საინექციო ხსნარი, 10 მგ, 2 მლ № 10 | გედეონ რიხტერი | A32017A / A032023A 02.03 A33032A 03.03, A32020A / A33032A 02.03 A33170A 03.03 | უნგრეთი |
| 33 | კალენდულის (გულყვითელას) ნაყენი, 40 მლ | ომსკის ფარმფაბრიკა | 13112002 | რუსეთი |
| 34 | კალციუმ-გლუკონატი, საინექციო ხსნარი, 10%, 5 მლ ამპ | [illegible] | 170503 / 200403 | რუსეთი |
| 35 | [illegible], 250 მლ | ეკატერინბურგის ფარმფაბრიკა | 20203 | რუსეთი |
| 36 | ასკორბინის მჟავა, საინექციო ხსნარი, 5%, 1მლ ამპ. № 10 | ბიოსტიმულატორი, ოდესა | 650503 | უკრაინა |
| 37 | კომბუტოლი, აბი 0.4გ | ლუპინ ლაბორატორიზ ლიმიტედ | C402017 | ინდოეთი |
| 38 | [illegible] მალამო 30გ | [illegible] | 71001 10.01 | რუსეთი |
| 39 | კორვალოლი, წვეთები 25მლ | [illegible] | 70303 | რუსეთი |
| 40 | კურანტილი 25, დრაჟე 25 მგ, № 100 | ბერლინ-ხემი | 22501 | გერმანია |
| 41 | ლამიზილი, გარეგანი გამოყენების აეროზოლი 1%, 30მლ | ნოვარტის ფარმა | 232MFD0202 | შვეიცარია |
| 42 | ლივ. 52, აბი | ჰიმალაია დრაგ კო. | 20308-EL | ინდოეთი |
| 43 | [illegible] 5, აბი, № 120, 50გ ([illegible] (?)) | ბერლინ-ხემი | 24119 / 14136 | გერმანია |
| 44 | მეთილურაცილი, სუბსტანცია | ფარმაკონი | 4204200 | რუსეთი |
| 45 | მეთილურაცილი, აბი 0.5გ | [illegible] | 6102000 | რუსეთი |
| 46 | მიკოზოლონი, მალამო 15გ | გედეონ რიხტერი | G2A042A | უნგრეთი |

| N | პრეპარატი | მწარმოებელი | სერია(ები) | ქვეყანა |
|---|---|---|---|---|
| 47 | [illegible], 1.47გ | [illegible]-97 | 20403 | რუსეთი |
| 48 | [illegible], აბი № 10, 0.05გ | სტი-მედ-სორბი | 25122002 / 2032003 | რუსეთი |
| 49 | [illegible] ნაყენი 25მლ | [illegible] | 91202 | რუსეთი |
| 50 | ნატრიუმის ქლორიდი, საინფუზიო ხსნარი, 0.9%, 500მლ | [illegible] ლიმიტედ | 2042086 / 2042091 / 2042092 | ინდოეთი |
| 51 | ნატრიუმის ქლორიდი, სუბსტანცია-ფხვნილი | [illegible] | 111102 | რუსეთი |
| 52 | [illegible] ([illegible]) [illegible] 30გ | [illegible] | 170902 | რუსეთი |
| 53 | ომეზი, კაფსულა, 20მგ | დოქტორ რედის ლაბორატორიზ | B2003 / B2037 | ინდოეთი |
| 54 | პაპავერინის ჰიდროქლორიდი, აბი, №10, 0.04გ | [illegible] | 1012000 | რუსეთი |
| 55 | პარაცეტამოლი, აბი 0.5გ, № 10 | [illegible] | 101202 / 20303 | რუსეთი |
| 56 | [illegible] ([illegible]) ნაყენი 100მლ | [illegible] | 61002 | რუსეთი |
| 57 | [illegible] ([illegible]) ნაყენი 100მლ | [illegible] | 180801 | რუსეთი |
| 58 | პარაცეტამოლი, აბი, № 60, 0.2გ | [illegible] ქარხანა | 310603 | რუსეთი |
| 59 | პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი, საინექციო ხსნარი, 5%, №10, 1მლ ამპ | ბიოსტიმულატორი, ოდესა | 660703 | უკრაინა |
| 60 | [illegible], საინექციო ხსნარი, 100მგ, 10მლ ამპ | სამედიცინო პრეპარატების მწარმოებელი, [illegible] | 171-5 | რუსეთი |
| 61 | [illegible] ფოთლები, ფილტრ-პაკეტი, 1.5გ | [illegible] | 10901 | რუსეთი |
| 62 | [illegible], საინექციო ხსნარი, 300მგ/მლ, 10მლ, №5 | [illegible] | S-218 07.2002 | ინდოეთი |
| 63 | [illegible] ნაყენი 25მლ | [illegible] ფარმფაბრიკა | 1032003 | რუსეთი |
| 64 | რანიტიდინი, აბი 0.15გ, №10 | [illegible] | 21002 | ბულგარეთი |
| 65 | რიბოფლავინი, სუბსტანცია | ირბიტის ქიმ.ფარმ. ფაბრიკა | 90101 | რუსეთი |
| 66 | რუტინი, სუბსტანცია-ფხვნილი | [illegible] | 20503 | ჩინეთი |
| 68 | [illegible], მალამო 250გ | [illegible] | R 107 | ინდოეთი |
| 69 | სკინ-კაპი, მალამო, 0.2%, 50გ | [illegible] | S 2 | ესპანეთი |
| 70 | [illegible], კაფსულა 250მგ | პიერ ფაბრ მედიკამენტი | G183 | საფრანგეთი |
| 71 | სულფაცილ-ნატრიუმი, თვალის წვეთები, 20%, 5მლ | [illegible] | 10603 | რუსეთი |
| 72 | სულფაცილ-ნატრიუმი, თვალის წვეთები, 20%, 10მლ | [illegible] | 10103 | რუსეთი |
| 73 | სულფაცილ-ნატრიუმი, თვალის წვეთები, 20%, 5მლ | [illegible] | 3062003 | რუსეთი |
| 74 | [illegible], აბი 10გ | [illegible] | 250600 | ინდოეთი |
| 75 | [illegible], აბი 20მგ, №30 | [illegible] | 60902 | რუსეთი |
| 77 | [illegible], აბი | ბერლინ-ხემი | 23007 | გერმანია |
| 78 | [illegible], [illegible] 100მლ | [illegible] ფარმასიუტიკალზ | 2012 | ინდოეთი |
| 79 | [illegible], საინექციო ხსნარი, 200მგ, 20მლ | [illegible] ფარმასიუტიკალზ | E2027 / E2028 / E2032 08.2002 | ინდოეთი |
| 80 | [illegible], სუპოზიტორია 18.90გ | ლაბორატორია [illegible] | 2031 | საფრანგეთი |
| 81 | [illegible], დრაჟე №100 | [illegible] | 332139 | ინდოეთი |
| 83 | [illegible], მალამო, 0.025%, 15გ | [illegible] | 70902 | პოლონეთი |
| 84 | [illegible], საინექციო ხსნარის მოსამზადებელი ფხვნილი 1გ | [illegible] | BC02 | იტალია |
| 85 | [illegible], აბი, №10, 500მგ | ირბიტის ქიმ.ფარმ. ფაბრიკა | 130503 | რუსეთი |
| 86 | [illegible], აბი 0.25გ | [illegible] | 20403 | რუსეთი |
| 87 | [illegible], აბი | ჰიმალაია დრაგ კო. | 21001-EL | ინდოეთი |
| 88 | [illegible] 50გ | [illegible] | 190302 | რუსეთი |
| 89 | [illegible] 20, აბი № 40 | [illegible] | 10934 | გერმანია |
| 90 | [illegible], აბი, 0.4გ, №100 | [illegible] | 30502 | რუსეთი |

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# საქართველო ევროპის გეოგრაფიული ფილტრია

მაია ჭალაგანიძე

*ის, რაზეც ამ ინტერვიუში თამარ ბერუჩაშვილი საუბრობს, 10 წლის წინ რომ დაწყებულიყო, წელს უპრეცედენტო გაფართოებაში მოვყვებოდით და პირველ მაისს 10 სხვა ქვეყანასთან ერთად ევროკავშირში საქართველოს დროშაც აფრიალდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ აღმართს, რომელიც ნორმალური ხელისუფლებების პირობებში პოსტსაბჭოთა სივრცის აწ უკვე წევრმა ქვეყნებმა გასული 10 წლის განმავლობაში გაიარეს.*
*ევროსტრუქტურებთან ურთიერთობისას საერთაშორისო პოლიტიკას შიდა პოლიტიკა განაპირობებს. დასაძლევია საკმაოდ ამბიციური, ყოვლისმომცველი პროგრამა, რომლითაც საქართველო იმ სტანდარტებს უნდა გაუთანაბრდეს, რომელსაც ნატო-ს წევრი ქვეყნები პასუხობენ.*
*სახელმწიფო მინისტრი ევროპული ინტეგრაციის საკითხებში თამარ ბერუჩაშვილი, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ, დღეს პრეზიდენტთან ერთად ბრიუსელშია. ღია ეთერში გადმოცემული გუშინდელი მთავრობის სხდომა ახალი ხელისუფლების მიერ მიღწეული წარმატებების ჩვენებას ემსახურებოდა. თუ ეს ევროპამ ნახა, საინტერესოა, ამჯერად რას ჩამოიტანს სააკაშვილი ევროპიდან?*



*თამარ ბერუჩაშვილი*

> თუ მოვახერხებთ და ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ნამდვილად დავანახებთ, რომ მზად ვართ და ყოველი რეფორმა და საკანონმდებლო თუ ინსტიტუციონალური ცვლილება წარმატებით დაგვირგვინდება, მერწმუნეთ, ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ.

> არ მაქვს ილუზია, რომ მოკლე დროში ასე რადიკალურად შეიცვლება რამე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პოზიტიური დინამიკა და ტენდენციები ადეკვატურად შეფასდება.

> ევროკავშირის დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ არჩევნებმა საქართველო ევროპულ სტანდარტებს კიდევ უფრო დააახლოვა. იგივე მინიშნება იყო 4 იანვრის არჩევნებთან დაკავშირებითაც.

> საქართველოს და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე მთლიანად იქნება დამოკიდებული ევროპის უსაფრთხოება.

- "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ეს საქართველოს პრეზიდენტის პირველი ვიზიტია ბრიუსელში. ეს არის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ და მკაფიოდ გაუსვას ხაზი ჩვენს ევროპულ ორიენტაციას, მთელ იმ ძალისხმევას, რაც დღეს პრიორიტეტად მიიჩნევა - ანტიკორუფციული, ეკონომიკური თუ სხვა ტიპის რეფორმების გატარებას; ხელისუფლება გამოხატავს იმედს, რომ ევროკავშირი, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის ხელშესაწყობად კიდევ ერთხელ გამოძებნის დამატებით საშუალებებს; გაუსვამს ხაზს, რომ საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირში მიმდინარე პროცესები.

**- უკავშირდება თუ არა რამენაირად ეს ვიზიტი ევროკავშირში 10 ქვეყნის გაერთიანებას?**

- დიახ, პირველი მაისიდან ათი წევრი უერთდება ევროკავშირს. ვიზიტი იმის მაჩვენებელია, რომ ეს პროცესი საქართველოს და მთლიანად სამხრეთ კავკასიის გარეშე არ მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი იქნება კიდევ ერთხელ ხაზგასმა და დადასტურება იმისა, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა, რომ მან ბოლოდროინდელი მოვლენებით ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულება დაამტკიცა და მჯერა, რომ ამას ადეკვატურად შეაფასებენ ჩვენი ევროპელი პარტნიორები. ჩვენ მაქსიმალურად ვართ დაინტერესებული, ვიყოთ სერიოზული პარტნიორები. ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი შემდგომი ინტეგრაციის მიზნით ევროკავშირთან დაახლოებაა. კარგად გვესმის, ეს რთული გზაა და ეს საკითხები მოკლე ვადაში არ გადაწყდება, მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ამ მიზნის მისაღწევად მზად ვართ, მიზანმიმართულად და შემართებით ვიმუშაოთ.

**- საგარეო საქმეთა მინისტრის თხოვნით საქართველოს ყველა ელჩი გადამდგარია დაკავებული თანამდებობიდან, ეს რამენაირად იმოქმედებს ამ ვიზიტზე?**

- როგორც ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, რეორგანიზაცია საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მიმდინარეობს. ძალიან ბევრმა ელჩმა დაასრულა ვადა. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი სერიოზული განაცხადი დიპლომატიის კანონის ამუშავება იყო. მიზანდასახული როტაცია უნდა განხორციელდეს და ამ სისტემაში მომუშავე პროფესიონალებს გარკვეული დროის შემდეგ საზღვარგარეთის ქვეყნებში მუშაობის საშუალება ექნებათ.

**- როგორი პოზიციები ჰქონდა საქართველოს ევროპაში, როდესაც სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი. რა შეიცვალა ამ მოკლე ხანში?**

- ჩვენ მუდამ ვაცხადებდით, რომ ევროკავშირი ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი იყო. საქართველოს პარლამენტმა, ჯერ კიდევ 1997 წელს, იმ დროისთვის, ალბათ, ერთადერთმა, მიიღო დადგენილება ჩვენი კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა. ახლა დაგეგმილია ამ პროგრამის გადახედვა. ყველა უწყებამ ამ პროგრამის ამოქმედების საკუთარი გეგმა უნდა წარმოადგინოს, რომელიც შემდგომ ერთიან ეროვნულ გეგმად ჩამოყალიბდება.

ევროკომისიის, ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნების მხრიდან ხშირი იყო გარკვეული ტიპის შენიშვნები და შეშფოთება არასაკმარისი ანტიკორუფციული ღონისძიებების, რეფორმების ტემპის გამო. რეფორმებთან დაკავშირებული ძალიან ბევრი განაცხადი ქაღალდზე რჩებოდა, იყო უფრო მეტი რიტორიკა, ვიდრე კონკრეტული ქმედება. ფორმალურად, პროგრამები და მხარდაჭერის ინიციატივები არავის შეუწყვეტია, მაგრამ რეალურად მათი ტემპი შენელდა.

**- თუმცა, ამ შეშფოთებას ხელი არ შეუშლია იმ დახმარებისთვის, რაც ევროკავშირმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გაგვიწია...**

- დიახ, ძალიან სწრაფად მოხდა ამ დახმარების მობილიზაცია. ევროკავშირი საკმაოდ ბიუროკრატიული და რთული მექანიზმია და შესაბამისად, ასეთი სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება ადვილი არ არის. მიუხედავად ამისა, არჩევნების წარმატებით ჩატარებისთვის უმოკლეს ვადაში მოხდა ფინანსური რესურსების მობილიზაცია. ახლაც აქტიურად განიხილება დამატებითი სახსრების მოზიდვის საკითხი, განსაკუთრებით, ძალოვანი სტრუქტურების დასახმარებლად, პენიტენციალურ სისტემაში რეფორმების წარმართვისთვის. ახალ მინისტრებს სჭირდებათ გარკვეული ტიპის რჩევები, თუ როგორ ჩამოაყალიბონ სტრუქტურები გარკვეული ევროპული მოდელის მიხედვით.

**- ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ახალი წევრი ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც ჩვენი ანალოგიური გზა გაიარეს. მათთან კონტაქტები გაქვთ?**

- გარდამავალი პერიოდი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც პრიორიტეტული იყო. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ თუ პოლიტიკური ნება არსებობს, გარდამავალი პერიოდის დაძლევა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაზე ორიენტირებული რეფორმების წარმატებით განხორციელება შედარებით მოკლე დროშიც სავსებით შესაძლებელია.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ინტეგრაციული გამოცდილება. ვცდილობ, აქტიური კონტაქტები დავამყარო ჩემი პარტნიორი სამინისტროების კომისიებთან და უწყებებთან. ამ ექსპერტიზის საქართველოში გადმოტანის საშუალება უნდა გვქონდეს. კონსულტაციები უკვე გვქონდა.

აუცილებელია, ყველა სამინისტროში შეიქმნას ევროპული ინტეგრაციის რგოლი, ევროპულ საკითხებზე იყოს პასუხისმგებელი ადამიანი, რომელიც ჰარმონიზაციის პროგრამის განხორციელებისას საკონტაქტო პირი იქნება. ევროკავშირის წევრ-ქვეყნებთან ურთიერთობისას ყველა სექტორს საკუთარი პრიორიტეტები აქვს.

პირველი მაისის უპრეცედენტო გაფართოება ვახსენეთ. 9 მაისს კი ტრადიციულად ევროპის დღე აღინიშნება. ამ დღეს ქართველები ევროკომისიის დელეგაციის მიერ გამართულ ოფიციალურ მიღებაზე მიწვეულის სტატუსით აღვნიშნავთ. სერიოზულად ვმუშაობთ იმაზე, რომ ეს დღე ქართველებმა ევროპელებთან ერთად იზეიმონ, ანუ ისეთი ღონისძიებები მოეწყოს, სადაც რეალურად გამოჩნდება, რომ ჩვენც იგივე თემები, პრიორიტეტები და ღირებულებები გვაწუხებს.

მაგალითად, წელს ევროკავშირში სპორტის წელია. ამიტომ, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ერთად, გარკვეული ტიპის ღონისძიებებზე ვმუშაობთ. თბილისის ფარგლებში სკოლებს შორის საფეხბურთო შეჯიბრება გაიმართება. ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი ელჩი ჰოლცე დაგვპირდა, რომ ძველ პროფესიას გაიხსენებს და ფინალს თავად უმსაჯებს. გაიმართება მარათონი ლოზუნგით - "ქართველები ევროპისკენ"; იქნება სტუდენტთა თემატური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციები და იმედია, რომ მოვახერხებთ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპულ ცენტრს გავხსნით.

რეგიონის უნივერსიტეტები კი ევროპული იდეის საზოგადოებაში გავრცელების ძირითადი საყრდენები უნდა გახდნენ - ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, თელავში და ახალციხეში მოეწყობა მოძრავი მრგვალი მაგიდა გამოფენით.

ეს მოკლე მონახაზია. მქონდა მოლაპარაკება თბილისის მერთანაც იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ მოედანს ევროპული მოედანი დაერქვას.

**- რომელი მოედნები განიხილება?**

- ბატონ ვანოს მარჯანიშვილის მოედანი შევთავაზე. კოტე მარჯანიშვილის სახელი უკვდავყოფილია - მისი სახელობის თეატრი, მეტრო, ქუჩა არსებობს. სამწუხაროდ, ქუჩა სათანადოდ არ გამოიყურება, მაგრამ თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ევროპული ქუჩაა. მისი არქიტექტურა ევროპული ქალაქის ქუჩას მოგაგონებთ. ეს წინადადებები ჩამოყალიბების პროცესშია. ვისარგებლებ შემთხვევით და ამ ვიზიტის დროს პრეზიდენტთან ერთად დავხვეწ ამ თემებს. მინდა, რომ სამოქმედო გეგმა ჩამოსვლისთანავე დაისახოს.

**- ევროკავშირის დაჩქარებული დახმარებები ახსენეთ. ხომ არ ელით, რომ ამ გაფართოების ფონზე ეს ვიზიტი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესსაც დააჩქარებს?**

- ბევრი რამ ევროკავშირს თავის დეკლარაციებში აქვს აღნიშნული. ევროკავშირის კარი ღიაა ყველა ევროპული სახელმწიფოსთვის. პრეტენდენტის მზაობის ხარისხი აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. თუ მოვახერხებთ და ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ნამდვილად დავანახებთ, რომ მზად ვართ და ყოველი რეფორმა და საკანონმდებლო თუ ინსტიტუციონალური ცვლილება წარმატებით დაგვირგვინდება, მერწმუნეთ, ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ.

**- ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნისადმი პარტნიორობის რა პირობებია წაყენებული?**

- პირობებს არავინ გვიყენებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სოლიდური პარტნიორები ვიყოთ. დღეისათვის ევროკავშირთან გვაქვს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის ყოველთვიური მონიტორინგიც ხორციელდება. თუ ბოლო რეკომენდაციებს გადაავლებთ თვალს, იქ გარკვევით არის მითითებები, რომ დასახვეწია არჩევნების, დემოკრატიზაციის პროცესი, გასაუმჯობესებელია საინვესტიციო გარემო, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ რეალური ფორმები უნდა მიიღოს, აუცილებელია ეფექტური მმართველობის, კანონიერების უზრუნველყოფა და ა.შ. ეს პრეტენზიები ჩვენს პარტნიორებს წინა ხელისუფლების მიმართ ჰქონდათ. წარმატებები ყველა ამ სფეროში ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ნატო-სთვის ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის წარდგენა შეფერხდა. რა იყო ამის მიზეზი და ახლა, როცა ამაზე საუბარი განახლდა, რა ცვლილებებს ველით?**

- ნატო-ს საკითხებში ჩემი ექსპერტიზა სრულყოფილად არ შეიძლება ჩაითვალოს, ეს ძალზე სპეციფიკურია. ნატო-ს სტანდარტების დანერგვის საფუძვლების შესაქმნელად თავდაცვის სისტემას, სტრუქტურას და ჯარს ადეკვატური რეფორმირება სჭირდებოდა. ჯარს ტანსაცმელი და საკვებიც კი აკლდა და ასეთ დროს მაღალ მატერიებზე საუბარი რთული იყო.

დღევანდელ თავდაცვის მინისტრს დარგის რეფორმირების შესაბამისი პროგრამა გააჩნია. პირველი რიგის ამოცანები და ჯარის უზრუნველყოფა იმის წინაპირობა იყო, რომ აქტიურად ვისაუბროთ ნატო-ს სტანდარტების დანერგვაზე. ეს ჩვენი პარტნიორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მათ საკუთარი ძალისხმევის შედეგი უნდა დაინახონ და დახმარების გაწევის სურვილი მომავალშიც უნდა გაუჩნდეთ.

**- ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია ევროსაბჭოში ჩვენს ყოფნა-არყოფნაზე. რას ემსახურებოდა ეს ჭორი, რომელსაც, როგორც წესი, მისიის ხელმძღვანელები უარყოფდნენ ხოლმე?**

- ქვეყნები ევროსაბჭოში გარკვეულ მონიტორინგს გადიან, წევრ ქვეყნებს აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშს აბარებენ. აქ სირთულეები და პრობლემები მხოლოდ საქართველოს არ გააჩნია. ევროსაბჭოდან საქართველოს გარიცხვის საკითხი არასდროს დამდგარა. იმის გამო, რომ სრულყოფილი რეფორმები არ მიმდინარეობდა - თუნდაც, ანტიკორუფციული ღონისძიებები, კანონიერების დაცვა, ადამიანის უფლებები - რასაკვირველია, იყო გარკვეული პრობლემები.

მაგალითისთვის, ძალოვან სტრუქტურებს დამოუკიდებლობის 12 წლის მანძილზე რეფორმა არ შეხებია. ეს კოსმეტიკურად შელამაზებული საბჭოთა სამინისტროები იყო...

**- თანამდებობრივად, თქვენ წინა ხელისუფლებაშიც ევროსტრუქტურებთან გქონდათ შეხება, როგორი იყო მაშინდელი რეკომენდაციები?**

- ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფარგლებში ყოველ წელს იკრიბებოდა ქვეკომიტეტის, კომიტეტისა და უმაღლესი ორგანოს - თანამშრომლობის საბჭოს სხდომა, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე იმართებოდა. სხდომების დასკვნები და რეკომენდაციები არსებულ პრობლემებს უსვამდა ხაზს.

არ მაქვს ილუზია, რომ მოკლე დროში ასე რადიკალურად შეიცვლება რამე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პოზიტიური დინამიკა და ტენდენციები ადეკვატურად შეფასდება... უკვე არის კიდეც შეფასებული - 28 მარტის არჩევნების ევროკავშირის დეკლარაციაში, რომელიც 30 მარტს გამოქვეყნდა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო ამ არჩევნებმა ევროპულ სტანდარტებს კიდევ უფრო დააახლოვა. იგივე მინიშნება იყო 4 იანვრის არჩევნებთან დაკავშირებითაც. ანუ, პოზიტიური დინამიკა ნამდვილად ადეკვატურად იქნება აღქმული.

**- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდათ...**

- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია აღარ მეხება. ზოგი ფიქრობს, რომ ამ თემის მონოპოლიზებას ვცდილობ. ეს ასე არ არის...

**- წინა ხელისუფლების დროს თქვენ გქონდათ შეხება და მინდა გკითხოთ, ახლა რა ვითარებაა, რა შეიცვალა?**

- საქართველოსა და რუსეთს შორის ამ ორგანიზაციაში გართულებული ურთიერთობები არ ყოფილა. საქართველო ორგანიზაციის წევრი რუსეთზე ადრე გახდა. წევრი ქვეყნის უფლებაა, მოითხოვოს ან არ მოითხოვოს მოლაპარაკება გაწევრიანების მსურველ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორთან. იმის გამო, რომ სერიოზული თემები გვაქვს მოუგვარებელი, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ეს ფორმატი, ანუ ჟენევაში მოლაპარაკება რუსეთთან პრობლემების გადაწყვეტის ფორსირებისთვის გამოეყენებინა. თუმცა, საქართველოს არასდროს უთქვამს, რომ ბლოკავს ან არ დაუშვებს და შეეწინააღმდეგება რუსეთის გაწევრიანებას. ყოველთვის ხაზგასმით ვამბობდით, რომ რუსეთის წევრობა გვინდოდა, რადგან ის ჩვენი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია.

რუსეთის მხრიდან ბევრი საკითხი არაადეკვატურად იყო ინტერპრეტირებული. ხშირად პრესაში ნახავდით, რომ თურმე საწყალ რუსეთს მხოლოდ საქართველო ბლოკავს. ეს ასე არ იყო - ჩვენ მაქსიმალურად კონსტრუქციულად ვცდილობთ, რომ რუსეთი მალე გაწევრიანდეს, ეს ორივე ქვეყნის ინტერესებშია. რუსეთის ბაზარი და რუსული ინვესტიციები ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია.

**- ევროსტრუქტურები საქველმოქმედო ორგანიზაციები არ არიან. იქ გარკვეული ფუნქცია უნდა შეასრულო. ამ ეტაპზე რა არის ჩვენი პატარა ქვეყნის ფუნქცია?**

- ჩვენი ქვეყნის ფუნქცია ძალზე საინტერესოა. საქართველოს უსაფრთხოების კუთხით ევროპის სამომავლო უსაფრთხოება ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე მთლიანად იქნება დამოკიდებული ევროპის უსაფრთხოება.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება კასპიის რესურსების ეფექტური ტრანსპორტირებისთვის. საერთოდ, ნებისმიერ სატრანზიტო პრობლემასთან დაკავშირებით (ნეგატიური იქნება ეს თუ პოზიტიური), გეოგრაფიულად საქართველოს ე.წ. ევროპის ფილტრის როლი აკისრია. ევროპარლამენტის ბევრ რეზოლუციაში პირდაპირ არის ხაზგასმული საქართველოს ამ ფუნქციაზე.

**- პრეზიდენტი დიდ იმედებს ამყარებდა ქალებზე მთავრობაში. მამაკაცებისაგან განსხვავებულს რას სთავაზობენ საზოგადოებას პოლიტიკოსი და ჩინოვნიკი ქალები?**

- კარგი იქნებოდა, ეს კითხვა პრეზიდენტისთვის დაგვესვათ. ნამდვილად საინტერესოა მამაკაცების ხედვა, თუ რა განსხვავებას ხედავენ ქალ-კოლეგებში.

მაინც მგონია, რომ ქალს ბუნებით აქვს მინიჭებული პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა. უმეტესობას კარგად განვითარებული ინტუიცია აქვს. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, კორუფციულ გარიგებებში ქალები ნაკლებად შეინიშნებიან. არიან უფრო წინდახედულები და უფრო გაწონასწორებულ გადაწყვეტილებებს იღებენ... შეიძლება, გარემოს გალამაზებაც უფრო მეტად შეუძლიათ...

**- ჩვენ პირდაპირ ეთერში ვიხილეთ მთავრობის სხდომა. შენიშნეთ რამე განსხვავება წინა მთავრობის სხდომისგან?**

- ეს პირველი ღია მთავრობის სხდომა იყო. ჩემი აზრით, სამი საათი ამის ყურება ცოტა მოსაწყენი იქნებოდა, მაგრამ პირველ ეტაპზე ეს შეიძლება მოსახლეობისთვის საინტერესოც იყოს. საზოგადოება უნდა ხედავდეს, როგორი ურთიერთგაგებაა მთავრობის წევრებს შორის. პრეზიდენტსაც გააჩნია წინა მთავრობის წევრობის გამოცდილება და აღნიშნა კიდეც, რომ ეს სხდომები უფრო კონსტრუქციული, კოორდინირებული და შეთანხმებულია.

ეს არამც და არამც არ გამორიცხავს სერიოზულ კამათს და განსხვავებული აზრის არსებობას. აუცილებელია კონსენსუსის მიღწევის ერთიანი ძალისხმევა ჩანდეს. ეს კი ნამდვილად არის.

**- გასაგებია, რომ პრეზიდენტი კიდევ ერთხელ დააფიქსირებს ჩვენი ქვეყნის ევროპულ მისწრაფებას, მაგრამ მაინც, კონკრეტულად რას წამოიღებთ ბრიუსელიდან?**

- იმედი მაქვს, რომ ევროკავშირი გამოძებნის საშუალებას, ხელი შეუწყოს ჩვენს ევროპულ მისწრაფებას. ჩვენ გვაქვს სიგნალები, რომ საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია ახალი სამეზობლო ინიციატივის კონტექსტში იქნება განხილული.



# აფიშა

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი**
თემურ წიკლაურის სოლო კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა
დას: 20:00 სთ.

**ძველი სახლი**
მომკალ, მომკალ...
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ბაგრატიონები
კითხულობს: კოტე მახარაძე (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
კრიმანჭული
დას: 18:00 სთ.

## კონცერტი

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
იუმორინა 2004
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
ძიძა მამები
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ.
კარიბის ზღვის მეკობრეები
დას: 17:00; 19:15; 22:30 სთ.

## გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
პერესტროიკიდან გადატრიალებამდე

**TMS**
მაიკ ვუდკოსის ფოტონამუშევართა გამოფენა

**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**'ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ჯემალ გვიმრაძის მემორიალური გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


**"ლიტერატურული კაფე" აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**

წიგნის გამყიდველ-კონსულტანტი, წიგნის მაღაზიის მოლარე, კაფეს ადმინისტრატორი, მცხობელი, მიმტანი.

***განცხადებები მიიღება 13 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე: გამსახურდიას N31, "წიგნის სახლი" (ტელ: 31 30 97); "ლიტერატურული კაფე", კოსტავას N48 (ტელ: 92 16 49).***

განცხადებებზე მიუთითეთ თქვენი კოორდინატი.


# სახლ-მუზეუმის პოპულარიზაცია

ცნობილი ფერმწერის ელენე ახვლედიანისა და მისი სახლ-მუზეუმის (თბილისი) პოპულარიზაციის მიზნით, მზადდება სპეციალური „ბუკლეტი-შეტყობინება", რომელიც ილუსტრირებული იქნება მხატვრის მიერ შექმნილი ტილოებითა და ბიოგრაფიული მონაცემებით.

„ბუკლეტი-შეტყობინების" პრეზენტაცია 18 აპრილს — ელენე ახვლედიანის დაბადების დღეს სახლ-მუზეუმში გაიმართება.

სახლ-მუზეუმის დირექტორის თამილა თევდორაძის თქმით, მწირი შემოსავლების გათვალისწინებით, მისი პოპულარიზაცია ვერ ხერხდება.

ამჯერად კი ინვესტორთა და ბიზნესმენთა დახმარებით, "შეტყობინება" რამდენიმე ასეული ტირაჟით გამოიცემა, რომლებიც უსასყიდლოდ დაურიგდებათ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

„18 აპრილს ელენე ახვლედიანს 106 წელი შეუსრულდებოდა. ტრადიციულად, მისი მეგობრები, ახლობლები და შემოქმედების მოყვარულნი სახლ-მუზეუმში შეიკრიბებიან, რათა კიდევ ერთხელ აღნიშნონ „ელიჩკას" დაბადების დღე", — ამბობს თამილა თევდორაძე.

აღსანიშნავია, რომ ელენე ახვლედიანის დაბადების თარიღად სხვადასხვა გამოცემებში 1901 წელი შეცდომით არის მითითებული. თამილა თევდორაძის თქმით, მხატვარი 1898 წელს დაიბადა.

*მედია-ნიუსი*

# კვლავ ოსბორნების შესახებ

სულ რაღაც ერთი წლის წინათ ოზი ოსბორნის ვაჟი ჯეკი, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ინტენსიურად მკურნალობდა. ახლა კი კლინიკაში მისი უფროსი და კელი აღმოჩნდა. ეს ამბავი პრესას თავად შერონ და ოზი ოსბორნებმა შეატყობინეს CNN-ის გადაცემაში "ლარი კინგი პირდაპირ ეთერში".

რამდენიმე ხნით ადრე ლონდონის ერთმა ბულვარულმა გაზეთმა ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელზეც ოსბორნების ასული ნარკოტიკს იღებს. "დავეკითხეთ, თუ რაშია საქმე, და კელიმ გვითხრა, რომ ნარკოტიკებს ეტანება. მაშინათვე სათანადო ზომები მივიღეთ", - მოჰყვა მუსიკოსი.

ოზის თქმით, ის ხშირად ეკითხებოდა თავის ქალიშვილს, იღებდა თუ არა ის ნარკოტიკებს. კელი ამას ყოველთვის უარყოფდა. ოზი ჩივის, რომ ჰოლივუდში ყველა მსურველს ყველანაირ ნარკოტიკზე მიუწვდება ხელი. ერთხანს ის თავადაც იღებდა ჰეროინსა და LSD-ს და იცის, რა ძნელია ამ სენისგან განკურნება.



მშობლებმა კელის ხელჩანთაში უამრავი ტკივილგამაყუჩებელი აბი აღმოაჩინეს: "აბების რაოდენობა განსაცვიფრებელი იყო". ამჟამად კელის მალიბუს კლინიკაში მკურნალობენ, სადაც მანამდეც მრავალმა სახელგანთქმულმა ადამიანმა დააღწია ნარკოტიკებს თავი.

# დეპრესია გარდაუვალია

### გულითადი მოკითხვა მხატვრებს და გალერისტებს

ნინო ჭანიშვილი

როცა ვიცი, რომ გამოფენაზე უნდა წავიდე, წინასწარ ცუდ ხასიათზე ვდგები ხოლმე. ასეთი მოსაწყენი რამ, თბილისური გამოფენები რომ ჰქვია, არაფერი მინახავს. სანამ გალერეამდე მივალ, გზაში უკვე ნევროზი მიტევს. ვიცი, რომ მივალ და რაღაც სისულელე დამვხდება.

გალერეაში, როგორც წესი, ბევრი ხალხია. მათ შორის - აუცილებლად ჟურნალისტები შეშინებული თვალებით და იმბეცილური შეკითხვებით: "თქვენი შთაბეჭდილებები თუ შეიძლება?"; ან როცა შეკითხვას ვერ იგონებენ: "კიდევ რამეს ხომ არ დაუმატებდით?" - მათხოვრულად. ჟურნალისტებს რომ ჰკითხო, ყველაზე ადვილი კულტურაში მუშაობაა. ერთხელ კულტურის ტაძარში, სამინისტროში ერთი ჟურნალისტი აწყნარებდა მეორეს: "იცი, რა ადვილია ხელოვნებაზე წერა?! მიხვალ გამოფენაზე, ჩამოთვლი სურათების სახელებს, მერე ცნობილ ადამიანებს ჰკითხავ შთაბეჭდილებებს". ცნობილი ადამიანები, რომლებიც ყველა საკითხში ექსპერტები არიან და ყველა შემთხვევისთვის ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ.

მაგრამ, გავაგრძელოთ გამოფენაზე. მოკლედ, დგახარ ამ გამოფენაზე და ფიქრობ, რა დააშავე ცხოვრებაში იმისთანა, რომ ამ გამოფენაზე მოხვდი. გალერეის შუაგულში გაბადრული სიფათით და ყვავილებით ხელში მხატვარი დგას; ნეტარებაში მყოფი ნათესავების გულითად და გულთბილ მილოცვებს იღებს. ამდენ მილოცვებში თავი პიკასო ან ვინმე ეგეთი ჰგონია. მაგრამ, ჯერ სად არის?! ყველაზე დიდი ბედნიერება საღამოს ეწვევა, როცა ოჯახის წევრებთან ერთად მოკალათებული საკუთარ ფიზიონომიას ტელევიზორში დაინახავს. ამას მერე ვიდეო კასეტაზე გადაწერს და რომ დაბერდება, როგორც რელიქვიას, შვილიშვილებს აჩვენებს და აკანკალებული ხელით გადასცემს კიდეც. უაღრესად წარმატებული გამოფენის მეორე დღეს პატივცემული მხატვარი დესერტად გაზეთებსაც წაიკითხავს და სიამაყის გრძნობით არქივს კიდევ უფრო გაიმრავალფეროვნებს.

ეს მხატვრის ამბავი, თორემ ჩემი უბედურება აწი იწყება. მოდიხარ რედაქციაში და გზაში გახსენდება, რომ ნანახ სრულიად წარმოუდგენელ სიკრეტინეზე რაღაც უნდა დაწერო. ამ მომენტიდან უკვე სერიოზულ და მძაფრ დეპრესიაში ვარდები. უკვე მთელი სერიოზულობით ფიქრობ ცხოვრების უაზრობაზე. იუმორის გრძნობა საერთოდ გტოვებს. იმიტომ კი არა, რომ მხატვარზე ვერ იღადავებ, უბრალოდ, იმდენად საცოდაობა იყო ყველაფერი რაც ნახე, რომ აღარც გეცინება.



მოკლედ, მოდიხარ რედაქციაში და სხვა შანსი არაა - უნდა დაწერო. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ კრიტიკის დაწერა კიდევ უფრო დიდი უზრობაა. სერიოზულად რომ დაწერო ვიღაცაზე, ვისაც თავი მხატვარი ჰგონია, მართლა სისულელეა. რაღაც რომ გააკრიტო, ცოტა ღირებული მაინც ხომ უნდა იყოს. არადა, ყველაფერი შეიძლება მარტივად დაწერო, ბევრი ფილოსოფიის გარეშე - "კოშმარი იყო" - და მორჩა. არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი - ერთი გემრიელი ხელოვნებათმცოდნეური სტატია გამოაცხო; ისეთი, ყველას რომ მოეწონება, განსაკუთრებით, მხატვარს და მის ოჯახს. არც გალერისტი და რედაქცია დაგრჩება გულნაკლული. ნაწყვეტები ჟანრის კლასიკიდან: " ამა ადა ამ დღეს ამან და ამან გამოფენა მოაწყო... "მხატვარი გამორჩეული წერის მანერით"; "თვალშისაცემია მისი თვიმყოფადობა" და რაღაც ამდაგვარი ბოდვები. ამ ფორმატში მხოლოდ სახელწოდებები იცვლება. მთავარია, მხატვრების სახელები არ აგერიოს.

როგორც უნდა დავწერო, რედაქციის დატოვების მერეც არ მეშვება დეპრესია და სახლში მიმყვება შლეიფად. მაგრამ, გამოფენის ეპოპეა ამით მაინც არ მთავრდება. თუ რამე ისე დავწერე, რაც პატივცემულ მხატვარს და მის ნათესაობას არ მოეწონათ, მაშინ ნუ იკითხავთ, მხატვარი აუცილებლად დედაჩემის ან ბებიაჩემის ნაცნობი უნდა აღმოჩნდეს. შემოსული ზარების ტექსტები ასეთია ხოლმე: "კი მაგრამ, რა დავუშავეთ?!" იმას კი არ იკითხავენ, მე რა დავუშავე?!

სულ ველოდები, რომ რაღაც მოხდება ამ ქალაქში; რამე ისეთი, ეკატერინე დეგოტმა რომ მოაწყო მოსკოვში - საბჭოთა პერიოდის მამაკაცის საცვლები გამოფინა. კაცის ნუ იქნება, დედაკაცების ფოხნები მაინც გამოფინეთ.

# „აღსარება„

ეკა გვახარია

5 აპრილს კინოს სახლში, კინოთეატრში "ქოლგა" გაიმართა ახალგაზრდა რეჟისორის ზურაბ ქათამაძის ფილმის ჩვენება - "აღსარება". ხუთი საათისათვის დარბაზში უკვე სრული ანშლაგი იყო; ხალხი კიდევ და კიდევ მოდიოდა, რის გამოც, ბევრს ფეხზე დგომა მოუწია. ფილმმა ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. ხანგრძლივი აპლოდისმენტების შემდეგ მაყურებლის წინაშე წარდგა მთელი შემოქმედებითი ჯგუფი: რეჟისორი ზურაბ ქათამაძე, სცენარის ავტორი და ოპერატორი დავით ქათამაძე; მთავარი როლის შემსრულებლები - ია სუხიტაშვილი და ლაშა-გიორგი პაპუაშვილი; მხატვარი ნინუკა ცინცაძე; კომპოზიტორი ლევან ჩხარტიშვილი; ფილმის დირექტორი ზაზა ასანიშვილი; მსახიობები - ნიკა წერედიანი, ლევან დობორჯგინიძე; ანიმატორები - ვოვა ვარდიძე, გურამ კვარაცხელია; ასისტენტები თემურ სუხიტაშვილი, მაია გვახარია, ნინო დოლიძე. ჯგუფის წევრები ახალგაზრდები არიან და მათ ფილმზე ერთი წელი იმუშავეს ენთუზიაზმით და საკუთარი სახსრებით. "დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა, პირველ რიგში, მთელ შემოქმედებით ჯგუფს, რომელმაც ძალიან კარგად იმუშავა, ჩემს ძმას ზურა ქათამაძეს - მან ზუსტად იცა გადაიღო ეს ფილმი, როგორც თავიდან ჩავიფიქრე, – გვითხრა სცენარის ავტორმა და ოპერატორმა დავით ქათამაძემ, – მადლობა მინდა, ვუთხრა მხატვარ ნინუკა ცინცაძეს და კომპოზიტორ ლევან ჩხარტიშვილს, რომელმაც, შეზღუდული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მაინც მოასწრო და შექმნა ძალიან კარგი მუსიკა." "მთელი წლის განმავლობაში, მე და ზურა, როცა არ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, მხოლოდ ამ ფილმზე ვსაუბრობდით, დღეის შემდეგ, ალბათ, ახალ ფილმზე დავიწყებთ ფიქრს", - განაცხადა ფილმის დირექტორმა ზაზა ასანიშვილმა. ახალგაზრდებს წარმატება მიულოცეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ და რეჟისორმა თემურ ფალავანდიშვილმა. "მე ზურას ხელმძღვანელი ვარ, თუმცა ამ ფილმის შექმნაში მონაწილეობა არ მიმიღია. ჩემი დამსახურება ის არის, რომ მე მას ბოლომდე ვენდე და მან ჩემი ნდობა ნამდვილად გაამართლა,"- გვითხრა თემურ ფალავანდიშვილმა. რაც შეეხება თავად რეჟისორს და მსახიობებს, ისინი ძალიან ბედნიერები იყვნენ და მილოცვებს იღებდნენ. "ფილმზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესი იყო. სცენარი თავიდანვე ლაშა-გიორგი პაპუაშვილისთვის დაიწერა. რაც შეეხება იას, მთელ შემოქმედებით ჯგუფს ერთდროულად მოგვივიდა მისი გადაღების იდეა. ის ძალიან კარგად ჩაჯდა ამ როლში", - გვითხრა რეჟისორმა ზურა ქათამაძემ.



*ია სუხიტაშვილი და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი*

კარგი რეჟისურა და სამსახიობო ოსტატობა, ლამაზი კადრები, არაჩვეულებრივი მუსიკა და ფერწერული ნამუშევრები, სიყვარულის ამბავი და დაგვიანებული აღსარება – აი, რა შეიძლება ითქვას ძალიან მოკლედ ახალგაზრდა რეჟისორის ზურაბ ქათამაძის ფილმზე "აღსარება".

დაბოლოს, ფილმის პრემიერამ 2004 წლის მარტს წარმატებით ჩაიარა მოსკოვის "წმინდა ანას" სახელობის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელსაც ფინანსური მხარდაჭერა სოფო ჭყონიამ (კომპანია "კოკა-კოლა") გაუწია. 2004 წლის აპრილის თვეში ფილმი მონაწილეობას მიიღებს სანკტ-პეტერბურგის კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ ორგანიზებულ კინოფესტივალზე "ნაჩალო", საიდანაც რეჟისორს უკვე მოუვიდა ოფიციალური მიწვევა.

# მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზი აუქციონებზე

ნინო ჭანიშვილი

საუკუნეების განმავლობაში გლობუსები, კომპასები, ტელესკოპები და მიკროსკოპები განათლებული მამაკაცის კაბინეტის აუცილებელ ნივთებს წარმოადგენდნენ. მამაკაცი, რომელსაც მაგიდაზე გლობუსი უდგას, ჭკვიანად გამოიყურება – ასეთი აზრი დღემდე არსებობს. მაგალითისთვის, ცნობილი სამარკო ნიშნის კალმების შემდეგ დასავლეთში ყველაზე მეტად ძველი გლობუსების ასლებს ჩუქნიან მამაკაცებს. მაგრამ, სულ სხვაა ნამდვილი ძველებური ხელსაწყო, რომელსაც, მეცნიერულის გარდა, მხატვრული ღირებულებაც აქვს.

გლობუსი ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო ხელსაწყოა. თავდაპირველად, მე-10 საუკუნეში ცის გლობუსები გაჩნდა და მხოლოდ 6 საუკუნის შემდეგ გააკეთეს მიწის გლობუსი. გლობუსების მასობრივი წარმოება ნიურენბერგში დაიწყეს, სადაც მე-17 საუკუნისთვის ადგილობრივი ხელოსნები სხვადასხვაგვარ გლობუსს ამზადებდნენ – მინიატურულ, ჯიბის გლობუსებსა და უზარმაზარ იატაკზე დასადგამს, რომელთა დიამეტრი 2 მეტრი იყო. უახლოეს დღეებში კრისტის აუქციონზე ლონდონში (8 აპრილი) და ვენის დოროთეუმზე (19 აპრილი) ასეთი რარიტეტები არ იქნება წარმოდგენილი. რადგან მე-16-17 საუკუნეებში გამოშვებული გლობუსების უმეტესობა მუზეუმებში ინახება.

ყველაზე ძველი გლობუსი, რომელიც კრისტიზე იქნება გამოტანილი, 1693 წელს პარიზელი ხელოსნის მარია ვინჩენცო კორონელის მიერაა გაკეთებული (80-120 ათასი გირვანქა სტერლინგი). ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია მე-19 საუკუნის მიწურულის ფრანგული, მინის გლუბუსი ლითონის სადგამზე. მასზე ოკეანეები ცისფრად, კონტინენტები კი თეთრად არის დატანილი, რომელთაც სხვადასხვა ფერის კონტურები აქვთ. გლობუსზე ჩრდილოეთ პოლუსი ორი პატარა გემითა და აისბერგითაა აღნიშნული. ამ მშვენიერი გლობუსის სარეკომენდაციო ფასი 2-3 ათასი გირვანქა სტერლინგია.

დოროთეუმის კოლექცია უფრო ფართო წარმოდგენას იძლევა ძველი გლობუსების მრავალფეროვნების შესახებ. აქ წარმოდგენილია იატაკის გლობუსები, რომელთაც მუხის სადგამები აქვთ. ან სამოგზაურო გლობუსი, რომელიც ქოლგის მსგავსად იხსნება.



*ფრანგული მინის გლობუსი*

გარდა გლობუსებისა, კრისტიზე და დოროთეუმზე უამრავ სხვა ნივთსაც გამოიტანენ, რომელთა სახელწოდებები საკმაოდ მოსაწყენია – ჰელიოსტატი, ფსიქომეტრი (რომელიც ჰაერის სინოტივეს ამოწმებს), ჰიროსკოპი და თეოდოლიტი (რომლებსაც კუთხეების განსაზღვრისთვის იყენებდნენ), ტელესკოპები და მიკროსკოპები, კომპასები. ყველა ამ ხელსაწყოს გამოყენება ევროპაში მე-16-17 საუკენეების მიჯნაზე დაიწყეს. მაგრამ, მე-17 საუკუნის ხელსაწყოები იშვიათად ხვდება კოლექციონერთა ხელში. ვაჭრობებზე, ძირითადად, მე-19 და მეოცე საუკუნის დასაწყისის ნივთები გამოაქვთ.

კრისტის კოლექცია უფრო სერიოზული და "სამეცნიეროა". წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მიკროსკოპები. მაგალითად, მე-18 საუკუნის შოტლანდიაში დამზადებული მიკროსკოპი (4-6 ათასი გირვანქა სტერლინგი), ან მე-19 საუკუნის ბინოკულარული მიკროსკოპი, რომელსაც თან ახლავს თავისი ყუთი ლინზებისა და მინების მთელი აღჭურვილობით (3-5 ათასი გირვანქა სტერლინგი).

დოროთეუმზე უფრო თავისუფალი არჩევანია. აქ თეატრალურ ბინოკლებსაც კი გაყიდიან. წარმოდგენილია მე-19 საუკუნის ტელესკოპების მთელი კრებული, ასევე - ობელისკის ფორმის თერმომეტრი გაფორმებული ნაპოლეონის ფიგურით (700-800 ევრო) და 1700 წელს სპილოს ძვლისაგან დამზადებული მზის საათი (1200-1500 ათასი ევრო).

# მუსიკა გრძელდება

მოხუცი და მაგარი "როლინგსთოუნზი"



მიკ ჯაგერი

"როლინგსთოუნზის" კონცერტზე პირველი სამი წუთის განმავლობაში თუ გაიხსენებ ან გაიფიქრებ რამეს. იწყება Street Fighting Man - სიმღერა, რომელიც 1969 წელს არასწორად გაიგეს და ქუჩის მოჩხუბართა ჰიმნად მიიჩნიეს. არადა, მასში ძალიან მელანქოლიური კითხვა ისმის: "რა დარჩენია საწყალ ბიჭს, იმის გარდა, რომ როკ-ენ-როლი იმღეროს?" თქვენ გაგახსენდებათ, რომ ორიგინალურ ვერსიაში ბრაიან ჯონსი გიტარაზე უკრავდა და რატომღაც იმასაც გაიხსენებთ, ოდესღაც, 60-იანების ბოლოს მიკ ჯაგერმა ლონდონში ვიეტნამის ომის წინააღმდეგაც რომ გაიბრძოლა; ოღონდ, დემონსტრაციის დასრულებამდე ეს საქმე მობეზრდა და მძღოლს სახლში წააყვანინა თავი.

როცა Street Fighting Man-ს იწერდნენ, საქმეში სახანძრო რაზმი ჩაერია, რადგან ჟან-ლუკ გოდარი ჯგუფის შესახებ ფილმს იღებდა და გავარვარებულმა ნათურამ ცეცხლი გააჩინა. რამდენიმე წლის შემდეგ ალბომს Beggars Banquet-ს (რომელშიც ეს სიმღერაა შესული), ყოველ სასკოლო ზეიმზე უსმენდნენ, მოზარდები წარმოსახვით გიტარაზე უკრავდნენ და გრძელ თმას აფრიალებდნენ; აღელვებული გოგონები კი დი ჯეის ჯგუფ "სვიტის" დადებას სთხოვდნენ.

ჭორი დაირხა, რომ მიუნხენში გამართულ კონცერტამდე ერთი დღით ადრე მიკ ჯაგერმა გვიანობამდე დაჰყო დისკოთეკა P1-ში, სვამდა და ცეკვავდა, მაგრამ როცა მაიკლ ჯექსონის სიმღერა დაუკრეს, წავიდა. მოკლედ, "როლინგსთოუნზის" კონცერტის პირველი სამი წუთის განმავლობაში მაინც ბევრი რამის გახსენებას მოასწრებთ.

მიკ ჯაგერი ისევ ისე იქცევა, როგორც ყოველთვის: ხტის, ტრიალებს, იმანჭება, დარბის, მიკროფონში ჩაჰყვირის: Everywhere I hear the sound...! და ისეთ სახეს იღებს, თითქოს, დღეს განსაკუთრებით განრისხებული იყოს და ყველაფრის ბოლომდე თქმას აპირებდეს. ათიათასობით ადამიანი სცენაზე მდგომ ოთხეულს მისჩერებია - მუსიკის, მოგონებების, რითმის გრიგალის მოლოდინში ეიფორიით შეპყრობილი. ყოველი სიმღერა, კეიტ რიჩარდსის გიტარის ყოველი აკორდი სუნთქვისშემკვრელ ტალღასავით მოვარდება.

კეიტის, რონის, ჩარლისა და მიკის შემხედვარე ადამიანებს ზოგჯერ ყველაზე სულელური კითხვა ებადებათ: რა ხნის არიან? "რატომ აინტერესებს ხალხს ჩვენი ასაკი? თუ ჩვენს ასაკთან ერთად მუსიკაც ფუჭდება, მაშინ ამაზე ვილაპარაკოთ. მაგრამ, თუ ასე იქნა, საერთოდ აღარ დავუკრავთ", - ამბობს კეიტ რიჩარდსი ისეთი ხმით, თითქოს, სასმელს მოითხოვდეს. მარცხენა ხელის ორ თითზე დიდი კოჟრები აქვს, და თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ მსგავსი კოჟრები მხოლოდ ისეთ გიტარისტს ექნება, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უკრავს. კეიტს მზერა ყოველთვის ოდნავ დაბინდული აქვს და წინადადებას ისე წარმოთქვამს, გეგონებათ, - პირიდან ჟანგიან ჯაჭვს ულებენო. როცა ეკითხებიან, - ტურნეს დროს მხნედ რატომ გამოიყურებიო, - მზერა კიდევ უფრო ებინდება და ამბობს: "როლინგსთოუნზი" ჩემი გამამხნევებელი ვარჯიშია." "როლინგსთოუნზი" კეიტ რიჩარდსის ცხოვრების აზრია - არც მეტი, არც ნაკლები.



"როლინგ სტოუნზის" 2003 წლის მსოფლიო ტურნედან.

REUTERS

ჩარლი ვოთსი, ყველაზე მაგარი ბიჭი უკვე 62-ისა მოიყარა. როცა კონცერტების დროს ათასობით ადამიანი "ჩარლი, ჩარლის!" გასძახის, ის თავისი სკამიდან ცოტა ხნით წამოიმართება ხოლმე და ხალხს თავს უკრავს. ესაა და ეს. 1962 წელს, ჯგუფში მისვლამდე ის ჯაზს უკრავდა და როკ-ენ-როლი მის სმენას შეურაცხყოფდა. ამბობენ, - დღესაც ასე გამალებით იმიტომ აბრაგუნებს, რომ მუსიკა ჩაახშოსო. ისიც გამხდარია, თმაშევერცხლილი, ბრიტანულად მონაცრისფრო კანით, თვალებდაჭყეტილი და ტუჩებწამოწეული ზოგჯერ ბაყაყსაც ჩამოჰგავს. "მეტწილად მუსიკა არ მესმის, საშინელი ხმაურია, სიმღერის აყოლა მძიმე საქმეა," - ამბობს ვოთსი. კონცერტების შემდეგ ის სასტუმროში მიიჩქარის ხოლმე და სმენას დახვეწილი ჯაზის სმენით იამებს.

რონ ვუდი ყველაზე ნორჩია. მას 70-იან წლებში მიღებულმა უამრავმა ნარკოტიკმაც ვერაფერი დააკლო. მის ადგილას ოდესღაც ბრაიან ჯონსი იდგა, რომელიც 1969 წელს საცურაო აუზში დაიხრჩო, მაგრამ ჯგუფი მანამდეც აპირებდა ნარკოტიკებით მეტისმეტად გატაცებული გიტარისტის შეცვლას. რონ ვუდი, უმცროსი ძამიკო მოჩხუბარ ჯაგერსა და რიჩარდსს ხშირად აშველებდა ხოლმე.

და ბოლოს, მიკ ჯაგერი. მას, ვისაც 1975 წელს მანქანების რეცხვითა და ბაღების გაბარვით შეგროვებული ფულით შეუძენია "როლინგსთოუნზის" კონცერტზე შესასვლელი ბილეთი, ვისაც ახსოვს, როგორი აღმგზნები სანახაობა იყო სცენაზე მდგომი ჯაგერი, ვისაც იმხანად გადაეწყვიტა, რომ ყველა სხვისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო, ისიც ეხსომება, რომ მაშინ ის, ჯაგერი და სთოუნზი "ჩვენ" იყვნენ, ჯაგერისთვის კი მხოლოდ "მე" არსებობდა.

მიკი, ლონდონის გარეუბანში დაბადებული სპორტის მასწავლებლის ვაჟი, რომელმაც "სთოუნზის" მეშვეობით სხვა სამყაროში შეაბიჯა. მას აუცილებლად ზევით უნდოდა ასვლა, ამისთვის კი მხოლოდ საკუთარი თავი ჰყავდა: კანი, თმა, სული და მამაკაცური საწყისი. 1962 წელს, როცა ჯონსი და რიჩარდსი, ბიურგერულ ყოფასთან ყოველგვარ კავშირს მოწყვეტილნი, ცივ ლონდონურ ბინაში შეშლილებივით უკრავდნენ გიტარაზე, ჯაგერი კვლავ სტუდენტი იყო, სტიპენდიით ცხოვრობდა და ზუსტად იცოდა, როდის აწყობდნენ მისი მეგობრები რეპეტიციებს. ასეთ დროს ის მეტროში ჯდებოდა და ბრაიანის მეგობარ პატთან ატარებდა ღამეებს. 1968 წელს მამათმავალი ბრიტანელი პარლამენტარი ტომ დრაიბერგი ეცადა, ჯაგერი პოლიტიკოსად ექცია, ამომრჩევლების წრესაც კი ჰპირდებოდა. ჯაგერს ეს ძალიან მოეწონა, ისევე - როგორც მის სახლში ჰაშიშით გაბრუებული თემთა პალატის წარმომადგენლის სიტყვები, როდესაც ეს უკანასკნელი მას ფეხებშუა მიაჩერდა და წარმოთქვა: "როგორი არაბუნებრივი მამაკაცური ძალა გაქვთ!"

ცნობილია, რომ ჯაგერს სძულს, როცა მის წარსულზე ლაპარაკობენ. სინამდვილეში, არ სძულს, უბრალოდ, ცოტა რამ აგონდება. არც ის ახსოვს, რომ თქვა: "ადამიანებს უნდათ, რომ ისეთივენი ვიყოთ, როგორებიც 1969 წელს ვიყავით, რადგან სხვაგვარად მათი ახალგაზრდობაც შეიცვლება. ეგოისტური მიდგომაა, მაგრამ სწორი."

მას ახსოვს, რომ თავიდან კლუბ "ილინგში" სამშაბათობით მხოლოდ ბლუზს უკრავდნენ და მათ მოსასმენად, თითქმის, არავინ დადიოდა. შემდეგ ერთი-ორჯერ "მარკიში" გამოვიდნენ, მაგრამ დიდად აღტაცებულები არ ყოფილან. პირველი, მართლაც წარმატებული გამოსვლა "რიჩმონდ სტეიშენში" იყო. ისე კი, ასობით კონცერტიდან ჯაგერი ვერცერთს ვერ გამოარჩევს.

პასუხად კითხვაზე, - ისურვებდა თუ არა, რომ კვლავ 25 წლის გამხდარიყო, - მან გულწრფელად განაცხადა: "რასაკვირველია! 19-ის მირჩევნია. 25-მდე კიდევ რამდენიმე წელი მექნებოდა. ის წლები ძალიან სასიამოვნო იყო. 25 წლის ასაკში ჩარჩენას არ ვისურვებდი, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა, - შეგიძლია, კიდევ ერთხელ იცხოვროო, - ვეტყოდი: გმადლობ, შესანიშნავია!"

დღევანდელ სერ მიკ ჯაგერთან ინტერვიუები საკმაოდ მშვიდობიანია. ის ძალიან იშვიათად გამოდის მწყობრიდან. სულ რამდენიმე საკითხია, რომლის შესახებაც საუბარზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ასეთია სთოუნის ბიოგრაფი ფილიპ ნორმანი...

"იდიოტია." ამბობს ჯაგერი.

ჟურნალისტი არ ეპუება:

"შესაძლოა, მაგრამ..."

"და ძალიან საზიზღარი, გულისამრევი კაცია", - განაგრძობს სერ მიკი.

"ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს, რომ მეამბოხეობის უდიდესი აქტი ის იყო, რომ ორდენის გადმოცემისას ხელი შარვლის ჯიბეში გედოთ. რა იყო ეს, როკ-ენ-როლი 2002 წელს"?

"ფილიპ ნორმანთან დაკავშირებულ არც ერთ კითხვაზე არ გაგცემთ პასუხს. ის ერთი გულჩათხრობილი, სიძულვილით სავსე, ბებერი კაცია. სწორედ ასე დაწერეთ."

"კარგი, - ნებდება ჟურნალისტი, - იმაზე რას იტყვით, რომ თქვენმა კოლეგამ, კეიტ რიჩარდსმა ბრძანა, - სერის წოდების მიღებით მიკი ტრაკში მძრომელთა კლუბის წევრი გახდაო"?

ჯაგერი ამ ცნობას მშვიდად ხვდება:

"ეს იმას ჰკითხეთ. მე კეიტის სიტყვების კომენტირებას არ ვაპირებ. შეგიძლიათ ყველაფრის შესახებ მკითხოთ, რაც კეიტს ჩემზე უთქვამს. მე არ გიპასუხებთ".

ჯგუფის წევრთა შორის მეგობრობა ან მათი დიდი სიახლოვე სერ მიკს უმნიშვნელო ფაქტორად მიაჩნია: "ჩვენ ერთნაირები არასოდეს ვყოფილვართ, და არც დღეს ვართ ერთნაირები. თუ ერთმანეთს დავემსგავსებით, ჯგუფი მოსაწყენი გახდება. თუნდაც ჯარისკაცებთან, კარგ ჯგუფს განსხვავებული ტალანტები ქმნის - ერთი კარგი ორგანიზატორია, მეორეს ყველა საქმის ბოლომდე მიყვანა შეუძლია... ცხადია, რომ წლების განმავლობაში პიროვნება იცვლება - უკეთესი ხდები, ისეთ ნიჭს აღმოაჩენ, რომელიც 20 წლისას არც გქონია. რომ არ ვიცვლებოდეთ, საშინელება იქნებოდა".

როცა 50 ათასი ადამიანისთვის უკრავ, ადრენალინი არანორმალური რაოდენობით გამოიყოფა. "ფანტასტიკურია, როცა ლუკმაპურს ამით შოულობ, - ამბობს ჯაგერი, - მართლა მსიამოვნებს ამის კეთება". მაგრამ, ის ამაზე დამოკიდებული არაა: "მე ხომ ბობ დილანი არ მქვია".

ისე კი, რამდენ ხანს აპირებს "როლინგსთოუნზი" ასე გაგრძელებას? ოთხი "სთოუნზის" ასაკი ერთად უკვე 200 წელს აღემატება. არსებობს კი ასაკი, როცა შეჩერდებიან?

"დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი დღეც დადგება, - იღიმება სერ მიკი, - მაგრამ, არ ვიცი - როდის. ფეხბურთივითაა: სანამ თამაში შეგიძლია, თამაშობ. ერთი ისაა, რომ მუსიკას ამდენი ენერგია არ სჭირდება. მუსიკა დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს".

ბილ ვაიმენმა, რომელიც ოდესღაც ჯგუფის წევრი იყო, ერთხელ თქვა, რომ მიკი და კეიტი მთელი ცხოვრების განმავლობაში "სთოუნზად" დარჩებიან: "არც კი იციან, სხვაგვარად როგორ მოექცნენ თავიანთ დროს". ძალიან კარგი, იმედია, მართლაც ასეა. სულ ერთია, 60 წლისა არიან თუ 80-ის - მთავარია, რომ კარგები არიან და მათზე უკეთესი არავინ გამოჩენილა.

სვეტი

## კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

როდესაც მზე დღით იღლება,
რადგან ღამეა წინ მთელი,
მიწაზე სისხლად იღვრება
იმისი შუქი წითელი.
და თუმც მთლიანად ვერ ცვლის მას
შეშლილი ვარსკვლავთცვენაზე,
ისრებს რომ ისვრის ვერცხლისას,
მთვარე გამოდის სცენაზე.

■ ■ ■

დღეს მიზანი მთელი ჩემი ჩალიჩის,
რისიც არ მსურს ქაჯებისთვის დათმობა,
არის ქსოვა პოეზიის ხალიჩის
და იმითი ქართულ ენის დათბობა.

■ ■ ■

თუმც ცხოვრება გავიარე მე გრძელი,
გაკეთება ვერაფერის შევძელი,
ისეთის რაც ჭეშმარიტად კარგია
და ჩემს გარდა სხვასაც რამედ არგია.

■ ■ ■

ცენტრია თუ პროვინცია, საჭიროა პოლიცია.

■ ■ ■

რაც შენ ჩვენთვის მოგიცია,
დაგიბრუნდეს პოლიცია.

■ ■ ■

სად იშოვოს მამამ ფული,
როცა მოვა გაზაფხული.

■ ■ ■

*ეძღვნება იოსებს*

რაოდენობა მარი შენ კაცთა,
კარგა ხანია სამი-ოთხს გაცდა
ხუთია ათი თუ ოცდახუთი
და რა თქმა უნდა, ირყევა ტახტი
თუ სიყვარულმა დაგასხა რეტი,
ანდა ვინმესთან საწოლში ჩახტი,
რესპუბლიკის კი მყარია კუნთი,
როგორც ბერძნული კოლონის სვეტი
და უკვე ალბათ სიბრაზე ფაროს,
შოტლანდიელსაც ვერ მოთხოვ ბარონს
რადგან არ ესმის ამაზე მეტი
შენ კი ისეთი მშობლები გყავდა,
პოეზიას რომ გითვლიდნენ პროზად
საკუთარ დროშიც თეთრს ჰგავდი ყვავს და
შოტლანდიაშიც მოგნათლეს ბოზად.

■ ■ ■

არც ხელფასები არც მოსავალი,
როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?!

■ ■ ■

ყოველგვარი ხელოვნება
ამქვეყნად უსარგებლოა,
ეს ერთადერთი ჭეშმარიტებაა,
რაშიც ოსკარ უაილდი არ ცდებოდა.

### ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე

რედიარდ კიპლინგი

(ნაწყვეტი)

დღეიდან ერთგულ ყმად უდგები დედოფალს,
შენია იმისი მტრები,
თუმც მაშინ მიიღებ სახელს და შენდობას,
როცა ჩვენ ვიქნებით მკვდრები.
მორჩილად გაყვები ბრძოლაში მის სარდალს,
მოძმეთა სალადრად ყელის
და იმას მიიღებ, რაც ერგო რისალდარს
მე კი სახრჩობელა მელის.

თვალებში ჩახედვით პირობა ღმერთს მისცეს,
ძნელად გასაგონი ყურით
და ძმობა მარადი ერთმანეთს შეჰფიცეს
მარილით სისხლით და პურით
და ამ ფიცს ძმობისას მათ სისხლი დაასხეს,
რაც მუდამ ამყოფებთ ერთად
დანის პირს ხანჯლის ტარს ნაჭდევი დაასვეს,
სახელით საკვირველ ღმერთთა.

და ვაჟიც მამის ცხენს მოახტა ზევიდან
შავ ცხენზეც ქამალის შვილი
ადრე თუ ბუკლოში ის მარტო შევიდა
უკან იქ დაბრუნდნენ წყვილი.
და როცა ფორტისას მიადგნენ ყაზარმას
ოც ხმალმა იელვა კვალად,
რომლებიც მთიელის საფლავში გაგზავნას
ჩათვლიდნენ საკუთარ ვალად.

ფეხბურთი

# შუშაკის დიაგნოზი: სტრატეგიული კურსის დეფიციტი

A1 გვერდიდან



ლევან ხარხელაურის ფოტო

ივო შუშაკი: "დიდი ნაბიჯი გადავდგით უკან"

- არც მე, არც ჩემი ფეხბურთელები კმაყოფილი არ ვართ იმ სტარტით, რომელიც მეორე ეტაპზე ავიღეთ. თუმცა, ამას რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, გუნდს გამოაკლდა ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი. როდესაც ძირითადი შემადგენლობის ნახევარს ცვლი, გაცილებით უკეთესებიც რომ მოიყვანო, უწინდელ შედეგს თავიდან ვერ აჩვენებ. ახალ გუნდს შეთამაშება სჭირდება.

ჩვენ ახალი ფეხბურთელები კი მოვიყვანეთ, მაგრამ "დინამოში" ადაპტაციისა და საკუთარი თამაშის მიგნებისთვის მათ დრო სჭირდებათ. ჩემპიონატის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვთქვი კიდეც, რომ თავიდან ძალზე გაგვიჭირდებოდა. სტატისტიკურ მონაცემს მოვიშველიებ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ გატანილი გოლების 75 პროცენტი დარასელია-ალექსიძის ტანდემზე მოდის. დღეს ეს ფეხბურთელები სხვა გუნდებში თამაშობენ.

შეგახსენებთ დსთ-ის ტურნირს. მოსკოვში გუნდი ნახტომებით შევიდა ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში. აღმასვლას კი ყოველთვის დაღმასვლა მოსდევს. ამას გარდა, ჩემს ფეხბურთელებში აშკარაა მოტივაციის დეფიციტი. დსთ-ის ტურნირზე გუნდი სულ სხვაგვარად მომართული, მოტივირებული იყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ძალიან გაუჭირდათ ადგილობრივ ტურნირებზე გადართვა და მოტივაციის ერთგვარი ვაკუუმი შეგვექმნა. ცოტა დრომ უნდა გაიაროს იმისთვის, რომ ფეხბურთელები აქაურ რეალობას დაუბრუნდნენ და ქართული ფეხბურთის რიტმზე გადაერთონ. თუმცა, ყველაფერ ამის მიუხედავად, ნამდვილად არ მეგონა, თუ პირველ სამ ტურში მხოლოდ ორ ქულას მოვიპოვებდით. ჩემი ვარაუდით, სულ ცოტა, ოთხი ქულა მაინც უნდა მოგვეგროვებინა.

**- "დინამო" დატოვეს ხიზანეიშვილმა, ამისულაშვილმა, ალექსიძემ და დარასელიამ. არც ერთი მათგანი თავისი ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში არ თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ალექსიძე რუსეთის ჩემპიონატის გამოკვეთილი აუტსაიდერის, "როსტოვის" ღირსებას იცავს. დარასელიაც ასევე აუტსაიდერ "ალანიაშია". უკეთეს გუნდებში არიან ხიზანეიშვილი და ამისულაშვილი. თუმცა, ისინიც, ძირითადად, ტრიბუნებიდან ადევნებენ თამაშს თვალს. არ შეიძლებოდა, რომ ეს ფეხბურთელები თუნდაც შემოდგომამდე შეგენარჩუნებინათ და მათთან ერთად გეცადათ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ბარიერების დაძლევა? აგვისტოში ხომ რუსეთისა და უკრაინის სატრანსფერო ფანჯარა ღიაა და ეს ფეხბურთელები მერეც მოახერხებდნენ ამ გუნდებში გადასვლას.**

- არსებობს ასეთი ხორვატიული ანდაზა: "დაღვრილ რძეზე არ ჯავრობენ". ეს უკვე მომხდარი ამბავია და მის ხელახალ განხილვას აზრი არა აქვს. თუმცა, რაკი გაინტერესებთ, დავუბრუნდები ამ საკითხს. ფეხბურთელებსა და კლუბს შორის ურთიერთობა მოუგვარებელი იყო. ზოგს კონტრაქტში ჰქონდა პუნქტი, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეეძლო "დინამოს" დატოვება. ზოგთან თავის დროზე არ გაგრძელდა კონტრაქტი. ამის გამო ოთხი წამყვანი ფეხბურთელი დავკარგეთ. არადა, მერწმუნეთ, გუნდი, რომლითაც დსთ-ის ტურნირი მოვიგეთ, უკვე საერთაშორისო დონის იყო. თუ ამ გუნდს მაღალი კლასის სამი ფეხბურთელით გავაძლიერებდით, უეფას ტურნირში 3-4 ეტაპს დავძლევდით. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ფეხბურთელები ახალ კლუბებში ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, ეს დროებითი მოვლენაა. სათადარიგო სკამისთვის არავინ ყიდულობს ფეხბურთელს. უბრალოდ, მათ ადაპტაციისთვის გარკვეული დრო სჭირდებათ, რის შემდეგაც, დარწმუნებული ვარ, ახალ კლუბებში წამყვან პოზიციებს დაიკავებენ.

**- სამი წლის წინათ, როდესაც კლუბი ბადრი პატარკაციშვილის საკუთრებაში გადავიდა, გაცხადდა, რომ ახალი ხელმძღვანელობა "დინამოს" უწინდელ საერთაშორისო ავტორიტეტს დაუბრუნებდა. ამისთვის დაისახა ბიზნეს-გეგმა, რომლის მთავარი პოსტულატები იყო: 1. მესამე წელს "დინამო" მოხვდებოდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში 2. ამ პერიოდში გუნდიდან არ გაუშვებდნენ ამ მიზნისთვის გამოსადეგ არც ერთ ფეხბურთელს 3. ყოველი სეზონის დასაწყისში გუნდს ახალი, მაღალი კლასის ფეხბურთელებით გააძლიერებდნენ. სამი წელი უკვე გავიდა და იმ გეგმის მიხედვით, წლეულს "დინამო" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში უნდა მოხვდეს. რამდენად რეალურად გესახებათ ეს?**

- უკმაყოფილო ვარ იმ სატრანსფერო პოლიტიკით, რომელსაც ვაწარმოებთ. შეგახსენებთ გასული სეზონის დასასრულს. მაშინ გუნდის ხელმძღვანელობას მივეცი იმ ფეხბურთელთა სია, რომელთა "დინამოში" გადმოყვანაც მსურდა. აშვეთია, ქემოკლიძე, ლომაია, ასათიანი, სირაძე – ამათზე ვაკეთებდი აქცენტს. სამწუხაროდ, ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გადმოვიბირეთ. მეტსაც გეტყვით: ასათიანი რომ მოსკოვის "ლოკომოტივში" გადავიდა, ამ გუნდის მწვრთნელი მას ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებდა და დავაყენე საკითხი, რომ იჯარის წესით მაინც გადმოგვეყვანა. ვერც ეს საკითხი მოგვარდა. დსთ-ის ტურნირის შემდეგ წასულ ფეხბურთელებზე უკვე ვისაუბრეთ. გამოდის, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგით უკან, მაგრამ ერთი ნაბიჯით უკან დახევა აუცილებელიცაა იმ დროს, როცა წინ ორი ნაბიჯის გადადგმას აპირებ. ჩვენს მთავარ სპონსორს, ბატონ ბადრი პატარკაციშვილს მართლა ძალიან უნდა, რომ "დინამომ" საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას მიაღწიოს. ამის თაობაზე თავად მესაუბრა. თუმცა, ჯერ არ არსებობს ერთიანი სტრატეგიული კურსი, რომლის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც კი ზედეტია. როგორც ვიცი, ასეთ სტრატეგიას ახლა შეიმუშავებენ. რაც მთავარია, ეს სტრატეგია ფინანსურადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

**- თქვენ "დინამოსთან" კონტრაქტი მაისის ბოლოს გიმთავრდებათ. ისაუბრეთ თუ არა კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე?**

- როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა, პირველ რიგში, სტრატეგიული კურსის შემუშავებას ეშურება და მწვრთნელის საკითხის გადაწყვეტას შემდეგ აპირებს. ჩემს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ კლუბის ხელმძღვანელობა ჩემთან კონტრაქტის გაგრძელებას 2004 წლის 1 მარტამდე მოისურვებდა, ჩემი სურვილის მიუხედავად, "დინამოში" კიდევ ერთი წლით დარჩენა მომიწევდა. "დინამოს" ხელმძღვანელობამ არ აამუშავა ეს პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემი დარჩენის საკითხი მოგვიანებით გაირკვევა. თუმცა, ეს სულაც არ მიხსნის პასუხისმგებლობას და, იმის მიუხედავად, დავრჩები თუ არა გუნდში, ჩემს მოვალეობას უწინდებური ფანატიზმით შევასრულებ.

**- თუ კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტის გაგრძელებას შემოგთავაზებთ, დათანხმდებით?**

- ეს დამოკიდებული იქნება იმ სტრატეგიულ კურსზე, რომელსაც ახლა შეიმუშავებენ კლუბის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი და მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი. რამდენიმე დღის წინ არაოფიციალურად შევხვდი პატარკაციშვილს. ის კლუბში არსებული ვითარებით დაინტერესდა. თან, გუნდში დარჩენაზე იფიქრეო, მითხრა. შევთანხმდით, რომ უახლოეს 10-15 დღეში კიდევ ერთხელ შევხვდებით. ალბათ, ყველა საჭირბოროტო საკითხს განვიხილავთ და გადავწყვეტთ. ბადრი პატარკაციშვილმა ძალიან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ "დინამო" ჭაობიდან ამოეთრია. მე არავისთან პირფერობა არ მჭირდება და ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმე მოვიმადლიერო. ეს ფაქტია.

**- ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ 1 ივნისს "დინამოსთან" კონტრაქტს აღარ აგრძელებთ და სამშობლოში ბრუნდებით. რამდენად წარმატებულად მიიჩნევთ თქვენი სამწვრთნელო კარიერისთვის აქ გატარებულ წლებს?**

- არ მინდა, "დინამო" ძალიან შემიყვარდეს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, რადგან ეს ხელს შემიშლის პროფესიული მოვალეობების შესრულებაში. თუმცა, რამდენად გამომივა, ძნელი სათქმელია. დავით პეტრიაშვილით დაწყებული, საწვრთნელი ბაზის მომსახურე პერსონალით დამთავრებული, აქ ისეთი პირობები შემიქმნეს, რომ ყოველ დღეს ბედნიერად და სრული კომფორტით ვატარებ. "დინამოში" გატარებული წლები ჩემთვის ძალიან ტკბილად მოსაგონარი იქნება. აღარც ვიცი, თბილისისა და საქართველოს გარეშე როგორ გავძლო. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ეს არ არის კომპლიმენტი. რასაც ვგრძნობ, იმას გეუბნებით.

რაც შეეხება შეფასებას, არც ჩემი მუშაობით ვარ უკმაყოფილო. საქართველოს ჩემპიონობა და თასი, დსთ-ის ტურნირში გამარჯვება, საქართველოს ნაკრებთან ერთად რუსეთის ნაკრების დამარცხება – ეს, ალბათ, თითქმის მაქსიმუმი იყო, რისი გაკეთებაც შემეძლო. თუმცა, ბოლომდე კმაყოფილი ადამიანი... მეც მაქვს ჩემი აუსრულებელი მიზნები.

**- არსებული პრობლემების ფონზე, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ ჩემპიონის ტიტულის დაცვა და ყიფიანის თასის ტურნირში გამარჯვება?**

- ყველა ქვეყანაში წამყვან კლუბებს ერთნაირი მიზნები აქვთ – ჩემპიონატში და თასის ტურნირში გამარჯვება. თუმცა, მოვლენათა განვითარებას ამ მიზნებში კორექტივები შეაქვს: გუნდი ან ჩემპიონობისთვის აგრძელებს ბრძოლას ან თასისთვის. ჩვენს შემთხვევაში ორივე მიზანი აქტუალურია. ჩემპიონატში პირველ-მეორე პოზიციას ვინაწილებთ "სიონთან", თასზე კი მეოთხედფინალში ვართ და განმეორებითი მატჩის წინ სოლიდური უპირატესობა გვაქვს – "ბათუმი" თბილისში 2:0 გვყავს დამარცხებული.

ჩემპიონატში წინ კიდევ 7 თამაში გველის, ანუ გასათამაშებელია 21 ქულა. ჩემი აზრით, რაც მეორე ეტაპზე ერთად შეცდომები უნდა დაგვეშვა, პირველ სამ მატჩში დავუშვით. მომავალში ამის უფლება აღარ გვაქვს და ვეცდებით, ნელნელა გამოვასწოროთ მდგომარეობა.

# როდის იგებს "რეალი" და რა ღირს "ჩელსი"

ნინო პირველი



კარლოს კეირუში: "რეალი" მოტივაციით სულ სხვაა"

დღეს მძიმე დღეა ტოტალიზატორსა და ფსონებზე გადარეული ფანობისთვის. "მონაკო"-"რეალის" მატჩის მოსალოდნელი პერიპეტიების წინასწარ განსაზღვრას კიდევ როგორმე მოახერხებს კაცი, მაგრამ როგორ გინდა, ლონდონური დერბის ახლართულ-დახლართულ ამბებს გაუგო თავი და ბოლო? გაიტანს "ჩელსი" "ჰაიბერიზე"? შეინარჩუნებს სასურველ ანგარიშს "არსენალი"? დაარღვევს უსიამოვნო ტრადიციას ჩუკოტკის გუბერნატორის კლუბი და, ბოლოს და ბოლოს, მოუგებს არსენ ვენგერის ინგლისურ-ფრანგულ ესკადრას? მიდი და გაიგე, თუ მაგარი ხარ... მოკლედ, ამ მატჩში ფსონის სწორად გაკეთება საკმაოდ ძნელია, მაშინაც კი, როცა იცი, დაახლოებით რა შემადგენლობით გავლენ გუნდები მოედანზე და რომელი ფეხბურთელი დააკლდება ამა თუ იმ კლუბს...

## როცა უნდათ, ყველას უგებენ

ამ არხეინი ფრაზის ავტორი კარლოს კეირუშია, "რეალის" პორტუგალიელი მწვრთნელი. ვარსკვლავებით გადატენილი "რეალისგან" რომ ყველა გალაქტიკურ და არამქვეყნიურ თამაშს მოითხოვს, ეს არავისთვის არ არის ახალი ამბავი. აბა, როგორ გინდა, როცა აქეთ ზიდანი და ფიგუ გჭრიან თვალს თავიანთი მიუწვდომელი ოსტატობით და იქით ბექჰემი, რონალდო, რაული და რობერტო კარლოსი გაჯადოებენ ბურთთან ურთიერთობის საოცარი ხელოვნებით. ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, მუდამ გამარჯვება გიტრიალებს თავში. სამწუხაროდ, მადრიდელები ყოველთვის როდი ანებივრებენ ერთგულ გულშემატკივრებს არაჩვეულებრივი წარმატებებით. ამ სტრატოსფერული გუნდისთვის დამარცხება სულაც არ არის უცხო ხილი. წააგებს "რეალი" და ესპანელი ჟურნალისტები მაშინვე კარლოს კეირუშს მივარდებიან, ეს რას ჰგავსო. პორტუგალიელიც თავს იმართლებს, მე რა ვქნა, როცა თვითონ უნდათ, მშვენივრად იგებენო...

ამ ბოლო დღეებში ჩემპიონთა ლიგაზე ნაკლებად ლაპარაკობენ ესპანეთში. "რეალის" ფანებს უფრო პრიმერა დივიზიონში შექმნილი ვითარება აღელვებთ: "რეალი" მხოლოდ ერთი, ერთადერთი ქულით უსწრებს "ვალენსიას" და ჯერ კაცმა არ იცის, "კოპა დელ რეის" "სარაგოსასთვის" ჩუქების შემდეგ "ვალენსიაც" ხომ არ მიიღებს "სამეფო კლუბისგან" ასეთ, მართლაც, მეფურ საჩუქარს. პრიმერა დივიზიონის ფონზე ჩემპიონთა ლიგა ცოტათი დაიჩაგრა, მაგრამ კარლოს კეირუშს შესანიშნავად ახსოვს, სამშაბათს მონაკოში რომ უნდა გაიყვანოს გუნდი და მთელი ძალ-ღონით ცდილობს "რეალის" მოტივირებას. ეს კი სულაც არ გახლავთ იოლი. საერთოდ, მოტივაციის ნაკლებობა "რეალის" ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია. მადრიდელებს ზოგჯერ, უბრალოდ, ეზარებათ ხოლმე შედარებით სუსტ მეტოქესთან თამაში. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მსგავსი პრობლემა ნამდვილად არ ჰქონდათ - ძველი, კარგად ნაცნობი მეტოქე - მიუნხენის "ბაიერნი" ჰყავდათ გზიდან ჩამოსაცილებელი და დიდი შემართებით თამაშობდნენ. აი, "მონაკო" კი.... მეოთხედფინალს შემორჩენილი გუნდებიდან "მონაკო" უდავოდ ყველაზე სუსტია. კენჭისყრის წინ "მილანის" ჩაფუნთუშებული თავკაცი კარლო ანჩელოტი ღმერთს ეხვეწებოდა, "რეალი" აგვაცილე და "მონაკო" შეგვახვედრეო, მაგრამ ნატვრა მხოლოდ ნაწილობრივ აუხდა. "მონაკო" სწორედ "რეალის" გემრიელი ლუკმა გახდა და "სამეფო კლუბმაც" თვალის დაუხამხამებლად გადასანსლა პრინც ალბერის საამაყო გუნდი. პირველ მატჩში ექვსი გოლი გავიდა - აქედან მხოლოდ ორი "რეალის" კარში და იმ ორიდან ერთი მადრიდელების ექს-ფორვარდის ანგარიშზეა. ასე მიესალმა ფერნანდო მორიენტესი "სანტიაგო ბერნარბეუს". მეორე მატჩში "რეალს" საგანგაშო არაფერი აქვს. შეუძლია, მშვიდად და აუღელვებლად გაბრძანდეს ნახევარფინალში. ძნელი წარმოსადგენია, რომ "მონაკო", თუნდაც საოცრად მოტივირებული და მონდომებული, მადრიდელების უგოლოდ დამარცხებას შეძლებს. პრიმერა დივიზიონის მატჩში "ალბასეტესთან" დევიდ ბექჰემმა და ზინედინ ზიდანმა მიიღეს ტრამვები. ესპანელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ ბექჰემი მონაკოში არ ითამაშებს. ასევე პრობლემები აქვს ივან ელგერასაც. "მონაკოს" ორი ფეხბურთელი ჰყავს ტრამვირებული. 23 წლის მცველი სებასტიან სკილაჩი, რომელმაც მადრიდში პირველი გოლი გაიტანა, ისევ შეაწუხა ძველმა ტრავმამ და, ალბათ, ერთი თვე მაინც დასჭირდება ფორმაში ჩასადგომად. ნახევარმცველ აკის ციკოსს კი კუნთი აქვს გაწყვეტილი. ექიმებმა ისიც ერთი თვით გაისტუმრეს დასასვენებლად.

## "მეთოფეთა" პრეზიდენტის იმედები

ჯორჯ გრემი, ლონდონის "არსენალის" პრეზიდენტი, ამ მძიმე დერბის წინ ოპტიმისტურად არის განწყობილი. "ჩვენ მოვუგებთ "ჩელსის"! - მტკიცედ აცხადებს გრემი. რომან აბრამოვიჩი "მეთოფეებს" მუქარას არ უთვლის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისიც მხოლოდ წარმატებაზე ფიქრობს. ბოლოს და ბოლოს, რისთვის გადაყარა ამდენი ფული, თუ ვერაფერს მიაღწევს? დღეს გამოჩნდება, რა ღირს "ჩელსი" რეალურად, რამდენად "მძიმეები" არიან "არისტოკრატთა" ვარსკვლავები.

კლაუდიო რანიერისთან შედარებით არსენ ვენგერი ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. მას არავინ ემუქრება, არავინ აკრიტიკებს, არავინ აყვედრის ვარსკვლავებში გადაყრილ მილიონებს. ვენგერიც წყნარად ემზადება დერბისთვის და ზედმეტ პრობლემებზე ფიქრით თავს არ იცხელებს. "მეთოფეთა" ფრანგი გენერლის ერთადერთი საფიქრალი ფეხბურთელთა ტრავმებია. 24 მარტს, "ჩელსისთან" გამართულ პირველ მატჩში, ეშლი კოულმა მუხლი იტკინა და დღემდე ვერ ჩადგა ფორმაში. კოულის ტრავმა ისე სერიოზული აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელმა მას შემდეგ ერთხელაც ვერ შეძლო მოედანზე გასვლა. მან ამხანაგური მატჩიც გამოტოვა, რომელიც ინგლისის ნაკრებმა შვედების წინააღმდეგ გამართა. არ ითამაშა არც ფედერაციის თასის ნახევარფინალში "მანჩესტერ იუნაიტედთან", სადაც ლონდონელები დამარცხდნენ. საერთოდ, ის შეხვედრა მეტად დანავსული აღმოჩნდა "არსენალისთვის". წაგება წაგებად და, არსენ ვენგერს ტრავმებიც თავში საცემი გაუხდა. შვედ ნახევარმცველს ფრედერიკ ლიუნგბერგს ხელი მოსტყდა. ესპანელმა ფორვარდმა ანტონიო რეიესმა კი ფეხი იტკინა და, სულ მცირე, სამი კვირა ვეღარ ითამაშებს.

ამ მხრივ "ჩელსის" არა უშავს რა. ტრავმირებული თითქმის არავინაა. კლაუდიო რანიერის მხოლოდ მარსელ დესაის საკითხი აწუხებს (დესაიმ პირველ მატჩში ორი ყვითელი ბარათი გამოსტყუა მსაჯს და "ჰაიბერიზე" მაყურებელთა შორის იჯდება). რანიერი არცთუ ისე უიმედოდაა მატჩის წინ: "ახლა სამი უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის წინ: დერბი "არსენალთან", საშინაო მატჩი "მიდლსბროსთან" და სტუმრად "ასტონ ვილასთან". ეს სამი შეხვედრა ბევრ რამეს გადაწყვეტს. "არსენალი" დიდი გუნდია. მეორე მატჩიც საკმაოდ რთული იქნება. არ ვიცი, როგორ ემზადებოდა "არსენალი" ამ შეხვედრისთვის. მათ ვარჯიშებს ნამდვილად არ დავსწრებივარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენს დასაძლევად თავს არ დაზოგავენ." - თავს იზღვევს იტალიელი.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბრიუს ლენჰემი "ასტონ ვილის" აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა, იუწყება სააგენტო "როიტერსი". აღსანიშნავია, რომ ლენჰემი ადრეც იყო აღმასრულებელი დირექტორი, ოღონდ არა "ასტონ ვილაში", არამედ ინგლისის პრემიერ ლიგის სხვა გუნდში, კერძოდ, "ფულემში". ლენჰემი თავისი მოვალეობის შესრულებას 10 მაისიდან შეუდგება. დუგ ელისი, რომელსაც აქამდე აღმასრულებელი დირექტორის პოსტი ეკავა, "ასტონ ვილაში" დარჩება და საკონტრაქტო საქმეებს შეასრულებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "ვალენსიის" ნახევარმცველმა ვისენტე როდრიგესმა განაცხადა, რომ ვალენსიიდან წასვლას არ აპირებს. მან უარით გაისტუმრა ინგლისური გრანდი "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელმაც სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა ვისენტეს. იმისთვის, რომ ყველანაირი ჭორი გაფანტულიყო, ვისენტემ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა: "ყველამ კარგად იცის, რომ მე "ვალენსია" ავირჩიე და ამ გუნდიდან წასვლას არ ვაპირებ. მზად ვარ, იქამდე ვითამაშო "ვალენსიაში", სანამ თვითონ გუნდი არ გამათავისუფლებს."

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე უკმაყოფილოა თავისი გუნდის მცველის, შვეიცარიელი სტეფან ანშოს ჟურნალისტებისთვის მიცემული ინტერვიუებით. შვეიცარიელი მცველი აკრიტიკებს ფრანგ სპეციალისტს და ამბობს, რომ ულიე განგებ არ აყენებს მას ძირითად შემადგენლობაში. "მე არ მსიამოვნებს ის, რასაც სტეფანი ამბობს. როდესაც ის ტრავმირებული იყო, ხმას არ იღებდა და ახლა, როდესაც გამოკეთდა, მოუნდა, რომ მაშინვე ძირითადში მოხვედრილიყო. ჩემი ყველა ფეხბურთელის მიმართ მე ერთნაირად ვარ განწყობილი და ვერავის გამოვყოფ. ძირითადში ვათამაშებ მას, ვინც ღირსია. იმედი მაქვს, სტეფანი ბევრს ივარჯიშებს და ძირითადში მოხვდება", - განაცხადა ჟერარ ულიემ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ უკმაყოფილოა თავისი გუნდის თამაშით (პორტუგალიელები იტალიის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ და დამარცხდნენ). "ვთვლი, რომ იტალიასთან მატჩში უკან გადავდგით ნაბიჯი და არა წინ, როგორც ეს ინგლისის ეროვნულ გუნდთან იყო. ორი ისეთი გოლი გავუშვით, რომელიც მაღალი დონის გუნდმა არ უნდა გაუშვას. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან შორს ვიქნებით იმ გუნდისგან, რომლის შექმნასაც ვაპირებთ", - განაცხადა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ. თავის მხრივ, განცხადება გააკეთა იტალიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ: "მე კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშითაც და შედეგითაც. მინდა გამოვყო ვიერი, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა. ასევე ძალიან მომეწონა ანდრეა პირლო. მას ამ მატჩში გამოცდა უნდა ჩაებარებინა. შეიძლება ითქვას, რომ ჩააბარა და ძალიან კარგადაც ჩააბარა. მოკლედ, მე კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით", -განაცხადა დონ ტრაპიმ და იმედი გამოთქვა, რომ გუნდი კიდევ მოუმატებს და ევროპის ჩემპიონატზე ასი პროცენტით მომზადებული გაემგზავრება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მილანისა" და უკრაინის ნაკრების ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ მაკედონიის ნაკრებისა და უკრაინის ნაკრების მატჩის დროს ტრავმა მიიღო, რის გამოც ის ორი კვირის განმავლობაში ინდივიდუალურ ვარჯიშებს ჩაატარებს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კაუნასის "ჟალგირისმა" ვადაზე ადრე მოიპოვა ლიტვის საუკეთესო გუნდის ტიტული. რეგულარულ ჩემპიონატში მას ვერც ერთი გუნდი ვეღარ დაეწევა. შეგახსენებთ, რომ კაუნასის "ჟალგირისი" აგრძელებს ბრძოლას ულების ევროლიგის "ოთხთა ფინალში" გასასვლელად.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია ATP-იმ 5 აპრილისთვის ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. ამერიკელმა ენდი როდიკმა (მაიამის ტურნირში გამარჯვების შემდეგ) გადაინაცვლა მეორე პოზიციაზე, სადაც მანამდე ესპანელი ხუან კარლოს ფერერო იყო. ლიდერი კი კვლავ შვეიცარიელი როჟე ფედერერია.

**ATP რეიტინგი**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) – | 5545 |
| ენდი როდიკი (აშშ) – | 4800 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) – | 4390 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) – | 3565 |
| ანდრე აგასი (აშშ) – | 2570 |
| რაინერ შუტლერი (გერმანია) – | 2245 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) – | 2125 |
| ტიმ ჰენმანი (ინგლისი) – | 2015 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) – | 1925 |
| სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) – | 1630 |

**WTA რეიტინგი**

| | |
|---|---|
| ჟუსტინ ენინ-არდენი (ბელგია) – | 7626,00 |
| კიმ კლიისტერსი (ბელგია) – | 6280,00 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) – | 3173,00 |
| ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – | 2943,00 |
| ანასტასია მისკინა (რუსეთი) – | 2828,00 |
| ელენა დემენტიევა (რუსეთი) – | 2589,00 |
| სერენა უილიამსი (აშშ) – | 2519,00 |
| ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – | 2300,00 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი) – | 2142,00 |
| აი სუგიამა (იაპონია) – | 2053,00 |

კალათბურთი

# ქართველები ფინალში ითამაშებენ

პაატა თოთაძე

აქამდე არ მომხდარა ჭაბუკ ქართველ კალათბურთელებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოეპოვებინოთ და აი ეს დღეც დადგა. ყველაფერი გუშინ ხორვატიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპის ბოლო დღეს გაირკვა. ქართველთა მეტოქე გუშინდელ მატჩში საფრანგეთის ნაკრები იყო. სიმართლე ითქვას ეს თამაში ბევრს არაფერს წყვეტდა ქართველთათვის, რადგან გუშინწინდელი მატჩები სხვა ჯგუფებში იმგვარად დასრულდა, რომ წაგების მიუხედავად ჩვენები ფინალურ ეტაპზე თამაშს ინაღდებდნენ. სხვა ჯგუფებშიო იმიტომ ვამბობთ, რომ ქართველებს ჯგუფში სულ მცირე მეოთხე ადგილზე გასვლა გარანტირებული ჰქონდათ, ნახევარფინალური ეტაპის სამი ჯგუფიდან კი ფინალურ ეტაპზე ორ საუკეთესო მეოთხეადგილოსანს ეძლეოდა თამაშის უფლება. საერთო ჯამში ტურნირზე გამართული ხუთი მატჩიდან ჩვენებურებმა სამი მოიგეს, რაც მიზნის მისაღწევად საკმარისი აღმოჩნდა.

მოკლედ გუშინდელი მატჩი ბევრს არაფერს წყვეტდა და ქართველებმაც ის 17 ქულის სხვაობით დათმეს. “ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ბუნებრივია გახარებული ვართ შედეგით. მართალია ჩვენს თამაშში იყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც მომავლისთვის აუცილებლად გამოსასწორებელია, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაფერმა კარგად ჩაიარა – საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს”, - ჩვენთან საუბარში განაცხადა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა.

ნაკრების წარმატების გარდა კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ ქართველთა წამყვანი მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ იქნა დასახელებული.


მანუჩარ მარკოიშვილი – შესარჩევი ტურნირის საუკეთესო მოთამაშე

ჭიდაობა

# გენერალური რეპეტიცია ახალგაზრდულად

გიგა გურასაშვილი

ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ერთგვარი სატესტო ასპარეზობა ბერძენ-რომაელთათვის ევროპის ჩემპიონატია, შეჯიბრება, რომელიც, შეიძლება ითქვას, გენერალური რეპეტიციაა ოლიმპიურ ხალიჩამდე. აქ გამოჩნდება იმ ფალავანთა შესაძლებლობები, რომლებსაც ათენში მედლების პრეტენზია ექნებათ.

მოჭიდავეთა მზადების დონის შეფასება და საქმეში ნახვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლადო ადეიშვილსაც მოუწევს. ის დღეს ჰაპარანდაში (შვედეთი) ამალითურთ გაემგზავრა. საქართველოს ნაკრები ერთ-ერთი გამონაკლისია, რომელიც ევროპის ჩემპიონატს ახალგაზრდული შემადგენლობით ეწვევა. ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ამჯობინეს, რომ დიდები ათენის ოლიმპიადისთვის შინ მომზადებულიყვნენ, რაც, გარკვეულწილად, იმანაც განაპირობა, რომ ტრავმები თავიდან აეცილებინათ. მით უმეტეს, რომ 96 კგ და მძიმე წონით კატეგორიებში მცირე ტრავმები ისედაც აქვთ ჩვენს ფალავნებს.

მიუხედავად ამისა, უეჭველია, სკანდინავიაში ევროპის საჭიდაო ოჯახის საუკეთესო ნაწილი მოიყრის თავს – 30 ქვეყნის 450-მდე ბერძენ-რომაელი ქალ-ვაჟი. ჩვენ ვაჟთა ასპარეზობები უფრო გვაინტერესებს.

ვიდრე საქართველოს ახალგაზრდული გუნდი შვეციის გზას გაუდგებოდა, ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ლადო ადეიშვილს გავესაუბრეთ და ვთხოვეთ, ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე დაწვრილებით მოეთხრო:

- რაკი დიდების ნაკრების ძირითადი მიმართულება ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაა, გადაწყდა, რომ მათ ნაცვლად ახალგაზრდული გუნდით გვეასპარეზა.

**- ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდი მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული თუ რომელიმე წონით კატეგრიაში არის გამონაკლისი?**

- გამონაკლისი 74 კგ წონაა. აქ ტარიელ მელელაშვილი იასპარეზებს. ტრავმების გამო მას, ფაქტობრივად, წელიწადნახევარი არ უჭიდავია. ახლა, როდესაც მომჯობინდა, მას ოლიმპიური თამაშებისთვის სათადარიგო მოჭიდავის როლი დაეკისრება (შეგახსენებთ, 74 კგ წონაში ოლიმპიურ ხალიჩაზე იასპარეზებს ბადრი ხასაია, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიპოვა ათენის საგზური.-რედ.), ამისთვის კი საერთაშორისო სარბიელზე გამოცდილებამ უნდა შეუწყოს ხელი. მართალია, საერთაშორისო შეჯიბრებებზე მონაწილეობის კარგი გამოცდილება აქვს, მით უმეტეს, ოლიმპიურ თამაშებზეც გამოსულა, მაგრამ წელიწადნახევრიანი პაუზა მოჭიდავეს სერიოზულ დაღს ასვამს. ამიტომ მას გუნდში ვუხმეთ.

**- მონაწილე ქვეყნებზე რა შეგიძლიათ თქვათ? როგორც ვიცი, რამდენიმე ქვეყანამ ანალოგიური ნაბიჯი გადადგა...**

- სანამ ადგილზე არ ჩავალთ, კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. ალბათ, მართლაც, ახალგაზრდულ გუნდებს ვიხილავთ. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ქვეყანა ასე მოიქცევა.

**- ყველაფერ ამის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელია გარკვეული პროგნოზის გაკეთება?**

- დიდებში ახალგაზრდებს გაუჭირდებათ, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ იქ სასეირნოდ მივდიოდეთ. რაღაცის იმედი მაინც გვაქვს. თუმცა, წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან ძნელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდ გამოცდილებას მიიღებენ, რაც მომავალში გამოგვადგება.

■ ■ ■

ნაკრები გუშინდლამდე ბორჯომში გადიოდა შეკრებას. დღეს დილით კი შვედეთისკენ გაემგზავრა. შეჯიბრება 8 აპრილს დაიწყება და 11-ში დასრულდება. შემადგენლობა ასეთია: პაატა ბიწაძე (55კგ), ლაშა ლომაძე (60კგ), ომარ ბაკურიძე (66კგ), ტარიელ მელელაშვილი (74კგ), გიორგი ჯობავა (მძიმე წონა).

ბოულინგი

# ბოულინგი: ჩვენი ცხოვრების სტილი

ნუ გაიკვირვებთ ამ სიტყვებს. ქართული ბოულინგის 5-წლიანმა ისტორიამ, მართლაც, დაადასტურა მისი ჭეშმარიტება. ჩვენ ვსწავლობთ, ბევრს ვშრომობთ და ჩაფლული ვართ საქმეში. ხანდახან დაღლილობა მოგვეძალება და სტრესის მოსახსნელად ან განტვირთვის უზრუნველსაყოფად ბოულინგი ჩინებული საშუალება აღმოჩნდა. არ გჯერათ?! სცადეთ: შემოიარეთ ბოულინგცენტრში სამუშაო დღის შემდეგ, დაძაბულობის ან ყოფითი პრობლემებისგან თავდასაღწევად. გარწმუნებთ, კარგი განწყობა და ფიზიკურ-ემოციური გადახალისება გარანტირებული გექნებათ. თუ ინსტრუქტორის რჩევებსაც გაითვალისწინებთ და მოინდომებთ, ბოულინგი პროფესიულ დონეზე ითამაშოთ, შედეგი არ დააყოვნებს და თქვენი მაჩვენებელი საუკეთესო ათეულის სარეიტინგო დაფაზეც დაფიქსირდება. ასე თანდათანობით თქვენ შეძლებთ, აიმაღლოთ ოსტატობა და კლუბში მიმდინარე ტურნირებში გაიმარჯვოთ კიდეც.

ბოულინგის პოპულარიზაციის მიზნით მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სხვადასხვა მოცულობისა და რანგის ჩემპიონატები იმართება. გაინტერესებთ, ვინ არის ბოულინგში მსოფლიო ჩემპიონი? ბოლო დრომდე ამ ტიტულის პრეტენდენტები, შესაძლოა, ყოფილიყვნენ AMF-ის მსოფლიო თასის გამარჯვებული, PBA-ტურის გამარჯვებული და FIQ/WTBA მსოფლიო ჩემპიონატის მასტერ-ფინალის გამარჯვებული. ასეთი ურთიერთდაპირისპირებული მიდგომა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ცოტა არ იყოს, აბნევდა და ბუნდოვან სიტუაციას უქმნიდა. ჰოდა, ბოულინგისთვის ერთიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად ათკეგლიანი ბოულინგის საერთაშორისო ასოციაციამ WTBA -მ ორგანიზება გაუწია WORLD RANKING MASTERS ჩატარებას. ყოველწლიურად მსოფლიოს სამივე ზონიდან ბურთის გაგორების დიდოსტატები საერთო ჩემპიონატზე იკრიბებიან. გამარჯვებული (როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს შორის) ცხადდება ბოულინგის "ნამდვილ" ჩემპიონად.


ბოულინგს ბავშვებიც თამაშობენ

თამარ სახიტაშვილის ფოტო

WRM-2003, მართლაც, დიდი სანახაობრივი შოუ იყო. ამ ასპარეზობის ლიდერები გახდნენ სკანდინაველები: შვედი ანდერს ოხმანი და დანიელი ბრიტ ბროენსტედი. თითოეულ გამარჯვებულს, ჩემპიონის ტიტულთან ერთად, პრიზად 8000 დოლარი ერგო.

ასეა საერთაშორისო არენაზე. ტურნირების მასშტაბურობა, უდავოდ, შთამბეჭდავია და საპრიზო ფონდის სოლიდურობაც - ერთობ მიმზიდველი.

ამიტომ გირჩევთ, შეიყვარეთ ბოულინგი, მისი თამაში ცხოვრების წესად აქციეთ და გულს ნუ გაიტეხთ, თუ დიდ სპორტში ვერ მოიპოვებთ დიდ წარმატებას. ერთ რამეში ნამდვილად დარწმუნდებით: მოიგებთ ყველაზე საუკეთესოს - საკუთარ ჯანმრთელობას.

**გარწმუნებთ, რომ ბოულინგი სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის.**

# საქართველოს ჩემპიონი



## მიხეილ ჭელიძე

ცურვა

რუბრიკას უძღვება
*ზვიად გიორგაძე*

| | |
|---|---|
| *დაბადების თარიღი:* | 1983 წლის 10 დეკემბერი |
| *სიმაღლე:* | 182 სმ |
| *წონა:* | 70 კგ. |
| *ოჯახური მდგომარეობა:* | უცოლო |
| *ტიტულები:* | საქართველოს ჩემპიონი: 2001, 2002, 2003, 2004 წლებში. ბაქოს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული: 2003, 2004 წლებში. |
| **პირველი მწვრთნელი:** | გიორგი აზნიანიძე |
| **პირველი გამარჯვება:** | 1990 წელს საქართველოს ჩემპიონატზე იუნიორთა შორის, (პირველი ადგილი) |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | 2003 წელს საქართველოს ჩემპიონობა |
| **ბავშვობის ოცნება:** | მომღერლობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 2000 წელს უნივერსიტეტის გუნდში არ ამიყვანეს |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | ოლეგ ფეიქრიშვილი |
| **საყვარელი ილეთი:** | სტილი "ბრასი" |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | ქართული სპორტის წარუმატებლობა ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ბრალია. ჯერ ქვეყანას ეშველოს და მერე სპორტიც თავისთავად გამოსწორდება |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | გული მწყდება, რომ წყალბურთელები უფრო პოპულარულები არიან, ვიდრე ჩვენ. მიხარია, როცა ვილაცას სჯერა ჩემი და სტიმულს მაძლევს |
| **კურიოზი:** | საერთოდ, მოკლე დისტანციებზე ვცურავ, მაგრამ ერთხელ მომიწია, ათასხუთასმეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში მიმეღო მონაწილეობა. ცურვის დროს თითქოს გამოვითიშე, ველარც ალამი დავინახე და ფინიშსაც გადავასწარი |
| **ჰობი:** | ოკეანის ტალღების ყურება, მუსიკის მოსმენა, გიტარაზე დაკვრა |
| **საყვარელი მსახიობი:** | ნიკოლას ქეიჯი, შარლიზ თერონი, კიანუ რივზი |
| **საყვარელი ფილმი:** | "ნოთინგ ჰილი", "ტკბილი ნოემბერი", "მატრიცა" |
| **საყვარელი მწერალი:** | ერნესტ ჰემინგუეი |
| **საყვარელი წიგნი:** | "ფარაონი" |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | P.O.D, “ლიმპ ბისკიტი”, “ლინქინ პარკი”, The Korn |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს, ჩინურს |
| **საყვარელი კერძი:** | მწვადი მაყვლის წვენით, სოკო |
| **საყვარელი სასმელი:** | ვისკი, ტეკილა, სევენაპი, პეპსი-კოლა |
| **ვისთან ერთად იქეიფებდით:** | მიხეილ სააკაშვილთან |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | ესპანეთში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | კარიბის კუნძულებზე |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | მძიმე პირობების მიუხედავად მაინც ბევრს მიაღწია |
| **მიზანი:** | საზღვარგარეთ წასვლა |
| **დევიზი:** | არ დანებდე! |

TV-სპორტი

## სამშაბათი. 6 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ტომ ჰეინსონი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1994. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "NEW YORK KNICKS" - "CHICAGO BULLS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. “ნიუკასლი” – “ევერტონი”
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:45 უკრაინის ჩემპიონატი. “არსენალი” – “დნეპრი”
19:30 “პოსტსკრიპტუმი”
20:00 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:20 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. “არსენალი” – “ჩელსი”. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. “მონაკო” – “რეალი”
პირდაპირი ტრანსლაცია
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. "CLEVELAND CAVALIERS" - "TORONTO RAPTORS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 17:10, 20:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 “ოლიმპის შვილები”
11:20, 14:15 “ფორმულის ჰარმონია”
11:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "SAN JOSE SHARKS" - "LOS ANGELES KINGS"
14:40 “ორშაბათამდე მივატანთ”
15:10 “ყველაზე ძლიერი ადამიანი” ზიმბაბვეში. პირველი ნაწილი
15:40 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში
17:25 “რკინის ფაქტორი”. ტელეჟურნალი
17:55 “სპორტული გლობუსი”. "Trans World Sport” წარმოგიდგენთ
18:25 კარატე. რუსეთის თასი მოსკოვში. დღე პირველი
19:55 “რუსული ჰოკეი ინგლისში”
20:30 “ყველაზე ძლიერი ადამიანი” ზიმბაბვეში. მეორე ნაწილი
21:00 “ვარსკვლავური სამშაბათი”
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფიგურული სრიალი. შოუ “Holiday Festival on Ice"
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. “მონაკო” – “რეალი”. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ევროგოლები
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
13:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
14:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
16:00 მულტისპორტი
16:30 ფეხბურთი. ევროგოლები
17:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
18:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
19:30 ველორბოლა. ბასკების ქვეყნის ტური
20:30 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 რალი-რეიდი. მსოფლიო თასი ტუნისში
02:45 ახალი ამბები
03:00 ნასკარის ავტორბოლები. შეჯიბრება აშშ-ში
04:00 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

# ჟენევის ავტოსალონის ოთხი სუპერვარსკვლავი

მერაბ ლორთქიფანიძე

მიუხედავად იმისა, რომ სხვა დიდ ავტოსალონებთან შედარებით, ჟენევის წლევანდელი ავტოშოუ არ გამოირჩეოდა საინტერესო და თავბრუდამხვევი სიახლეების სიმრავლით, მასზე მაინც დამყარდა რეკორდი დამსწრეთა რაოდენობის მხრივ - ჟენევის 2004 წლის ავტოსალონს, რომელიც 74-ედ ჩატარდა, 729 629 დამთვალიერებელი ჰყავდა, რაც წინა რეკორდზე ერთი პროცენტით მეტია. ძველი რეკორდი 2002 წელს დამყარდა, შარშან კი ჟენევის პალექსპოში ჩატარებულ საავტომობილო შოუს 700 ათასი დამთვალიერებელი ჰყავდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ მერმის ავტოსალონი ერთბაშად ორ მსხვილ იუბილეს აღნიშნავს: ჯერ ერთი, სრულდება ასი წელი მისი დაარსებიდან. მეორეც, მერმის გავა 75 წელი მას შემდეგ, რაც ავტოსალონმა საერთაშორისო სტატუსი მიიღო.

დღეს კი მკითხველს გავაცნობთ ჟენევის ავტოსალონის იმ ოთხ სუპერვარსკვლავს, რომელთა შეძენის ბედნიერებაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებს თუ ხვდებათ წილად.

## ფერარი ენცოს შვილობილი

ინგლისურ ჟურნალ აუტო უიკის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელშიც საავტომობილო გამოცემების რედაქტორები მონაწილეობდნენ, ჟენევის ავტოსალონის საუკეთესო ავტომობილად დაასახელა მაზერატი MC12, ავტომობილი, რომელიც ზაფხულიდან იტალიური კომპანიის სპორტული იმიჯის აღდგენას შეეცდება დიდი ტურიზმის კლასის მსოფლიო ჩემპიონატში.

ჩემპონატის რეგლამენტით, ავტომობილს, რომელიც რბოლებში გამოდის, სამოქალაქო ვერსიაც უნდა ჰქონდეს. ჰოდა, იტალიური კომპანია იძულებული გახდა ასეთი ავტომობილის წარმოებაზეც ეზრუნა. სწორედ ამიტომ, ჟენევაში მაზერატი-ფერარის სტენდზე თავს იწონებდა MC12-ის როგორც სარბოლი, ასევე საგზაო მოდიფიკაცია.

1355-კილოგრამიანი ავტომობილი ბაზირებულია ფერარი ენცოს პლატფორმაზე და მისივე აგრეგატებითაა აღჭურვილი. კერძოდ, ბაზაში განთავსებულია 6-ლიტრიანი, V12 კონფიგურაციის ატმოსფერული ძრავი, რომელიც საგზაო ვერსიისთვის 630 ცხენს ძალამდეა დეფორსირებული (ენცოს 660 ცხენის ძალიდან), სარბოლი ვერსიისთვის კი მისი სიმძლავრე 700 ცხენის ძალაზე მეტია. ამ ძრავის მეშვეობით, თითქმის ხუთმეტრიანი მაზერატი MC12 ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას ოდენ 3.8 წამს ანდომებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 330 კმ/სთ-ზე მეტია.

უზარმაზარი მაბრუნი მომენტის (652 ნმ, 5500 ბრუნზე წუთში) უკანა წამყვანი თვლებისთვის მიწოდებას ემსახურება მაზერატის საკუთარი კონსტრუქციის გადაცემათა კოლოფი სახელად კამბიოკორსა. იმის წყალობით, რომ ძრავი ბაზაშია (წინა და უკანა თვლებს შორის, მძღოლის სავარძლის უკან) განლაგებული, მიღწეულია მასის თითქმის იდეალური განაწილება. წინა თვლებზე მასის 41 პროცენტი მოდის, უკანაზე კი - 59.

კამბიოკორსას კონსტრუქციაში გამოყენებულია ფერარის მიერ ფორმულა ერთში დაგროვილი გამოცდილება. ეს არის კომპიუტერიზებული, ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, რომელშიც მძღოლი საფეხურებს ელექტრონიკის გამოყენებით ცვლის. მძღოლს კოლოფში საფეხურის შესაცვლელად აღარ სჭირდება გადაბმულობის გასათიშად სატერფულზე დაწოლა, სიჩქარეების შეცვლას კი საჭის რგოლზე განთავსებული სპეციალური ბერკეტებით ახდენს.

ავტომობილი თავისი სოლიდური გაბარიტებით გამოირჩევა (სიგრძე 5143 მმ, სიგანე 2100 მმ, სიმაღლე 1205 მმ). მან ინტენსიური ტესტები გაიარა აეროდინამიკურ მილში, რისი წყალობითაც შესანიშნავი გარეგნობა ფუნქციონალურ, გარსშემოდენილ ფორმასთანაა შერწყმული. ავტომობილის დახვეწილი ფორმები იტალდიზაინ-ჯუჯაროს შემოქმედების ნაყოფია.

სპორტულ სარბიელზე მაზერატის უკანასკნელი დიდი გამარჯვება 1967 წელს ლეგენდარულმა ინგლისელმა ავტომრბოლმა, სტირლინგ მოსმა მოუპოვა ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის ჩათვლაში შემავალ სამხრეთ აფრიკის დიდ პრიზზე. მოსმა ეს იტალიური კომპანიის წარმოების ძრავით აღჭურვილი ინგლისურ ბოლიდ კუპერით შეძლო. მას შემდეგ 37 წელი გავიდა და სამწვერანები (მაზერატის ემბლემა სამწვერიანი გვირგვინა) კვლავ გამოჩნდებიან სარბოლ ტრასებზე, თუმცა ამჯერად ეს აღარ იქნება ფორმულა 1, სადაც დღეისათვის განუხრელად ბატონობს ფერარი.

წლეულს სულ 30 ცალი მაზერატი MC12 დატოვებს იტალიური კომპანიის ფაბრიკას, რომელთაგან ხუთს სარბოლი ტრასები ზაფხულის დასაწყისიდან ელის (ჯერ გადაწყვეტილი არაა, გამოიყვანს თუ არა მაზერატი თავის გუნდს ლე მანის 24-საათიან რბოლაში), დანარჩენი 25 კი კოლექციონერთა და ექსკლუზიური ავტომობილების მოყვარულთა (რა თქმა უნდა, მდიდრების) ავტოფარეხებში დაიდებს ბინას. ამდენივე საგზაო მაზერატი MC12-ის დამზადება მერმისაცაა ნავარაუდები.



მაზერატი MC12 ჟენევის ავტოსალონის მშვენება იყო



ასეთი გული აქვს მაზერატი MC12-ს



როლს როის EX100 თავისი არატრადიციული კარით



## როლს როისის მილენიუმი

წლეულს სახელოვან ინგლისურ მარკას დაარსებიდან ასი წელი უსრულდება და ბუნებრივია, ამ თარიღთან დაკავშირებით, კომპანიას, რომელიც უკვე სამი წელია, გერმანული ბეემვეს კუთვნილებაში იმყოფება, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ თავის დროზე ბაიერიშე მოტორენვერკე სწორედ როლს როისის გერმანული საწარმოს ბაზაზე აღმოცენდა და მაშინ ვინ წარმოიდგენდა, თუ 21-ე საუკუნის დასაწყისში მშობელი კომპანია შვილობილის ნაწილად გადაიქცეოდა.

ამაზეა ნათქვამი, დრონი მეფობენო...

თუმცა, მთავარი ისაა, რომ იმ ავტომობილების მწარმოებელი კომპანია, რომლის მანქანებითაც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები სამართლიანად ამაყობენ, სწორედ ბავარიული კომპანიის გადარჩენილია გაკოტრებისგან და თუ დღესაც სთავაზობს მყიდველს თავის უნიკალურ მოდელებს, სწორედ ბეემვეს წყალობით.

დავუბრუნდეთ ჟენევას, სად წარმოდგენილ ექსპონატებს შორისაც ჟურნალ აუტო უიკის გამოკითხვამ საუკეთესო კონცეპტუალურ ავტომობილად სწორედ როლს როისის კონსტრუქტორთა შემოქმედების ნაყოფი - კაბრიოლეტი როლს როის EX100 დაასახელა, რომელიც სწორედ კომპანიის ასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა.

ეს ავტომობილი შექმნილია სედან როლს როის ფანტომის ბაზაზე და წარმოადგენს კომპანიის დიზაინერთა შეხედულებას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მომავლის მდიდრული კაბრიოლეტი. კონსტრუქტორებმა ფანტომის შასი 100 მილიმეტრით დაამოკლეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ავტომობილი თავისი გაბარიტებით მაინც მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება. თავად განსაჯეთ, მისი სიგრძე 5.67 მეტრია, სიგანე კი - 1.99 მეტრი. ამასთან, კონცეპცია შესრულებულია სერიული ავტომობილის სტილში, რაც, იმის მიუხედავად, რომ კომპანია აცხადებს, ამ ავტომობილის წარმოების დაწყება არ არისო ნავარაუდები, იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი, ალბათ, თავის დროზე მაინც წარდგება მყიდველის წინაშე.

როლს როის EX100 საინტერესო დიზაინერული გადაწყვეტებით იქცევს ყურადღებას. პირველ რიგში, ლაპარაკია კარებზე, რომელიც შემხვედრი მიმართულებით იხსნება, წინა საყრდენის უცნაურ ფორმაზე, რომელშიც შერწყმულია მომცრო ზომის სამკუთხა სარკმელი. ავტომობილი, ასევე, საბარგულის საკმაოდ უცნაური კონსტრუქციითაც გამოირჩევა. მისი სახურავი ჩვეულებრივ, ზემოთ იხსნება, მაგრამ საბარგულის უკანა კედელიც გასახსნელია და ის იმავე სტილში იხსნება (უკან), როგორც პიკაპებზე, რითაც გაადვილებულია მასში ჩანთების და ბარგის ჩალაგება. ერთი შეხედვით შეიძლება უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ საბარგული გაწყობილია ძვირფასი ხითა და ხალიჩით.

კაბრიოლეტს რბილი მოსახსნელი სახურავი აქვს, რომელიც მეტალის ძაფებით არმირებული ქსოვილსგანაა დამზადებული. შიგნიდან იგი გაწყობილია ქაშმირის ქსოვილით, რომელიც, ასევე, გამოიყენება ფანტომის ინტერიერში. დაკეცილ მდგომარეობაში სახურავი შეუმჩნეველია და მცირე ზომის სეგმენტში ეტევა.

რაც მთავარია, ავტომობილი გამოირჩევა თავისი V-კონფიგურაციის, 16-ცილინდრიანი ძრავით, რომლის თითოეულ ცილინდრსაც 4 სარქველი (ორ-ორი შემშვები და გამომშვები) ემსახურება. აგრეგატის მუშა მოცულობა 9 ლიტრია (!). კომპანია ტრადიციას არ ღალატობს და არ ასახელებს ძრავის სიმძლავრის სიდიდეს. სამაგიეროდ, აცხადებს, რომ ეს მაჩვენებელი საკმარისად დიდია.

ისე, როლს როისისგან ესეც მრავლისმეტყველი ინფორმაციაა, რომელსაც მისი მომხმარებელი წლების განმავლობაში მიჩვეულია.

## სტოლა S85 - იტალიელების პასუხი მაიბახს?

ჟენევის ავტოსალონზე იტალიურმა დიზაინ-ატელიე სტოლამ წარმოადგინა ლანჩა თეზისის პლატფორმაზე დამზადებული კონცეპტუალური ლიმუზინი სახელად სტოლა S85, რომელიც რაღაცით მერსედეს-ბენცის შესაბამისი კლასის სუპერ-სედან მაიბახს მოგვაგონებს. რაც შეეხება ავტომობილის დასახელებაში შემავალ რიცხვ 85-ს, იგი მიგვანიშნებს იმაზე, რომ დიზაინსტუდიას დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა. სწორედ ეს დროა გასული მას შემდეგ, რაც სტოლამ სხვადასხვა ავტოკომპანიების შეკვეთებით კონცეპტუალური ავტომობილების შექმნას მიჰყო ხელი. ყოველივე კი იმაზე მიგვანიშნებს (ირიბად მაინც), რომ ჟენევაში წარმოდგენილი კონცეპცია შეიძლება უახლოეს მომავალში ლანჩას საწარმოო პროგრამაში შევიდეს.

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდეს, უფრო ახლოს გავეცნოთ სტოლა S85-ს. ამ ავტომობილს სედან თეზისისგან, პირველ რიგში, გაზრდილი გაბარიტები განასხვავებს, რისი წყალობითაც გაზრდილია უკანა მგზავრების ფეხებისთვის განკუთვნილი ადგილი. სიგრძეში გასაზრდელად პლატფორმას 60 სანტიმეტრის სიგრძის სეგმენტი ჩაამატეს. ამასთან, ატელიეს დიზაინერებმა შეძლეს ავტომობილის ჰარმონიული ფორმების შენარჩუნება. შედეგად, ავტომობილის სიგრძემ 5.488 მეტრი შეადგინა, წონა კი 2030 კილოგრამამდე გაიზარდა.

სალონისთვის დამახასიათებელი მთავარი ნიშნებია ელეგანტურობა და მდიდრულობა. წინა სავარძლების უკან მთელი სალონი გაწყობილია ძვირფასი ხით. პანელები დაფარულია სიფრიფანა, ძვირადღირებული ტყავით, უკანა სავარძლები კი აღჭურვილია ელექტრომარეგულირებელი სისტემით, რომელიც მასში მოთავსებული მგზავრის კომფორტის უმაღლესი დონის უზრუნველყოფას შეძლებს. სალონში დიზაინერებმა გამონახეს ადგილი მაცივრის, კონდიფიონერის და საოფისე მულტიმედიის ელექტრონული აპარატურისთვისაც, რომელიც მგზავრს ინტერნეტით სარგებლობის, ელექტრონული წერილის გაგზავნის და საოფისე პროგრამებით მუშაობის შესაძლებლობას მისცემს. მოკლედ, ავტომობილი იმ საქმიანი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს კომფორტულ გარემოში მუშაობას.

ახლა მთავარზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ესოდენ მდიდრული ავტომობილი აღჭურვილია 3.2 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე V6-კონფიგურაციის ძრავით, რომლის სიმძლავრეც სულ რაღაც 230 ცხენის ძალას შეადგენს. მისი მაბრუნი მომენტი მიეწოდება 18-დუიმიან თვლებს, რომელთა ზომებია 245/45. საკმაოდ სოლიდური მასის მიუხედავად, სტოლა S85-ს ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად 9.2 წამი ჰყოფნის, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 230 კმ/სთ-ს აღწევს.

სტოლა აცხადებს, რომ ჟენევაში წარმოდგენილ მდიდრულ სედანს შეკვეთებით დაამზადებს. ამასთან, თუ შესაბამისი შეკვეთები იქნება, გათვალისწინებულია შეჯავშნული მოდიფიკაციების წარმოება და ავტომობილის გაცილებით მძლავრი აგრეგატებით აღჭურვაც. სამაგიეროდ, ჯერ არაფერია ცნობილი ავტომობლის ღირებულების შესახებ.

## ბრაბუს მაიბახ SV12 - მსოფლიოში უსწრაფესი ლიმუზინი

თუ სტოლას ლიმუზინის გაცნობისას მთავარი ყურადღება ავტომობილის ინტერიერს დავუთმეთ, მისი ტექნიკური აღჭურვილობა კი ჩრდილში დავტოვეთ, იგივეს ვერაფრით გავაკეთებთ მაშინ, როდესაც თქვენს წინაშე წარმოვადგენთ გერმანული სატიუნინგო ფირმა ბრაბუსის მიერ მოდერნიზებულ მაიბახს. საერთოდ, ბრაბუსი იმითაა ცნობილი, რომ მერსედეს-ბენცის წარმოების ისედაც მაღალხარისხოვან პროდუქციას ხვეწს და, პირველ რიგში, ეს დახვეწა სწორედ აგრეგატებს ეხება.

მათ გასაკვირად, ვისაც მიაჩნია, რომ ავტომობილი მაიბახი ავტოინდუსტრიის უმაღლესი მწვერვალია და მისი გაუმჯობესება ადამიანის ფანტაზიასაც არ შეუძლია, ბრაბუსმა სწორედ ამ ლიმუზინს მოჰკიდა ხელი და კონკურენტებს ახალი ორიენტირიც ჩამოუყალიბა თავისი ქმნილების, ბრაბუს მაიბახ SV12-ის სახით. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ SV12 ძრავის ცილინდრების რაოდენობასა და მის კონფიგურაციას აღნიშნავს. აგრეგატის მუშა მოცულობა 5.5 ლიტრიდან (ანუ 5500 კუბ.სანტიმეტრი) 6.3 ლიტრამდე გაიზარდა. შესაბამისად, მისი სიმძლავრე 550 ცხენის ძალიდან 640 ცხენის ძალამდე გაიზარდა, მაქსიმალურმა მაბრუნმა მომენტმა კი 1026 ნმ (!) შეადგინა. ეს მაჩვენებლები მიიღწევა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ძრავის მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვი წუთში 1750-ია. შედეგად, ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთის აკრეფას სულ 4.9 წამს უნდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 300 კმ/სთ-ითაა შეზღუდული(!). ბრაბუსის პაკეტში ასევე შედის ლიმუზინი დაგრძელებული ბაზით, რომლის აჩქარება 100 კმ/სთ-მდე სულ რაღაც 5.2 წამში ხდება, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ია.

ყველაფერი კარგი, მაგრამ მაიბახი ხომ სარბოლი ავტომობილი არაა და ბუნებრივია, მის პოტენციურ მყიდველს, პირველ რიგში, ის დააინტერესებს, თუ რითი შეძლებს მწარმოებელი მათი კომფორტის მაქსიმალურ უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომაა, რომ ავტომობილის ინტერიერი მთლიანად ძვირფასი ტყავითა და ხითაა გაწყობილი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ თუ ბრაბუსის ოფიციალურ ცნობას ვენდობით, სალონის გასაწყობად გამოყენებულია 1.2 კილომეტრის სიგრძის ძვირფასი ტყავის ძაფი. ამასთან, სალონის იატაკის გასაწყობად ხალიჩის და ქეჩის ნაცვლად მთლიანად ძვირადღირებული ნატის (ზამშის) ქსოვილა გამოყენებული.

მდიდრულობას სრულად შეეფერება ავტომობილის სალონის აღჭურვილობა. მაგალითად, წინა სავარძლებში ინტეგრირებულია მონიტორები, რომლებსაც უკანა სავარძლების მგზავრები სურვილისამებრ, ან კომპიუტერის მონიტორად გამოიყენებენ, ან ჩვეულებრივ ტელეეკრანად. კომპიუტერიც, თავისი პროცესორითა და კლავიატურით, ასევე მოდემით, წინა სავარძლის უკანაა ჩამონტაჟებული. სპეციალური, პორტატული რადიოლოკაციური სისტემის წყალობით, შესაძლებელია პირდაპირ სალონიდან ინტერნეტის ქსელით სარგებლობა. მოკლედ, სალონი ნამდვილ ოფისს წარმოადგენს შეზღუდული ფართობით. სამაგიეროდ, იგი ბორბლებზეა მოთავსებული და გადაადგილება (მეტად კომფორტული) შეუძლია.

ბრაბუსის ხელი შეეხო სტანდარტული მაიბახის ექსტერიერსაც. მაგალითად, მოდერნიზებული ავტომობილი შეიმოსა 21-დუიმიანი თვლებით, რომლებზეც დამონტაჟებულია იაპონური კომპანია დანლოპის წარმოების საბურავები ზომებით 285/40 (წინა) და 325/35 (უკანა). დაკიდება ისე გადაკეთდა, რომ ლიმუზინის გზის საფარიდან დაშორება 15 მილიმეტრით შემცირდა.

ვისაც ამ ავტომობილის ყიდვის სურვილი გაუჩნდება (საეჭვოა, ასეთები საქართველოშიც გამოჩნდნენ) მას შესაბამისი თანხის გაღების გარდა, საკმარისი მოთმინების მოხმობაც მოუწევს. ევროპაში გრძელბაზიანი მაიბახი 722 ათასი ევრო ეღირება, მოკლებაზიანი კი - 100 ათასით ნაკლები. შეკვეთის შესრულებას კი კომპანია რამდენიმე თვეს მოანდომებს.



ასეთია იტალიური ლიმუზინი სტოლა S85 და მისი ინტერიერი






ბრაბუს მაიბახ SV12 უსწრაფესი ბორბლებიანი ოფისია მსოფლიოში



# ბი-ბი-სი "ანტისამეფო რეპს" იცავს



© GRAPHIC NEWS

ბი-ბი-სი მხარს უჭერს მისი ერთ-ერთი რადიოსადგურის გადაწყვეტილებას, ეთერში ატრიალოს რეპის სტილში შესრულებული სიმღერა, რომელშიც ბრიტანეთის დედოფალს ელიზაბეთ მეორეს, ჩამოგდებულ ერაყელ პრეზიდენტს სადამ ჰუსეინს ადარებენ.

სიმღერას უბრალოდ "დიდი ბრიტანეთი" ეწოდება და მას ისლამისტი დი-ჯეი და რეპერი სკორ-ზაი-ზი ასრულებს. ამ სიმღერამ ბი-ბი-სის "რადიო 1", დი-ჯეი ზაინას საღამოს შოუში გაიჟღერა.

სიმღერის ავტორი აკრიტიკებს სამეფო ოჯახს, კერძოდ, მათ 1997 წელს პრინცესა დიანას სიკვდილში ადანაშაულებს.

"ეს პროტესტის სიმღერაა და იგი მხოლოდ ღირებული მუსიკის მიხედვით შეირჩა", - განაცხადა რადიოსადგურის წარმომადგენელმა.

თავის მხრივ, ორგანიზაცია Mediawatch uk-ის დირექტორი ჯონ ბაიერი, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ყურადღებით ადევნებს თვალს, საწინააღმდეგო მოსაზრებას ინარჩუნებს. მისი აზრით ბი-ბი-სის ეს სიმღერა ეთერში არ უნდა გაეშვა. ამის შესახებ ბაიერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

დი-ჯეი სკორ-ზაი-ზი, იმის გარდა, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობებს აკრიტიკებს, აგრეთვე ამტკიცებს, რომ ბრიტანელებმა "საბოლოოდ დაკარგეს გონი". "დედოფალი ისეთივე სახლში ცხოვრობს, როგორშიც სადამ ჰუსეინი. ისინი ორივენი მდიდრები და აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ერთნაირები არიან", - ამბობს რეპერი საკუთარ ქმნილებაში.

თავის მხრივ ბი-ბი-სის წარმომადგენლები თვლიან, რომ სიმღერა არ არღვევს იმ პრინციპებს, რის მიხედვითაც კორპორაცია მოქმედებს.

"ეს ნაწარმოები არ იყო ჩასმული "რადიო 1 -ის" სიმღერების რგოლში, იგი 10-საათიანი "ზეინ-შოუს საღამოს" მხოლოდ ნაწილი იყო", - განაცხადა კორპორაციის წარმომადგენელმა, - "სიმღერამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა მას საჩივრები არ მოჰყოლია. სიმღერის ტექსტი კონკრეტული არტისტის პირად მოსაზრებას გამოხატავს და არა ბი-ბი-სის".

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



სვეტა ჩაჩანაშვილი

ხაბად ლუბავიჩის ებრაული საქველმოქმედო საზოგადოების წევრი

### გაროსეტი

ინგრედიენტები:
0,5კგ შავი ქიშმიში
250გ ნიგოზი
200გ თხილი
100გ ნუში
2ც მსხალი
1კგ ვაშლი (კეხურა)
დარიჩინი

მომზადების წესი:
საკეპ მანქანაში გაატარეთ ქიშმიში, ნიგოზი, თხილი, ნუში, ვაშლი და მსხალი. ყველაფერი მოათავსეთ საშუალო ზომის თასში და კარგად ურიეთ ერთგვარი მასის მიღებამდე. მიირთვით მაცასთან ერთად.

### მაცის ლატკა

ინგრედიენტები:
5ც კვერცხი
მაცა
მარილი
პილპილი
250გ წყალი
ზეთი

მომზადების წესი:
მდუღარე წყალში ჩააყრუნეთ მაცა, ჩაახალეთ კვერცხი და კარგად აურიეთ, დაუმატეთ მარილი და პილპილი. მიღებული მასა მოათავსეთ ტაფაზე და შეწვით ზეთში ორივე მხრიდან

## ამჟერად უკვე მოდის რევოლუცია



პეკინში გამართულმა საერთაშორისო მოდის კვირეულმა ნათელყო, რომ სახალხო რესპუბლიკაში ახალი კულტურული რევოლუცია დაიწყო. დიდი ბელადის - მაოს ბოლომდე შეკრული კიტელის ნაცვლად, ჩინურ მოდაში მარგალიტებით მოოჭვილი საღამოს კაბები შემოვიდა.

შვიდდღიან დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩინეთისკენ მთელი მსოფლიოს დიზაინერები დაიძრნენ. იაპონელი, სინგაპურელი თუ ფრანგი მოდელიორები 30 ჩვენებას გამართავენ - ისეთივე ზარ-ზეიმით, როგორც "კაპიტალისტურ ქვეყნებში".

## სკანვორდი



## TV პროგრამა

6 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **19.10** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი"-"ჩელსი" **02.00** ჩემპიონთა ლიგა. "მონაკო"-"რეალი"

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.10(შვეიცარია), 03.45(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **07.30** დ დიზაინი. დსკარიდი.ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი. გაზაფხული ზაფხული 2004. **08.00** მემუარები. დოკ. ფილმი. **13.15** ქალები და ქალები. მხ. ფილმი. ტრაგი-კომედია. რეჟისორი პოლ ვეჩიალი. 1974. **17.25** გენოციდიდან ათი წლის შემდეგ. რუანდა. **20.05** სამხრეთის ანარეკლი. მადაგასკარი. კუნძული რეუნიონი.**21.25** ყველას თავს ვერ მოაწონებ. **01.30** გენოციდის ქრონიკები. დოკ. ფილმი. რუანდა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი "პრინცესა დი" **11.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "რისკით უნდა ვიცხოვრო" **16.45** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის დიადი ისტორია" **17.30** საქართველო და გარესამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** და არს მუსიკა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** ჩვენი ფეხბურთი **23.30** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "კოსმიური ჯემი". მთ.რ-ში მაიკლ ჯორდანი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "რეკონი" მთ. რ-ში პოლ ბეტანი, უილემ დეფო. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "ძაღლები" (შონ პენტვი) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "გენერლის ქალიშვილი" (ჯონ ტრავოლტა)

### მეორე არხი

**19.00** მულტსერიალი "შავი მეკობრე" **19.35** კინოსეანსი "ფორსაიტების საგა" 15-16 ს. **20.55** ჟურნალის ისტორია **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "მახვილგონიერი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "დათვი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "მართალი ტყუილი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი-2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გლადიატორი" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 14.35, 16.50, 02.20** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი" **11.30** "არტ-ბულვარი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25** "ნბა"-ს ჟურნალი **14.05** სერიალი "შტოკინგერი" მე-4ს. **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ატლანტიდა" **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.00, 19.00, 21.25, 22.00, 02.00** ქრონიკა **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "თენდება გვიან" **21.30** ლარის მახე **23.00** ერთხელ ჰოლივუდში **23.30** მხ. ფილმი "ფორმულა 51" (ს. ლ. ჯექსონი) **01.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.10** პროფილაქტიკა **17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **17.50** მუსიკა **18.00** მულტფილმი "ბანანების ზოოპარკი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ზურგის ქარი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "ალმასები" მე-6ს. **01.00** მხ. ფილმი "რაინდის თავგადასავალი" (ჰიტ ლეჯერი)

### არხი

**09.00, 14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "ორმაგი სახე" **11.15** დოკ. ფილმი **12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 19.15, 22.20, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მხ. ფილმი "აჩრდილთა წიგნი" **14.10, 17.50, 21.45, 02.55** მუსიკა **14.30** სათავგად. ფილმი "წინაპართა ძახილი" **16.20** მულტფილმი "მეფე ლომი" **18.05** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!" 2 ს. **19.30** დოკ. ფილმი **20.25** კომედია "სიყვარულის ისტორია" **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** დრამა "ქურდი" **03.30** ბოევიკი "კრიმინალური საკითხავი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 20.00 Сериал "Клон" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Фильм "У тихой пристани" 14.40** "Подорожник" **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.25** "Кумиры". В.Шарыкина **20.50 Детектив "Евлампия Романова: следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** "Время" **23.40** Э.Радзинский. "Загадка императора". Вечер 2-й **00.50** "Фабрика звезд" **01.10** "На футболе" **01.40** "Сканер". "Суд присяжных" **02.10** "Паоло Коэльо. Беседы с Алхимиком" **02.40 Фильм "Молл Флэндерс" 05.00 Сериал "Мертвая зона"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Небо и земля" 10.50** "Короткое замыкание" **11.45, 14.50, 17.30, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Ключи от бездны. Операция "Голем" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Худ.фильм "Пуаро Агаты Кристи" 18.10 Сериал "Крот" 19.05 Сериал "Комиссар Рекс" 20.00 Сериал "Закон" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00 Сериал "Ключи от бездны. Операция "Голем" 00.00** "Вести+" **00.20** Док.фильм "Израиль - Палестина. Противостояние", 2 серия **01.30 Худ.фильм "Инстинкт убийства" 03.15** "Синемания" **03.50** "Дорожный патруль" **04.00** "Агентство одиноких сердец" **04.25 Сериал "Волны перемен"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.50 Сериал "Пятый ангел" 11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т.Баженова. "Дикий мир: пещерные бесы" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.50** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Белая птица с черной отметиной" 15.35** "Протокол" **16.35** "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики". "Эпидемия" 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "Литовский транзит", 10 с. 21.45 Сериал "Пятый ангел", 2 с. 23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол. Лига чемпионов. 1/4 финала. "Арсенал"** (Англия) - **"Челси"** (Англия) **01.40 Сериал "Литовский транзит" 03.15** "Дневник Лиги чемпионов"

# აუდიომეკობრეების სასარგებლოდ



ბოლო დროს მთელ მსოფლიოში ძალიან აქტუალურია აუდიომეკობრეების თემა. უშლის თუ არა ინტერნეტში გავრცელებული მუსიკა ხელს კომპაქტ-დისკებისა და კასეტების გაყიდვას? ახლახან საინტერესო მონაცემები გამოაქვეყნა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლამ. კერძოდ კი, ისინი ამტკიცებენ, რომ მუსიკალურ პროდუქციაზე მოთხოვნილების დაცემა კავშირში არაა ინტერნეტ-ქსელთან. ინტერნეტიდან გადაქაჩული და გაყიდული მუსიკის ანალიზის შემდეგ სპეციალისტები იმ მოსაზრებამდე მივიდნენ, რომ ქსელიდან 5 ათასჯერ გადაქაჩვის შემდეგ კონკრეტული ალბომის გაყიდვის მაჩვენებელი ერთით მცირდება. მაგალითად, 2000-დან 2002 წლამდე კომპაქტ-დისკების გაყიდვის მაჩვენებელი უნდა შემცირებულიყო 2 მილიონი ერთეულით. სინამდვილეში კი, მათი რაოდენობა შემცირდა 139 მილიონი ერთეულით. ეტყობა, გაყიდვებზე რაღაც სხვა ფაქტორებიც ახდენენ გავლენას. ამავე პერიოდში კი ვიდეოფილმების, პროგრამული უზრუნველყოფისა და ვიდეოთამაშების გაყიდვის მაჩვენებელი გაიზარდა.

# მოწიეთ და მოდუნდით



შესანიშნავი ბალახია მარიხუანა – ყველა სიკეთესთან ერთად, ის სპერმის აქტივობასაც ადუნებს.

როდესაც ისე, მოსადუნებლად ყოველ საღამოს მარიხუანას გააბოლებენ ხოლმე, ამას არამარტო მწეველი მამაკაცები ეჩვევიან, არამედ - მათი სპერმაც. ბელფასტში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ კანაბისის შემადგენლობაში შემავალი ტეტრაჰიდროკანაბინოლი სპერმას პასიურს ხდის და განაყოფიერების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს.

მკვლევარმა შინა ლივაისმა თავისი მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ მამაკაცებმა, რომელთაც შვილის ყოლის სურვილი აქვთ, მისი რჩევა ყურად უნდა იღონ: თავი შეიკავეთ სურნელოვანი ბალახის მოხმარებისგან! დიდ ბრიტანეთში მარიხუანას მწეველთა რიცხვის ზრდა უშუალო კავშირშია უშვილო წყვილების რაოდენობის ზრდასთან. “ყოველი მეექვსე წყვილი უნაყოფოა და მათი 40 პროცენტი უშვილობას სწორედ კანაბისს უმადლის”, - ბრძანა ქალბატონმა ლივაისმა.


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სასწავლო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეთათვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერთიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით. MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული, ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com



საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

## "ყვითელი ანგელოზი"

12,19, 26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21





## ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა — £3950 — 1 წლიანი პროგრამა
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში

ბაკალავრიატი — £6950 — 2 წლიანი პროგრამა
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მეხუთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა

## ლონდონში



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- ელექტრონულ-საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61






## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


